

სანიშთო სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2023, №3

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2023, №3

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2023, №3

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2023, №3

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

1. **ქონება**
ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი 4
საკუთვნებელი 42
2. **საკუთრების შინაარსი**
უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა 58; 77; 84
3. **სამეზობლო**
ფულადი კომპენსაცია თმენის ვალდებულებისთვის 89; 101
4. **საკუთრების შეძენა და დაკარგვა**
ბავშვის საკუთრებაში არსებული
უძრავი ქონების განკარგვა 112; 121
ვალის გადაკისრება 132
5. **იპოთეკა**
მესაკუთრის უფლება კრედიტორის დაკმაყოფილებისას 144
6. **საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობები**
საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი
ურთიერთობები 177

1. ქონება

ნივთის არსებითი შერამდგენელი ნაწილი

განმარტება საქართველოს სახელმწიფო

№ას-120-2021

24 მარტი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძე

დავის საგანი: უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობა, უკანონო
ხელშეშლის აღკვეთა, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 16 დეკემბრის
გადაწყვეტილებით შპს „ტ. კ-ლის“ (ს/კ ...; შემდეგში: მოსარჩელე,
აპელანტი ან კასატორი) სარჩელი შპს „ბ-ნის“ (შემდეგში: მოპასუხე
ან ქონების შემძენი) წინააღმდეგ არ დაკმაყოფილდა (იხ. გადან-
ყვეტილება);

2. მოსარჩელე საწარმოს მოთხოვნა მოპასუხის წინააღმდეგ შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

2.1. მოსარჩელის სამეწარმეო საქმიანობისათვის მოპასუხის
მხრიდან უკანონო ხელშეშლის აკრძალვა;

2.2. მოპასუხისათვის, მოსარჩელის სასარგებლოდ, ზიანის სა-
ხით იძულებითი განაცდურის/მიუღებელი შემოსავლის დაკისება,
რაც 2017 წლის 1 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე
ყოველდღიურად 2000 (ორი ათასი) ლარს შეადგენს;

2.3. მოპასუხისათვის, მოსარჩელის სასარგებლოდ, იტალიური
წარმოების ქარხნის „ROSSA COMETA“-ს მოძრავი რობოტის აღდგე-
ნის ღირებულების 17 230 ევროს დაკისრება;

2.4. მოსარჩელე საწარმოს ცნობა ქ. ბათუმი, დაბა, მიწის (უძ-
რავი ქონების) საკადასტრო კოდი: ... არსებული შენობა-ნაგებობე-
ბის: 1) სატვირთო სასწორის რკინა-ბეტონის კონსტრუქცია და სას-
წორის საოპერატორო ოთახი; 2) ვოლიერი; 3) სამაცივრე აგრეგა-
ტი-შენობა; 4) ინერტული მასალების საფუძვლი აგრეგატის პანდუ-
სი; 5) სამღებრო შენობა; 6) საკომპრესორის შენობა; 7) წყლის ავ-
ზის კონსტრუქცია (ფუნდამენტით); 8) წყალსაქაჩის შენობა; 9)

წყალსაქაჩი; 10) საოპერატორო; 11) ინერტული მასალის სეპერატორი; 12) ქარხნის ფუნქციონირებისათვის საჭირო მასალებით მომარაგების პანდუსი; 13) საგენერატორო ოთახი; 14) ინერტული მასალის გადახურული სანყოფი; 15) ცემენტის სილოსების საძირკველი კონსტრუქცია; 16) ჰაერის საკომპრესორო ოთახი; 17) დ-ორატიული ბასეინის და ასევე მათი კუთვნილი მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ;

2.5. მოპასუხისათვის, მოსარჩელის სასარგებლოდ, 8 მეტრის სიმაღლის პალმის ღირებულების – 25 000 ლარის დაკისრება (იხ. სარჩელი).

3. სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი გარემოებები

3.1. მოსარჩელემ მიუთითა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე (საქმე №2/12279-13) რომლის საფუძველზე შპს „მ-ოს“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რომლის სასარგებლოდ, შპს „ტ. კ-ლს“, როგორც მოპასუხეს, ძირითადი თანხის სახით 500 000 ლარის გადახდა, ხოლო პირგასამტეხლოს სახით – 300 000 ლარის გადახდა დაეკისრა, ასევე – სახელმწიფო ბაჟის 2526,75 ლარის ანაზღაურება;

3.2. მითითებულ საქმეზე მოპასუხე შპს „ტ. კ-ლმა“ სააპელაციო ნესით გაასაჩივრა ზემოხსენებული გადაწყვეტილება, რაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით, მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს „მ-ოს“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მის სასარგებლოდ, შპს „ტ. კ-ლს“ 433,453 ლარის გადახდა და პირგასამტეხლოს სახით – 200 000 ლარის გადახდა დაეკისრა, ხოლო შპს „მ-ოსათვის“ მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 2000 ლარის ანაზღაურება;

3.3. ამ გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, საქმეზე №2/ბ-6771-14, 2016 წლის 27 ივნისს გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის საფუძველზეც, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აღსრულება მიექცა შპს „ტ. კ-ლის“ კუთვნილ უძრავ ნივთზე მდებარე, ბათუმი,, მიწის ს/კ ..;

3.4. აღნიშნული ქონება აუქციონზე რეალიზებული იქნა 2017 წლის 30 მარტს, რის გამოც, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ, 2017 წლის 13 აპრილს გაიცა №.../001 განკარგულება, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული უძრავი ნივთის შემძენი გახდა შპს „ბ-ნი“, რომელიც განსახილველი დავის მოპასუხეა. მოპასუხე საწარმო 2017 წლის 30 აპრილს დარეგისტრირდა აუქციონზე შეძენილი უძრავი ქონების მესაკუთრედ;

3.5. მოსარჩელის მტკიცებით, 2017 წლის 30 მარტს, როგორც კი

დამთავრდა აუქციონი, ისე რომ ქონების შემძენს – მოპასუხე შპს „ბ-ნს“ არც ნასყიდობის თანხა ჰქონდა სრულად გადახდილი, არც 2017 წლის 13 აპრილის განკარგულება იყო გამოცემული და არც სასამართლო გადაწყვეტილება არსებობდა შპს „ტ. კ-ლის“ მფლობელობიდან აუქციონზე ახლადშეძენილი უძრავი ნივთის გამოთხოვის თაობაზე, მოპასუხემ დიდგაბარიტიანი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით ჩახერგა საწარმოს საქმიან ტერიტორიაზე №6 შენობის შესასვლელი, ძალადობით შეიჭრა საწარმოს ტერიტორიაზე, თვითნებურად გამორთო ელექტროენერგიის მიწოდების წყარო, სატრანსფორმატორო და საგენერატორო სათავსებს ბოქლომები დაადო, რათა შპს „ტ. კ-ლს“ არ გაეგრძელებინა საწარმოო პროცესები და ამ გზით მოპასუხე საწარმო მოსარჩელის ქონებას დაეუფლა;

3.6. ამის გამო შპს „ტ. კ-ლმა“ მეორე დღესვე, 2017 წლის 1 აპრილს, განცხადებით მიმართა პოლიციას და მოპასუხის მხრიდან ხელშეშლის აღკვეთა მოითხოვა;

3.7. მოსარჩელის მითითებით მოპასუხის მიერ ტერიტორიაზე შეჭრის დროს, მინის ნაკვეთზე განთავსებულ №6 შენობა-ნაგებობაში ფუნქციონირებდა შპს „ტ. კ-ლის“ კუთვნილი ბეტონნაკეთობათა ქარხანა, ხოლო №4 შენობა-ნაგებობაში – მინის საწარმო, რომელმაც საწარმოს ტერიტორიაზე შპს „ბ-ნის“ ძალადობრივი შეჭრის, დენის წყაროს გამორთვის და შენობა-ნაგებობაზე ბოქლომების დადების შედეგად ფუნქციონირება შეწყვიტა;

3.8. მოპასუხე საწარმოს ხელმძღვანელობის ბრძანებით, ელექტროენერგიის მიწოდების წყაროს განზრახ გამორთვის გამო დაზიანდა იტალიური ქარხნის ROSSA COMETA-ს მოძრავი რობოტი, რომლის აღდგენისთვისაც საჭიროა 17 230 ევრო, რომლის მოპასუხისათვის დაკისრებასაც მოსარჩელე მოითხოვს;

3.9. მოპასუხის ძალადობრივი შეჭრის და საწარმოო პროცესის შეჩერების/მოცდენის გამო მოსარჩელისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი ყოველდღიურად 2000 ლარს შეადგენს. ამასთან, ზიანის ზუსტი ოდენობის განსაზღვრა საწარმოო პროცესის იძულებითი შეჩერების გამო შეუძლებელია. შესაბამისად, მოსარჩელემ მოითხოვა მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ამ ზიანის ანაზღაურება 2017 წლის 1 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე;

3.10. მოსარჩელის მტკიცებით, საწარმოს ტერიტორიაზე მის მიერ დარღული 8 მეტრის სიმაღლის პალმა, აუქციონზე არ გასხვისებულა, ამდენად, მოპასუხეს უნდა დაეკისროს პალმის ღირებულება, რაც 25 000 ლარით განისაზღვრება.

4. მოპასუხის შესაგებელი

4.1. მოპასუხე საწარმომ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებ-

ლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სააუქციონო ინფორმაციის საფუძველზე, აუქციონზე გადიოდა შპს „ტ-ის“ სახელზე რეგისტრებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. ბათუმი,, დაუზუსტებელი ფართობით 30022.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ს/კ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები, რაც განმეორებით აუქციონზე შპს „ბ-ნმა“ შეიძინა;

4.2. აღმასრულებელმა 2017 წლის 13 აპრილს, შემძენი მოპასუხე საწარმოს სახელზე გასცა განკარგულება აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ, რომლის საფუძველზეც უძრავი ქონება, ყველა შენობა-ნაგებობა საჯარო რეესტრში მოპასუხის საკუთრებად დარეგისტრირდა;

4.3. მოპასუხე არ დაეთანხმა მოსარჩელის მითითებას შეძენილი ქონების ტერიტორიაზე თვითნებურად შეჭრის შესახებ, ვინაიდან შპს „ბ-ნისათვის“ საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გადაცემისა და მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, მოპასუხეს მის საკუთრებად რეგისტრირებულ ტერიტორიაზე შესასვლელად სასამართლოს გადანყვეტილება არ ესაჭიროებოდა;

4.4. მოპასუხემ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მითითება, თითქოსდა მოპასუხე საწარმომ აუქციონზე, მიწის ნაკვეთთან ერთად, მხოლოდ 8 რეგისტრირებული შენობა-ნაგებობა შეიძინა და დაურეგისტრირებელი ნაგებობები საკუთრებაში არ გადასცემია. აუქციონზე გამარჯვების შედეგად, შპს „ბ-ნს“ საკუთრებაში გადაეცა 30022.00 კვ.მ. ს/კ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული ყველა შენობა-ნაგებობა. შესაბამისად, იგი ამ ქონების კეთილსინდისიერი შემძენია;

4.5. დაუსაბუთებელია მოსარჩელის მტკიცება, რომ აუქციონი უხეში დარღვევებით ჩატარდა და ის ფაქტი, რომ აუქციონის დამთავრებისთანავე შპს „ბ-ნი“ უკანონოდ დაეუფლა ქონებას. მოპასუხე საწარმო შეძენილ ქონებას მხოლოდ მას შემდეგ დაეუფლა, რაც 2017 წლის 13 აპრილს გაიცა განკარგულება აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ და იმავე დღესვე, დაჩქარებული წესით, საჯარო რეესტრში საკუთრებად დაარეგისტრირა. მოპასუხე საწარმოს წარმომადგენლები შევიდნენ თავის ობიექტზე, დაეუფლნენ საკუთარ ქონებას, აიყვანეს დაცვა, დაკეტეს ყველა გასასვლელ-შემოსასვლელი, რათა უცხო პირი არ შესულიყო და არ დაეზიანებინა ქონებები;

4.6. დაუსაბუთებელია მოსარჩელის მითითება, თითქოს ქონების დაუფლების გამო, მოპასუხე საწარმომ განზრახ გამოართო ელექტროენერგია, რითაც იტალიური ქარხნის მოძრავი რობოტი მოსარჩელეს გაუფუჭა, რადგან ამის დამადასტურებელი მტკიცე-

ბულება მხარეს არ წარუდგენია.

5. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

5.1. ბათუმის საქალაქო სასამართლომ მოცემულ საქმეზე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა, კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებაზე, 2016 წლის 27 ივნისის გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის საფუძველზეც აღმასრულებელ ხ. ც-ის მიერ, 2017 წლის 6 მარტს გამოცხადებული განმეორებითი აუქციონი 2017 წლის 30 მარტს დასრულდა;

5.2. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ, 2017 წლის 13 აპრილს, გაიცა №A.../001 განკარგულება აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ, რომლის თანახმადაც მოვალის – შპს „ტ. კ-ლის“ საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი ბათუმი,, ... საკადასტრო კოდის არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის, დაუზუსტებელი ფართობით: 30022.00 კვ.მ-ისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის შემდეგი გახდა შპს „ბ-ნი“ (მოპასუხე);

5.3. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, 2017 წლის 13 აპრილიდან, ქ. ბათუმი, ..., №... საკადასტრო კოდის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, დაუზუსტებელი ფართობი – 30022.00 კვ.მ და მასზე არსებული შენობა ნაგებობ(ებ)ის მესაკუთრეს წარმოადგენს მოპასუხე საწარმო (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 13 აპრილის №A.../001 განკარგულება).

5.4. საქალაქო სასამართლომ განმარტა, მხარეებს შორის სადავო არ არის ის ფაქტი, რომ ს/კ ... მიწის ნაკვეთზე განთავსებულია 26 შენობა-ნაგებობა, რომელთაგან საჯარო რეესტრში ცალკე უფლების ობიექტად რეგისტრირებულია, მხოლოდ 8 შენობა. მიწის ნაკვეთზე ასევე არის 8 მეტრის სიმაღლის პალმა;

5.5. სარჩელში მითითებული იტალიური წარმოების ქარხნის „ROSSA COMETA“-ს მოძრავი რობოტის მესაკუთრეს წარმოადგენდა შპს „ტ. კ-ლი“. აღნიშნული მოძრავი ნივთი განთავსებული იყო შპს „ბ-ნის“ საკუთრებაში რეგისტრირებულ ... საკადასტრო კოდის მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობა-ნაგებობაში;

5.6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოდან გამოთხოვილი სისხლის სამართლის (№173250718003) საქმის მასალების შესწავლის და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე დასტურდება შემდეგი ფაქტობრივი გარემოები:

5.6.1. ქალაქი ბათუმი, ..., არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების №... საკადასტრო კოდის მიწის ნაკვეთის დაუზუსტებელი ფართობი: 30022.00 კვ.მ.-ს და მასზე არსებული შენობა ნაგებობ(ებ)ის (რომლის მესაკუთრეც და მფლობელიც 2017 წლის 13 აპრილამდე შპს „ტ. კ-ლი“ იყო) მოსაზღვრედ მდებარეობდა შპს „დ-ოს“ საკუთრებაში არსებული სამშენებლო ქარხანა, ე.წ. ქვის სამტრევი აგრეგატი, რომლის დირექტორსა და 100%-იანი წილის მესაკუთრეს ასევე წარმოადგენდა განსახილველი დავის მოპასუხე სანარმოს შპს „ბ-ნის“ დირექტორი – ნ. ხ-ში;

5.6.2. 2017 წლის მარტის მდგომარეობით, შპს „ტ. კ-ლის“ და შპს „დ-ოს“ სარგებლობაში არსებული ქარხნები განლაგებული იყო ერთმანეთის მომიჯნავედ, ქარხნებს შორის მთელ სიგრძეზე გადიოდა გამყოფი საავტომობილო გზა. შპს „ტ. კ-ლს“ ასევე გააჩნდა ცენტრალური შესასვლელი და შესასვლელი სანარმოს უკანა მხარეს. სანარმოს უკანა შესასვლელთან კი იდგა ქვის შენობა, სადაც განთავსებული იყო ტრანსფორმატორები, საიდანაც ელექტროენერგია ორივე სანარმოს მიეწოდებოდა;

5.6.3. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მიცემულ ჩვენებაში შპს „ტ. კ-ლის“ დირექტორმა გ. ქ-ძემ განმარტა, რომ მოსარჩელე სანარმო სადავო ტერიტორიაზე სამუშაოებს აწარმოებდა 2017 წლის 13 აპრილამდე. ზ/აღნიშნულ ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდა 2017 წლის 14 აპრილს და ელექტროენერგია აღდგა 2017 წლის 18 აპრილს. სისხლის სამართლის საქმეზე ამ დრომდე გამოძიება დასრულებული არ არის. შესაბამისად, არ დადგენილა, თუ რამ გამოიწვია ელექტროენერგიის გამორთვა (იხ. საგამოძიებო მასალების ტომი);

5.6.4. ამავე სისხლის სამართლის საქმის მასალებით დგინდება, რომ შპს „ტ. კ-ლის“ დაცვის სამსახურის თანამშრომლები 2017 წლის 13 აპრილიდან 21 აპრილამდე სადავო ობიექტის დაცვას ახორციელებდნენ შპს „ბ-ნის“ დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად. შპს „ტ. კ-ის“ მიერ, 2017 წლის 21 აპრილამდე ჩაკეტილი იყო სანარმოს ცენტრალური შესასვლელი (ჭიშკარი) და შპს „ბ-ნი“ სარგებლობდა უკანა შესასვლელით. უკანა შესასვლელით სარგებლობდნენ ასევე შპს „ტ. კ-ლის“ თანამშრომლებიც (იხ. საგამოძიებო მასალების ტომი).

7. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

7.1. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მისი გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილების მიღების გზით, სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 1 დე-

კემბრის განჩინებით.

7.2. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები (იხ. წინამდებარე განჩინების 5.1-5.6.4 ქვეპუნქტები) და დამატებით დაადგინა:

7.2.1. აღსრულების ეროვნული ბიუროს 06.03.2017წ. №964 ბრძანებით გაუქმდა აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოს-თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის – ხ. ც-ის მოქმედება №... სააღსრულებო საქმის ფარგლებში, უძრავ ნივთზე (მდებარე: ქალაქი ბათუმი, ..., საკადასტრო კოდი: ...) 2017 წლის 2 თებერვალს პირველი აუქციონის და 2017 წლის 10 თებერვალს პირველი განმეორებითი აუქციონის (№40144, №24453) გამოცხადების თაობაზე და აუქციონის შედეგები;

7.2.2. ამ განკარგულებაში მითითებულია, რომ სააღსრულებო წარმოების მასალებით ირკვევა, სარეალიზაციო ქონებაში – საწარმოო დანიშნულების შენობაში განთავსებული (დამონტაჟებული) 3 ერთეული ხიდურა ამწე წარმოადგენს მოძრავ ქონებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული უძრავი ქონების შეფასების ანგარიშში, ხოლო შენობის კონსტრუქციის ბეტონის ფილები (ე.წ. რიგელები), რაზედაც დამონტაჟებულია ხიდურა ამწეები წარმოადგენს შენობის შემადგენელ ნაწილს და გათვალისწინებულია შეფასების ანგარიშში, როგორც უძრავი ქონების შემადგენელი ნაწილი. ასევე, საწარმოო დანიშნულების შენობაში დამონტაჟებული ბეტონის ნაკეთობათა ქარხანა (დანადგარები) წარმოადგენს მოძრავ ქონებას, რომელიც არ არის შენობის შემადგენელი ნაწილი და უძრავი ქონების შეფასების ანგარიშში არ არის გათვალისწინებული;

7.2.3. შპს აუდიტურ-საკონსულტაციო კ. „ი-ის“ 2017 წლის 24 თებერვლის ქონების შეფასების №1/03 აქტის მიხედვით, შენობაში დამონტაჟებულია სამი ერთეული ჯოჯგინა ამწე, რომელიც დგას შენობაში არსებულ კოჭებზე. კოჭებთან ერთად დემონტაჟმა შესაძლებელია გამოიწვიოს კონსტრუქციის დარღვევა“;

7.2.4. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდეგში: ექსპერტიზის ეროვნული ბიურო) 26.04.2017წ. წერილით მოსარჩელე (აპელანტი) საწარმოს დირექტორს, მისი განცხადების პასუხად, რომლითაც იგი ხელვაჩაურში არსებული იტალიური ქარხნის „ROSSA COMETA“-ს მოძრავი რობოტის მწყობრიდან გამოსვლის მიზეზის დადგენის თაობაზე ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვდა, ეცნობა, რომ მოძრავი რობოტის დაზიანების მიზეზის დადგენის ორი გზა არსებობდა: ა) სპეციალური, აკრედიტირებული ლაბორატორიის არსებობა და ბ) იმავე ფორმის (მოდელის) მოძრავი რობოტის გამართული ნაწილე-

ბის (პლატები, სენსორები, ძრავები და ა.შ.) არსებობა, რომელიც გამოიციხვის მოთოდით შესაძლებელს გახდოდა დაზიანებული დეტალის დადგენას. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კირიაკ ზავერიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომდეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრის (დეპარტამენტი) საინჟინრო ექსპერტიზის სამმართველოს არ გააჩნდა მათი დავალების შესრულებისათვის საჭირო შესაბამისი ლაბორატორია და ასეთი ტიპის ექსპერტიზას ვერ ჩაატარებდა;

7.2.5. აუდიტურ-საკონსულტაციო კ. „ი-ის“ 30.05.2017წ. აუდიტორული დასკვნის თანახმად, მათთან მოსარჩელე საწარმოს დირექტორის მიერ წარმოდგენილი, 2017 წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე პერიოდზე საგადასახადო ბაზაში შემოსავლებთან დაკავშირებით არსებული ბანკის ამონაწერების და სხვა დოკუმენტების ანალიზის მიხედვით, შპს „ტ. კ-ლის“ ყოველდღიური შემოსავალი სამეწარმეო საქმიანობიდან საშუალო შეწონილის მეთოდით დაახლოებით 2000 ლარს შეადგენს.

8. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებლად, სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ, მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამოიციხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (იხ. სუსტ-ები: №ას-1529-1443-2012, 09.12.2013წ; №ას-973-1208-04).

9. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა (იხ. წინამდებარე განჩინების 2.1-2.5 ქვეპუნქტები) გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 170.1, 172.1,

408.1, 411-ე, 982.1-ე, 992-ე მუხლებიდან. უძრავ ქონებაზე (დაურეგისტრირებელ შენობა-ნაგებობებზე) მესაკუთრედ აღრიცხვასთან დაკავშირებით სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით კი სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 148-ე და 159-ე მუხლებზე მიუთითა, რომელთა თანახმად, ნივთი შეიძლება იყოს მოძრავი ან უძრავი. უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული ნიადაგით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე. ამავე კოდექსის 150.1-ე მუხლის თანახმად, ნივთის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე (ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი), ცალკე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს. ამავე კოდექსის 171-ე მუხლის თანახმად, ნივთზე საკუთრების უფლება ვრცელდება ასევე ამ ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებზედაც.

10. მითითებული ნორმების სამართლებრივი ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სადავო (დაურეგისტრირებელი) შენობა-ნაგებობები და პალმის ხე წარმოადგენს მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს, რომელზედაც დამოუკიდებელი სანივთო უფლება არ წარმოიშობა. არსებითი შემადგენელი ნაწილის იურიდიული ბედი მთლიანადაა დაკავშირებული მთავარ ნივთთან და, როგორც წესი, არ შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი. აქედან გამომდინარე, არსებითი შემადგენელი ნაწილის დამოუკიდებლად განკარგვა შეუძლებელია, იგი განიკარგება მთავარ ნივთთან ერთად და ეს არაა დამოკიდებული ურთიერთობის მონაწილეთა ნებაზე. კერძოდ, მიწის ნაკვეთის შესყიდვისას ივარაუდება, რომ შეძენილია ამ მიწასთან დაკავშირებული შენობა-ნაგებობები და სხვა არსებითი შემადგენელ ნაწილები. სსკ-ის 150-ე მუხლით განსაზღვრული მთავარი ნივთისა და მისი არსებითი შემადგენელი ნაწილების კავშირურთიერთობის შინაარსი განაპირობებს იმას, რომ ამავე კოდექსის 171-ე მუხლის თანახმად, ნივთზე საკუთრების უფლება ვრცელდება ასევე, ამ ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებზედაც. ზემოხსენებული მსჯელობა სრულად შეესაბამება საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან პრაქტიკას (იხ. სუსგ-ები: №ას-1081-1110-2011, 10.11.2011; №ას-500-476-2013, 21.10.2013).

11. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მოპასუხე საწარმოს მიერ აუქციონზე შეძენილი №... საკადასტრო კოდის მიწის ნაკვეთზე განთავსებული, ცალკე უფლების ობიექტად დაურეგისტრირებული სადავო შენობა-ნაგებობების გამოცალკევება შესაძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე. ვინაიდან, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს მიეკუთვნება როგორც მასზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხე საწარმომ ქ. ბათუმში, ... შესახვევში მდებარე, №... საკადასტრო კოდის 30 022.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვებით, ასევე საკუთრების უფლება მოიპოვა მასზე განთავსებულ ყველა ნაგებობაზე და პალმის ხეზე, რაც გამორიცხავს 17 ერთეული დაურეგისტრირებული სადავო შენობა-ნაგებობის მოსარჩელე საწარმოს საკუთრებაში აღრიცხვის, ასევე პალმის ხის ღირებულების ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

12. სააპელაციო სასამართლომ ასევე იმსჯელა და დაუსაბუთებლად მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე. სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან, თუ სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებიდან. სასამართლოში წარდგენილი სარჩელში (სარჩელის მე-4 ფაქტობრივი გარემოება), ასევე სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტის (მოსარჩელის) წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიუღებელი შემოსავლის სახით ყოველთვიურად 2000 ლარის ოდენობით ზიანს ითხოვს მოპასუხე საწარმოს იმ მოქმედების გამო, რომლითაც მოსარჩელეს ქონების შემძენმა შეუზღუდა მის კუთვნილ, დაურეგისტრირებელ 17 ერთეულ შენობა-ნაგებობაში ბეტონის ქარხნის საწარმოო პროცესის წარმართვისათვის მოძრავი ნივთების გადატანის შესაძლებლობა. კერძოდ, დიდგაბარიტიანი სატრანსპორტო საშუალებებით ჩახერგა საწარმოს საქმიან ტერიტორიაზე №6 შენობის შესასვლელი, სადაც ფუნქციონირებდა მოსარჩელის კუთვნილი ბეტონნაკეთობათა ქარხანა (იხ. სააპელაციო სასამართლოს 29.07.2020 წლის სხდომის ოქმი 17:21:50-დან).

13. სსკ-ის 316.1-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმო-

შობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ №..... საკადასტრო კოდის 30 022.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები 2017 წლის 13 აპრილიდან წარმოადგენს მოპასუხე საწარმოს საკუთრებას, აპელანტის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ შეძენილი ქონების მესაკუთრეს არ ჰქონდა უფლება, ხელი შეეშალა უძრავი ქონების წინა მესაკუთრისათვის შენობა-ნაგებობების ნაწილით (17 ერთეული) სარგებლობაში გაზიარებული ვერ იქნება. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ აუქციონზე მიწის ნაკვეთის შეძენითა და საჯარო რეესტრში მოპასუხის, როგორც შეძენის, სახელზე ამ ქონების რეგისტრაციის შემდეგ, თავდაპირველმა მესაკუთრემ- აპელანტმა ამ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ უძრავ ქონებაზე უფლება სამართლებრივად დაკარგა, რაც გამორიცხავს ამ ქონებით სარგებლობაზე ხელშეშლის გამო, ზიანის ანაზღაურების სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას;

14. აპელანტის მოთხოვნასთან დაკავშირებით იტალიური წარმოების ქარხნის „ROSSA COMETA“-ს მოძრავი რობოტის აღდგენის ღირებულების 17 230 ევროს ანაზღაურების თაობაზე სააპელაციო სასამართლომ განმარტა: საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოძრავი ნივთის დაზიანებას მოსარჩელე უკავშირებს მოპასუხე საწარმოს ხელმძღვანელობის ბრძანებით ელექტროენერგიის მიწოდების წყაროს განზრახ გამორთვას. ამდენად, აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს დელიქტური ვალდებულებიდან, სსკ-ის 992-ე მუხლიდან, რომლის თანახმადაც პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. დელიქტური პასუხისმგებლობისათვის გამოკვეთილი უნდა იყოს შემდეგი წინაპირობები: ზიანი, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა და ქმედებას შორის. ამათგან, თუნდაც ერთ-ერთი ელემენტის არარსებობა გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტმა სასამართლოს ვერ წარუდგინა მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ქონების აუქციონზე შეძენი საწარმოს მხრიდან ელექტროენერგიის განზრახ, ბრალეულად გათიშვას და ამ ქმედების გამო მოძრავი ნივთის დაზიანებას (მიზეზობრივი კავშირი), სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ აპელანტმა (მოსარჩელემ) ვერ შეძლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 102-ე მუხლით გათვალის-

წინებული მტკიცების სტანდარტის დაცვა, სათანადო უტყუარი მტკიცებულებების წარდგენის გზით ვერ დაადასტურა მოპასუხე მხარის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების არსებობა, რამაც ამ ნაწილშიც გამოორიცხა სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

15. მოსარჩელის საკასაციო საჩივრის პრეტენზიები

15.1. მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 1 დეკემბრის განჩინება, საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა მოითხოვა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის (იხ. სასარჩელო მოთხოვნა 2.1-2.5 ქვეპუნქტებში) დაკმაყოფილება (ალტერნატიული მოთხოვნის სახით კასატორმა მოითხოვა საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება სააპელაციო სასამართლოს იმავე პალატისათვის სამართლებრივი მითითებებით – იხ. საკასაციო საჩივარი) შემდეგ საკასაციო პრეტენზიებზე დაყრდნობით:

15.1.1. კასატორის მტკიცებით სააპელაციო სასამართლომ, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, არასწორად დაადგინა, რომ 30 022.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის, მდებარე: ქ. ბათუმი, ... (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №...) მესაკუთრეს წარმოადგენს მოპასუხე სანარმო – შპს „ბ-ნი“. სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ აუქციონზე გასხვისებულ მიწის ნაკვეთთან ერთად მოპასუხემ შეიძინა მასზე განთავსებული მხოლოდ 8 რეგისტრირებული შენობა-ნაგებობა და 1 არარეგისტრირებული შენობა-ნაგებობა, დანარჩენი ქონება სამოქალაქო ბრუნვას ვერ დაექვემდებარებოდა და მათზე საკუთრების უფლების მოპოვების საფუძველი ვერ გახდებოდა შემძენის მესაკუთრედ რეგისტრაცია, რადგან ამ ქონებაში სადავო შენობა-ნაგებობების ნასყიდობის საფასური შემძენს არ გადაუხდია, ისევე როგორც – 8 მეტრის სიმაღლის პალმის ფასი, რაც 25 000 ლარია. ამას ისიც ადასტურებს, რომ მოპასუხემ სადავო შენობა-ნაგებობების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში ვერ შეძლო;

15.1.2 კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას სსკ-ის 148-ე და 159-ე მუხლებთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ ის გარემოება, რომ სადავო შენობა-ნაგებობები ცალკე უფლების ობიექტები იყო, დასტურდება სააღსრულებო წარმოების მასალებით, რადგან ისინი არ ყოფილა მიქცეული აღსრულების ბიუროს მიერ სარეალიზაციოდ. კასატორი უთითებს სააღსრულებო წარმოების მასალებზე და აუქციონის განაცხადის ტექსტზე, რომლის მიხედვით, სარეალიზაციო უძრავი ქონება მდებარეობს ქ. ბათუმში, ..., წარმოადგენს სამეწარმეო ზონას. ობიექტი არის მი-

ნის ნაკვეთი მასზე განთავსებული საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობებით. საკადასტრო რუკის მიხედვით, რეგისტრირებულია რვა შენობა. კერძოდ, №1 შენობა – საყარაულოს ადმინისტრაციული შენობა (დაუზუსტებელი აზომვით 338.00 კვ.მ); №2 შენობა – სასაწყობე შენობა (დაუზუსტებელი აზომვით – 214 კვ.მ), №3 შენობა – ერთსართულიანი შენობა (დაუზუსტებელი აზომვით – 438.00 კვ.მ); გარე კედლები შებათქაშებულია, ჩასმულია მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები; №4 შენობა – ანგარის ტიპის საწარმოო დანიშნულების შენობა (დაუზუსტებელი აზომვით 1961.00 კვ.მ); №5 შენობა – ანგარის ტიპის საწარმოო დანიშნულების შენობა (დაუზუსტებელი აზომვით – 599.00 კვ.მ); №6 შენობა – საწარმოო დანიშნულების კონსტრუქციული შენობა (დაუზუსტებელი აზომვით – 3888.00 კვ.მ); №7-8 შენობები წარმოადგენს სატრანსფორმატოროს შენობებს და დაურეგისტრირებელი შენობა (დაუზუსტებელი აზომვით 22.00 კვ.მ); მიწის ნაკვეთის რელიეფი ვაკე, შემოღობილია, ობიექტი უზრუნველყოფილია ელექტრომომარაგებით და წყალმომარაგებით; საჯარო რეესტრის მონაცემებით სარეალიზაციო მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობია 30 022 კვ.მმ ხოლო შენობა-ნაგებობების საერთო ფართი 6 971.00 კვ.მ-ია;

15.1.3. კასატორის მითითებით, საწარმოს დანიშნულების შენობის კონსტრუქციის ბეტონის ფილებზე (ე.წ. რიგელებზე) განთავსებულია (დამონტაჟებულია) 3 ერთეული ხიდურა ამწე, რომელიც არ არის სარეალიზაციოდ წარმოდგენილი. კერძო აუდიტის მიერ წარდგენილი 2017 წლის 24 თებერვლის №1/03 დასკვნის თანახმად, შენობაში დამონტაჟებული სამი ერთეული ჯოჯგინა ამწის დემონტაჟმა კოჭებთან ერთად შესაძლებელია გამოიწვიოს შენობის კონსტრუქციული ნაწილის დარღვევა;

15.1.4. ასევე სარეალიზაციოდ არ არის წარდგენილი შენობაში განთავსებული ბეტონის ნაკეთობათა ქარხანა-დანადგარები. კასატორი უთითებს, რომ სწორედ სააუქციონო განაცხადის ტექსტის მიხედვით შეიძინა მოპასუხე საწარმომ აუქციონზე მოსარჩელის უძრავი ნივთი, შესაბამისად, უსაფუძვლოა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობა, რომ მოპასუხე მის მიერ შეძენილ ნივთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრე გახდა და სადავოდ გამხდარი შენობა-ნაგებობები არ შეიძლებოდა ყოფილიყო დამოუკიდებელი ბრუნვის საგანი; კასატორის მოსაზრებით, შენობა-ნაგებობა დამოუკიდებლადაც წარმოადგენს უძრავ ნივთს, მიწის, როგორც უძრავი ნივთის შემადგენელ ნაწილადაც რომ იქნეს მიჩნეული, მისი გამოცალკევება მთლიანი მიწის ნაკვეთიდან სრულიად შესაძლებელი იყოს და არის, რადგან ეს არ გამოიწვევს

მთლიანი ნივთის ან მისი ნაწილის განადგურებას ან/და მათი დანიშნულების მოსპობას. კასატორის პრეტენზია იმასაც ეხება, რომ სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია, თუ რატომ იყო შეძლებელი 30 022 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ცალკე მდგომი სადავო შენობა-ნაგებობის გამოცალკევება, ისევე როგორც დაუსაბუთებელია, რატომ მოისპობოდა მიწის ნაკვეთის, როგორც უძრავი ნივთის, დანიშნულება სადავო შენობა-ნაგებობის გამოცალკევების შემთხვევაში. ამ ნაწილში კასატორი უთითებს საქმის მასალებში მოთავსებულ ფაქტების კონსტატაციის ოქმზე და განმარტავს, რომ ოქმზე დართულ რუკაზე ცხადად ჩანს, რა ინტერვალითაა დაშორებული სადავო შენობა ნაგებობები რეალიზებული შენობა ნაგებობებიდან, რომელთაც ფუნქციური კავშირი არ გააჩნიათ გასხვისებულ შენობა-ნაგებობებთან;

15.1.5. კასატორის პრეტენზია იმასაც ეხება, რომ სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით ხელი შეუწყო სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგოდ მითვისებას იმ პირობებში, როდესაც თვითონ შეეძლო სსსკ-ის მე-4 მუხლის ფარგლებში, თავისი ინიციატივით მიემართა კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებებისათვის, მაგ. ნივთიერი მტკიცებულებების ადგილზე დათვალიერება ჩატარებინა (სსსკ-ის 120-ე მუხლი), თავისი ინიციატივით დაედგინა ადგილზე დათვალიერება (სსსკ-ის 159-ე მუხლი), რისთვისაც იხელმძღვანელებდა სსსკ-ის XV თავით დადგენილი წესით; საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლოს საკუთარი ინიციატივით შეეძლო დაენიშნა ექსპერტიზა (სსსკ-ის 162-ე მუხლი), რაც უგულებელჰყო ორი ინსტანციის სასამართლომ;

15.1.6. კასატორის პრეტენზიით მოპასუხე საწარმოს „მესაკუთრეები ცნობილი „რუსთავი-2“-ის ხ-ები არიან და პატრონობდათ წინა მოწვევის პარლამენტარი ფ. ხ-ი, კიდევ ერთი ქონება დაუბრუნა, რაც სს „თ.“ ბ-ში ჰქონდათ ჩატოვებული საკრედიტო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ხოლო მოსარჩელე საწარმომ წლების მერე შეიძინა უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში“ (იხ. საკასაციო საჩივარი);

15.1.7. კასატორის მტკიცებით, სასამართლომ შესრულებული საპროცესო მოქმედებებიც კი უგულებელჰყო. პირველი ინსტანციის სასამართლოს 2018 წლის 22 ივნისის სხდომაზე მოსარჩელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, შესაბამისად, სასამართლომ მოპასუხე საწარმოს ქმედებების გამო მოსარჩელის (კასატორის) განცხადებების საფუძველზე მოკვლეული მასალები სრულად არა მხოლოდ შსს ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოდან გამოითხოვა, არამედ იმავე საოქმო განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამარ-

თლის იურიდიულ პირს-აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს დაევალა ფაქტების კონსტატაცია, კერძოდ, ფაქტის დადგენა ქ. ბათუმი, ..., ს/კ ..., №4 და №6 შენობა-ნაგებობაში განთავსებული იყო, თუ არა მინის საწარმო და ბეტონნაკეთობათა ქარხანა; ფაქტების კონსტატაცია მხარეთა თანდასწრებით უნდა განხორციელებულიყო, თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილებაში საერთოდ არსად არ აღუნიშნავს, რომ მოპასუხემ ფაქტის კონსტატაციის მიზნით, საქმიან ტერიტორიაზე, ორგზის მისვლის მიუხედავად, არ შეუშვა აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენელი და, რაც ყველაზე მთავარია, არაფრად ჩააგდო თავად სასამართლო და მისი განჩინება. აპელანტის მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლომ არ შეაფასა ეს გარემოება, რაც მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა განმარტებულიყო, კერძოდ ბეტონის ქარხნის არსებობა და მოპასუხის მხრიდან ხელშეშლის ფაქტი დადასტურებულად მიეჩნია. პირი, რომელიც სასამართლოს არ დაემორჩილა, სრულიად ლოგიკურია ჩვეულებრივ რიგით პირს და ყოფილ მესაკუთრეს უფლებას არ მისცემდა კუთვნილი მოძრავი ნივთი/ნივთები საწარმოს ტერიტორიაზე სხვა გაუსხვისებელ შენობაში გადაეტანა, დაემონტაჟებინა და სამეწარმეო საქმიანობა განეხორციელებინა; კასატორი უთითებს შსს-დან გამოთხოვილ საგამოძიებო მასალებზე და კონკრეტულ პირთა გამოკითხვის ოქმებზე, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიაჩნია 2017 წლის 21 აპრილის განმარტება, სადაც მოპასუხე საწარმოს წარმომადგენელი ნ. ხ-ში ადასტურებს ელექტროენერგიის გათიშვას, თუმცა ბრალეულობას უარყოფს, თავისად მიიჩნევს ბეტონის ქარხანას, რაზედაც საკუთრების უფლება არ მოუპოვებია და რისი მოცდენის გამოც მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს;

15.1.8. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე თავიდან უარყოფდა ბეტონის შენობა-ნაგებობათა ქარხნის არსებობას მის მიერ შეძენილ შენობა-ნაგებობებში, თუმცა დაახლოებით 2 თვის შემდეგ, მეორე ინსტანციის სასამართლოში აღიარა ფაქტი, რომ მოსარჩელეს არ გამოუთხოვია მისი კუთვნილი ბეტონის ქარხანა და არც მისი დემონტაჟი მოუთხოვია. მხარის განმარტება პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებში ერთმანეთს ეწინააღმდეგება, რაც არ შეაფასა სასამართლომ, ისევე როგორც არ უმსჯელია, რა ფაქტს დაადასტურებდა ფაქტის კონსტატაცია, რაზედაც არ უმსჯელია სასამართლოს. ქონების აუციონზე შემძენი საწარმო ძალადობით დაეუფლა ქონებას, გამოაძევა ყოფილი მესაკუთრე და მისი მიჩნევა კეთილსინდისიერ შემძენად წაახალისებს ყველა იმ მესაკუთრეს, რომელიც ასეთი ძალადობის დემონსტრირებით დაეუფლება საკუთრებას. მოპასუხე სა-

წარმოს უკანონო მოქმედებით მოსარჩელეს შეეზღუდა მისი კუთვნილი, დაურეგისტრირებული 17 ერთეული შენობა-ნაგებობაში ბეტონის ქარხნის საწარმოო პროცესის წარმართვისათვის მოძრავი ნივთების გადატანის შესაძლებლობა. მოპასუხემ დიდგაბარიტიანი სატრანსპორტო საშუალებებით ჩახერგა საწარმოს ტერიტორიაზე №6 შენობის შესასვლელი, სადაც მოსარჩელის კუთვნილი ბეტონნაკეთობათა ქარხანა ფუნქციონირებდა. სააპელაციო ეტაპზე საქმის განხილვამდე მოსარჩელისათვის უცნობი იყო ეს ქარხანა დაშალეს, სხვაგან გადამალეს, თუ რა ბედი ეწია. ამ პირობებში კი სასამართლოს უნდა დაესაბუთებინა, თუ რამდენად საკმარისი იყო მოპასუხის მესაკუთრეობა, როგორ დაეუფლა იგი საწარმოს ტერიტორიაზე ქონებას. ამდენად უგულებელყოფილია სსკ-ის 172-ე მუხლის მოთხოვნა. კასატორისათვის მიყენებული ზიანის უარსაყოფად არასაკარისია მარტოოდენ ის გარემოება, რომ 2017 წლის 13 აპრილიდან მოპასუხემ აუქციონზე შეიძინა უძრავი ქონება, რითაც ყველაფერს დაეუფლა, და არა აუქციონზე გატანილ 8 რეგისტრირებულ და 1 არარეგისტრირებულ შენობა-ნაგებობას. კასატორს აღსრულების ბიუროს მიერ აუქციონის ჩატარებიდან მხოლოდ 17 დღის შემდეგ ეცნობა, რომ აღარ იყო ქონების მესაკუთრე; სასამართლომ არ შეაფასა მოპასუხის მიერ საკუთრების დაჩქარებული ნესით რეგისტრაცია, მოსარჩელისათვის საკუთრების უფლების წარდგენის გარეშე, მოპასუხეს არ მოუთხოვია ნივთების დემონტაჟი და მოძრავი ნივთების გატანა, რადგან ქარხანა თავისად მიიჩნედა, თუმცა, აუქციონში მონაწილეობის გამო მას უნდა სცოდნოდა აუქციონის პირობები;

15.1.9 რაც შეეხება პალმის ხის ღირებულების მოპასუხისათვის დაკისრებას, აღნიშნული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობაც დასაბუთებულია ვინაიდან, იგი ბუნებრივად არ აღმოცენებულა და არ წარმოადგენს უძრავი ნივთის ძირითად ელემენტს, მისი გადაქცევა მოძრავ ნივთად შესაძლებელია (ამის მაგალითია თუნდაც შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკში გადატანილი ასწლოვანი მცენარეები), ამასთან იგი აუქციონზე გასხვისებული არ ყოფილა, მისი ღირებულება არც ნასყიდობის ფასში – მიწის ღირებულებაში შესულა;

15.1.10. კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იტალიური ქარხნის „ROSSA COMETA“-ს მოძრავი რობოტის მწყობრიდან გამოსვლის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში (იხ. წინამდებარე განჩინების 7.2.4 ქვეპუნქტი).

16. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

16.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

2021 წლის 25 ივნისის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დასაშვებად სსსკ-ის არსებითად განსახილველად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

16.2. მხარეთა მორიგების ხელშეწყობის მიზნით, საკასაციო სამართლომ ზეპირი მოსმენით დანიშნულ სხდომაზე, მოისმინა მათი მოსაზრებები და წინადადებები, მორიგების ხელშეწყობის მიზნით 2021 წლის 18 ნოემბერს მიიღო განჩინება სადავო უძრავ ქონებაზე ექსპერტიზის ჩატარებისა და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენის მიზნით (იხ. სსსკ-ის 218-ე მუხლი);

16.3. კასატორის 2022 წლის 2 თებერვლის (სარეგისტრაციო №ა-409-22) განცხადებით სასამართლოს ეცნობა, რომ შეუძლებელი აღმოჩნდა მხარეთა შორის მორიგების მიღწევა, მორიგებას ხელი შეუშალა მოპასუხე საწარმომ, რომელმაც არ უზრუნველყო სასამართლოს განჩინებით განსაზღვრულ ყველა ობიექტზე ექსპერტების დაშვება. ამის პასუხად 2022 წლის 24 თებერვლის ზეპირი მოსმენით გამართულ სხდომაზე, მოპასუხე საწარმოს წარმომადგენელმა ადვოკატმა განმარტა, რომ კასატორის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ შეეფერებოდა სინამდვილეს. მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა, საკასაციო სასამართლომ მხარეთა პოზიციები სააპელაციო სასამართლოს განჩინების თაობაზე მოისმინა 2022 წლის 24 თებერვლის სხდომაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, შეფასებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითი განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოსარჩელის საკასაციო განაცხადი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

17. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სსსკ-ის 410-ე მუხლის საფუძ-

ველზე საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. მოცემულ შემთხვევაში „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება გამოიკვეთა.

18. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამოორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში; მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველბთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდика, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა.

19. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირისაკენ მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა, საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწ-

ყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

20. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და მათი აღრევა არიდებული უნდა იქნეს. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა (იხ. ბოელინგი /ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდთა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.)

21. მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან თუ სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებიდან.

22. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარ-

ჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). მოსარჩელის სტადიის შემდეგ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოპასუხის სტადია, რაც მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების პასუხად შესაგებელში შედავებული გარემოებების კვალიფიციურობაზეა დამოკიდებული. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის დიდი პალატის გადაწყვეტილებაში (საქმეზე №ას-664-635-2016; პუნქტი 201) მითითებულია: „2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს (საქართველოს 28.12.2007წ.-ის კანონი №5669-სსმ), რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა მხარისათვის უარყოფით საპროცესოსამართლებრივ შედეგებს იწვევს. კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება შეუდავებლად და, შესაბამისად, დამტკიცებულად. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგანაც მოსარჩელე თავისუფლდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან. აღნიშნული გარემოება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაცაა. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად ითვლება“.

23. ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება (შეად. სუსგებს: №ას-475-2019, 15.04.2021წ; №ას-1065-2020, 08.04.2021წ;

NNა-338-2019, 22.03.2021წ.).

24. სსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

25. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანყვეტის გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).

26. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქულტატური მოვალეობა. მხა-

რეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვევებისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან.

27. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ სამართლებრივი ნორმა. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვევებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2003, გვ.64).

28. განსახილველ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ გასაჩივრებული განჩინების ფაქტობ-

რივ-სამართლებრივი მოტივაცია ვერ გააბათილა საკასაციო საჩივრის ავტორმა, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 1 დეკემბრის განჩინება.

29. სასამართლოს მსჯელობა ეფუძნება მხარის სასარჩელო მოთხოვნას და მის ფარგლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სსკ-ის 248-ე მუხლის საფუძველზე „სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა“. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას (იხ. წინამდებარე განჩინების 2.1-2.5 ქვეპუნქტები) წარმოადგენს ქ. ბათუმში საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებისა და ასევე მათი (შენობა-ნაგებობების) კუთვნილი მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობა. ამ მოთხოვნიდან გამომდინარეობს და მას ემყარება მოსარჩელის სხვა მოთხოვნებიც, რომელიც მოსარჩელე საწარმოს ფუნქციონირებისათვის (სამეწარმეო საქმიანობისათვის) მოპასუხის მხრიდან უკანონო ხელშეშლის გამო მოსარჩელისათვის (კასატორისათვის) ყოველდღიურად მიყენებლ ზიანს – მიუღებელ შემოსავალს ეხება; ასევე, მოსარჩელე ითხოვს იტალიური წარმოების ქარხნის მოძრავი რობოტის აღდგენის ღირებულებისა და მოპასუხის მიერ აუქციონზე შეძენილ მიწის ნაკვეთზე არსებული 8 მეტრიანი სიმაღლის პალმის ხის ღირებულების დაკისრებას მონინალმდეგისათვის.

30. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ მართებულად განსაზღვრა მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, რაც უნდა შემოწმდეს სსკ-ის 170-ე, 172.1-ე, 408.1, 411-ე, 982.1 და 992-ე მუხლების წინაპირობების მიხედვით, ხოლო მოპასუხის საკუთრებად რიცხულ უძრავ ქონებაზე განთავსებული დაურეგისტრირებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრედ მოსარჩელის ცნობის ნაწილში – სსკ-ის 148-ე, 159-ე, 150-ე და 171-ე მუხლების შესაბამისად.

31. მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ განმეორებით აუქციონზე გასხვისებამდე მოსარჩელე საწარმოს (კასატორის) საკუთრებად ირიცხებოდა უძრავი ქონება ქ. ბათუმი, ... შესახვევი, №... საკადასტრო კოდის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, დაუზუსტებელი ფართობი-30 022.00 კვ.მ და მასზე არსებული შენობა ნაგებობ(ებ)ი, რაც საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, განმეორებით აუქციონზე 2017 წლის 30 მარტს შეიძინა მოპასუხე საწარმომ და 2017 წლის 13 აპრილიდან უძრავი ქონების მესაკუთრედ აღირიცხა (უფლების დამადასტურებელი

დოკუმენტი – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 13 აპრილის №A.../001 განკარგულება).

32. საკასაციო სასამართლომ 2022 წლის 24 თებერვლის სხდომაზე (იხ. სასამართლო სხდომის ოქმი 15:01:06-დან 15:09:56) მოისმინა კასატორის პოზიცია მის სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც №..... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული დაურეგისტრირებელი შენობა-ნაგებობ(ებ)ისა და ამ ნაგებობ(ებ)ის ქვეშ არსებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობას უკავშირდება. კასატორმა საკუთარი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სსკ-ის 173-ე მუხლი და მოთხოვნის ფაქტობრივი გარემოებების ნაწილში განმარტა, რომ იმ პირობებში როდესაც დადგენილია, რომ მოსარჩელე და მოპასუხე საწარმოების დაცვის თანამშრომლები, 2017 წლის 21 აპრილამდე, ერთობლივად იცავდნენ აუქციონზე მოპასუხის მიერ შეძენილ ქონებას, ეს იმას ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ არ იყო გამოთავისუფლებული მოსარჩელე საწარმოს კუთვნილი ქონებისაგან (ნივთებისაგან) აუქციონზე გასხვისებული და მოპასუხის მიერ შეძენილი უძრავი ქონება, რაც მოსარჩელეს (კასატორს) აძლევს უფლებას, თავისი მოთხოვნა დააფუძნოს 173.3-ე მუხლს „საერთო საკუთრებაში არსებული ნივთის მოვლისა და შენახვის ხარჯები თანამესაკუთრეებს ეკისრებათ თანაბრად, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“ (იხ. საკასაციო სასამართლოს 24.02.2022წ. სხდომის ოქმი 15:09:56-დან 15:10:39-მდე; ასევე 16:12:28-დან).

33. კასატორის ამ პრეტენზიის საპასუხოდ საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო რეესტრის, როგორც პუბლიცირებულ უფლებათა, მონაცემების მიხედვით დადგენილია, რომ №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მოპასუხეს აქვს მოპოვებული საკუთრების უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ სსკ-ის 312-ე მუხლის თანახმად „რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფიცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა“. „ევროპული ქვეყნების სანივთო სამართალში მოქმედი საჯარო ნდობის პრინციპი ქართულ სამართალში განსხვავებული სახითაა წარმოდგენილი. აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფიციის სახელწოდებით (სსკ-ის 312). საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონით აღნიშნულ პრინციპს – საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების უტყუარობის პრეზუმფიცია ეწოდება (სრშკ-ის 5). ევროპული ქვეყნების სანივთო სამართალში პრინციპის სტატუსით მოქმედებს, ხოლო ქართულ სანივთო სამარ-

თაღში პრეზუმფციის (ვარაუდის) შინაარსი აქვს. მარეგისტრირებული ორგანო პასუხს არ აგებს რეგისტრაციის საფუძვლად არსებული დოკუმენტაციის ნამდვილობაზე, არამედ პასუხისმგებელია მის მიერ განხორციელებული რეგისტრაციის სისწორეზე. აქედან გამომდინარე, საჯარო ნდობის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს. მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრირებული ინფორმაცია მხოლოდ იმ დრომდე ითვლება სწორად, ვიდრე რეგისტრაციის საფუძვლად არსებული დოკუმენტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად იქნება ცნობილი. საჯარო რეესტრის ან მომსახურების სააგენტოში განხორციელებული რეგისტრაცია მხოლოდ იმ დრომდე ითვლება სწორედ, ვიდრე საწინააღმდეგო ფაქტი არ იქნება დადასტურებული სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით, ან თავად მარეგისტრირებელი ორგანო კანონიერების პრინციპის დაცვით არ მიიღებს რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებას (იხ. საჯარო რეესტრის შესახებ კანონის 26.1.ბ) – (იხ. თამარ მოთაძე, სანივთო სამართალი. სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გვ 38; გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014წ.).

34. მოცემულ შემთხვევაში სსკ-ის 173.3-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობა – მოსარჩელისა და მოპასუხის საერთო საკუთრებაში სადავო ნივთის არსებობა არ არის გამოვლენილი. კასატორი საწარმოს დირექტორის მტკიცებით, მიწის ნაკვეთზე, რომელიც დღეს მოპასუხე საწარმოს საკუთრებად ირიცხება, „სხვა შენობა-ნაგებობებია“, ანუ დაურეგისტრირებელი ნაგებობები, რომელიც არ შეუძენია მოპასუხე საწარმოს განმეორებით აუქციონზე და ამიტომ ამ დაურეგისტრირებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრეა მოსარჩელე (კასატორი) საწარმო (იხ. საკასაციო სასამართლოს 24.02.2022წ. სხდომის ოქმი 15:20:28-დან). საქმის მასალებით დადგენილია, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2017 წლის 13 აპრილს გაიცა №A.../001 განკარგულება აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ, რომლის თანახმადაც იმხანად მოვალის, რომელიც ამ დავაში მოსარჩელე საწარმოა, საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების (იხ. 31-ე პუნქტი) შეძენი გახდა მოპასუხე საწარმო.

35. სსკ-ის 148-ე მუხლის თანახმად „ნივთი შეიძლება იყოს მოძრავი ან უძრავი“, ხოლო 149-ე მუხლის ძალით „უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე“, 150-ე მუხლი ნივთის არსებით შემადგე-

ნელ ნაწილად მიჩნევის წინაპირობებს ადგენს: „1. ნივთის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე (ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი), ცალკე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. 2. მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს“. იურიდიული დოქტრინაში სანივთო სამართლის შემდეგ ძირითად პრინციპებს გამოყოფენ: „ამომწურავი (დახურული) ნუსხის (ჩამონათვალი), იგივე *numerus clausus* პრინციპი, რომელიც მხარეებს ავალდებულებს გამოიყენონ მხოლოდ კანონით განსაზღვრული სანივთო სამართლებრივი ინსტიტუტები და უკრძალავს მათ, შექმნან ახალი უფლებები ან შეცვალონ არსებული უფლებების შინაარსი; ამდენად, ხელშეკრულების თავისუფლება სანივთო სამართალში იმაზე უფრო შეზღუდულია, ვიდრე ვალდებულებით სამართალში. საჯაროობის პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებისათვის სანივთო უფლებების განსაზღვრის შესაძლებლობას; *superficies solo cedit*-ის პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს ნაკვეთისა და ნაგებობის სამართლებრივ ერთიანობას; განსაზღვრულობისა და სანივთო სამართლის ობიექტის ინდივიდუალიზაციის პრინციპი, რომლის თანახმად, სანივთო სამართლის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი, რაც იძლევა შესაძლებლობას გარკვევით განისაზღვროს, სამოქალაქო ბრუნვის რომელ ობიექტზე ვრცელდება ესა თუ ის სანივთო უფლება“ (იხ. თამარ ზარანდია, სანივთო სამართალი, გვ.61; გამომცემლობა „მერიდიანი“, მეორე შევსებული გამოცემა, 2019წ.).

36. განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ № ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მოპასუხის საკუთრებად ირიცხება სააჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, განთავსებულია 26 შენობა-ნაგებობა, რომელთაგან საჯარო რეესტრში ცალკე უფლების ობიექტად რეგისტრირებულია მხოლოდ 8 შენობა. მიწის ნაკვეთზე ასევე არის 8 მეტრის სიმაღლის პალმა (იხ. წინამდებარე განჩინების 5.4 და 7.2 ქვეპუნქტები). „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით განმარტებულია, რომ უძრავი ნივთი არის მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე, შენობა-ნაგებობა (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული), შენობა-ნაგებობის ერთეული (მშენებარე, აშენებული ან დან-

გრეული) და ხაზობრივი ნაგებობა; ამავე კანონის მე-4 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრი არის უძრავ ნივთებზე უფლების, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

37. სსკ-ის 148-ე, 149-ე, 150-ე (ნორმათა დეფინიცია იხ. წინამდებარე განჩინების 34-ე პუნქტში) მუხლების საფუძველზე და იურიდიულ მეცნიერებაში დამკვიდრებული superficies solo cedit-ის პრინციპის გათვალისწინებით „მინის ნაკვეთზე მდებარე ნაგებობის სამართლებრივი ბედი დაკავშირებულია მოცემული მინის ნაკვეთის სამართლებრივ ბედთან, რაც უზრუნველყოფს ნაკვეთისა და ნაგებობის სამართლებრივ ერთიანობას... სამოქალაქო კოდექსის 193-ე მუხლის თანახმად, თუ მოძრავი ნივთი ისეა მინის ნაკვეთთან დაკავშირებული, რომ იგი ამ მინის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი გახდება, მაშინ მინის ნაკვეთის მესაკუთრე 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, იმავდრულად ხდება ამ ნივთის მესაკუთრეც. 150-ე მუხლის მე-2 ნაწილი კი მინის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილებს მიაკუთვნებს შენობა-ნაგებობს და მინასთან მყარად დაკავშირებულ სხვა ნივთებს. ამ გზით superficies solo cedit-ის პრინციპი უზრუნველყოფს სამართლებრივ განსაზღვრულობას, რადგან საშუალებას აძლევს ნაკვეთის პოტენციურ შემძენს საკმაოდ მარტივად განსაზღვროს, თუ რა ნივთებზე ვრცელდება შეთანხმება. ამასთან, ამ გზით თავიდან არის აცილებული ის ეკონომიკური დანაკარგები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ნაკვეთისა და შენობის სხვადასხვა პირისათვის კუთვნილების შემთხვევებში“ (იხ. თამარ ზარანდია, სანივთო სამართალი, გვ.66; გამომცემლობა „მერიდიანი“, მეორე შევსებული გამოცემა, 2019წ.). ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიერ არ არის გაზიარებული კასატორი (მოსარჩელე) სანარმოს მტკიცება, რომ მოპასუხე სანარმომ განმეორებით აუქციონზე შეიძინა №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მინის ნაკვეთზე განთავსებული არა 26-ვე შენობა-ნაგებობა, არამედ მხოლოდ ცალკე უფლების ობიექტად რეგისტრირებული 8 შენობა.

38. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს, რომ არსებითი შემადგენელი ნაწილის იურიდიული ბედი მთლიანადაა დაკავშირებული მთავარ ნივთთან და, როგორც წესი, იგი არ შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია არსებითი შემადგენელი ნაწილის დამოუკიდებლად განკარგვა. იგი განიკარგება მთავარ ნივთთან ერთად და ეს არაა დამოკიდებული ურთიერთობის მონაწი-

ლეთა ნებაზე. მაგალითად, თუ პირი ყიდულობს მიწას, ივარაუდებ, რომ იგი ყიდულობს ამ მიწასთან დაკავშირებულ შენობა-ნაგებობებს და სხვა არსებით შემადგენელ ნაწილებს. სსკ-ის 150-ე მუხლით განსაზღვრული მთავარი ნივთისა და მისი არსებითი შემადგენელი ნაწილების კავშირუროთიერთობის შინაარსი განაპირობებს იმას, რომ, ამავე კოდექსის 171-ე მუხლის თანახმად, ნივთზე საკუთრების უფლება ვრცელდება ასევე ამ ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებზედაც (სხვა მრავალთა შორის იხ. სუსგ-ები: №ას-1081-1110-2011, 10.11.2011; №ას-500-476-2013, 21.10.2013; №ას-1163-1118-2016, 29.06.2017; №ას-577-2019, 28.02.2020წ.).

39. ერთ-ერთ საქმეზე, საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 150-ე (არსებითი შემადგენელი ნაწილი) და 151-ე (საკუთვნებელი) მუხლების გამოყენებაზე მსჯელობა შემდეგნაირად განავითარა: „სსკ-ის 150-ე მუხლი ადგენს ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილის ზოგად დეფინიციას, ასევე განსაზღვრავს რა მიიჩნევა მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილად: ნივთის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე (ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი), ცალკე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებში. მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს. სსკ-ის 151-ე მუხლი კი აწესებს, რა მიიჩნევა საკუთვნებლად: საკუთვნებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და, დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთვნებლად. ნივთის შემადგენელი ნაწილის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სამოქალაქო ბრუნვის ტრადიციები, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს, თვით ნივთის სამეურნეო დანიშნულება. ნივთის შემადგენელ ნაწილად უნდა ჩაითვალოს ის, რაც მიზნობრივადაა დაკავშირებული მასთან. ასევე საჭიროა, რომ ამ კავშირის შედეგები განვიხილოთ, როგორც ერთიანი ნივთი. როცა ნივთების კავშირით იქმნება ერთიანი ნივთი, მაშინ არ შეიძლება ვილაპარაკოთ სხვადასხვა ნივთზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საკუთრების უფლებით (სუსგ №3კ-675-02, 22.11.2002წ.)“ - იხ. სუსგ №ას-263-2020, 6.11.2020წ.

40. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ არსებითი შემად-

გენელი ნაწილები ნივთის ისეთი ნაწილებია, რომლებიც: „ა) შეუძლებელია ერთმანეთისაგან იმგვარად იქნეს დაშორებული, გამოცალკევებული, რომ ამით არ განადგურდეს ერთი ან მეორე ნაწილი (ნივთები, რომლებიც სხვა ნივთთან შეერთების შედეგად კარგავენ დამოუკიდებლობას და ერთი მთლიანი ნივთის ნაწილები ხდებიან); ან ბ) არ შეიცვალოს მათი ბუნება და დანიშნულება (გამოცალკევება შესაძლებელია, მაგრამ ეს უარყოფითად აისახება მათ ბუნებასა და დანიშნულებაზე, ასევე მათ ეკონომიკურ ღირებულებაზე). შესაბამისად, ან ერთი, ან მეორე წინაპირობის არსებობის შემთხვევაში ნივთის შემადგენელი ნაწილი შეიძლება მივიჩნიოთ არსებითად. არსებითი შემადგენელი ნაწილის განსაზღვრისას გადამწყვეტია სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული შეხედულება ან ობიექტური დამკვირვებლის გონივრული განსჯა... ნივთსა და არსებით შემადგენელ ნაწილს შორის არსებობს მუდმივი კავშირი. სწორედ ეს განაპირობებს კანონის დანაწესს, რომლის მიხედვითაც მთავარ ნივთზე საკუთრების უფლება ვრცელდება მის არსებით შემადგენელ ნაწილებზეც (სსკ-ის 171-ე მუხლი). ამდენად, თუ მოძრავი ნივთი გახდა უძრავი ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი, უძრავი ნივთის მესაკუთრე მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას (იხ. თამარ შოთაძე, სანივთო სამართალი. სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014წ., გვ.70). ის გარემოება, რომ ნივთი სხვა ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილია და იზიარებს სხვა ნივთის სამართლებრივ ბედს, უზრუნველყოფს ნივთების უსარგებლო დაზიანების თავიდან აცილებას (იხ. ლევან თოთლაძე, სსკ-ის კომენტარი, წიგნი II, 2018, მუხ. 171, ველი 1). რაც შეეხება არაარსებით შემადგენელ ნაწილებს, შესაძლებელია ნივთისაგან მათი ზიანის გარეშე გამოცალკევება, ამით არ იცვლება მათი ბუნება და დანიშნულება, ეს უარყოფითად არ აისახება მათ ეკონომიკურ ღირებულებაზე. მაგალითად, სტანდარტული ასაწყობი სამზარეულო. იმის დასადგენად, თუ რამდენად მოჰყვა/მოჰყვება ნივთის ნაწილების განცალკევებას განცალკევებული ნაწილის ან დარჩენილი ნაწილის განადგურება ან ბუნების/დანიშნულების მოსპობა თუ შეცვლა, საჭიროა შესაბამისი შეფასება. კერძოდ, უნდა გაირკვეს, შესაძლებელია თუ არა განცალკევების შემდეგ ნივთის ნაწილების ეკონომიკურად გამოყენება და განცალკევებული ნაწილების ღირებულება რამდენად ახლოს იქნება ნივთის განცალკევებამდე არსებულ ღირებულებასთან (იხ. ლევან თოთლაძე, სსკ-ის კომენტარი, მუხ. 150, ველი 6). არსებითი შემადგენელი ნაწილი შესაძლებელია თავად შეიცავდეს არსებით შემადგენელ ნაწილებს. მაგალითად, შენობა-ნაგებობის, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მიწის ნაკვეთის

არსებით შემადგენელ ნაწილს, არსებით შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა ნივთები, რომლებიც საჭიროა შენობის ასაგებად და შედის მის შემადგენლობაში. მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილებისგან განსხვავებით, მყარი კავშირი, როგორც წესი, აქ არაა აუცილებელი. საკმარისია, რომ ნივთი შედიოდეს შენობა-ნაგებობის შემადგენლობაში (იხ. ბესარიონ ზოიძე, სანივთო სამართალი, გამომცემლობა „უფლება“, 1999წ., გვ.27,28). შენობის მოსაპირკეთებლად და დასრულებული იერის მისაცემად დართული ნივთები შენობის არსებითი შემადგენელი ნაწილებია. შენობა მოიაზრება თავის შემადგენელ ნაწილებთან ერთად, რომლითაც იგი აღჭურვილია: შიდა კედლები, ლიფტი, მოაჯირი, წყლის მილი, გათბობის და განათების სისტემა, შიდა ფანჯრები. საყურადღებოა, რომ კრიტიკულად წარმოადგენს არა გამოცალკევების უნარი, არამედ იმ პირის განზრახვა, ვინც შენობა ააშენა (იხ. თამარ ზარანდია, სანივთო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, მეორე შევსებული გამოცემა, 2019წ., გვ.114). შესაძლებელია შენობა-ნაგებობაში გათბობის გარკვეული დანადგარების განთავსება დროებითი მიზნითაც, რაც ვერ იქნება განხილული მის არსებით შემადგენელ ნაწილად. პალატა განმარტავს, რომ მხოლოდ დროებით მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს ისეთი მიერთება, როდესაც შეიძლება გამოცალკევება თავიდანვე იყო განზრახული და ეს გარეგნულადაც აღქმადი (მაგ.: ელექტრო გამათბობელი, გაზის გამათბობელი). აღნიშნულის საპირისპიროდ, გონივრულია განსჯა, რომ უძრავი ქონების მესაკუთრის მიერ ფართში ერთიანი გათბობის სისტემის მონტაჟი დროებითი მიზნით არ ხდება და შესაბამისად, იგი იქცევა უძრავი ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილად“. (იხ. სუსგ №ას-263-2020, 6.11.2020წ).

41. ამდენად, კასატორის მოთხოვნას სხვის საკუთრებად რიცხულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული, საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებელ 17 შენობა-ნაგებობასა და მათი კუთვნილი (17 შენობა-ნაგებობის ქვეშ არსებული) მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი.

42. კასატორის მტკიცებით, ის 2017 წლის 13 აპრილამდე კანონიერად, მართლზომიერად ახორციელებდა სამენარმეო საქმიანობას იმ მიწის ფართობზე, რომელიც მოპასუხემ შეიძინა, ხოლო უძრავი ქონება ამ უკანასკნელს გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში არ გადასცემია, რაც კასატორს, მისი მტკიცებით, მოთხოვნის უფლებას წარმოუშობს სსკ-ის 172-ე მუხლის საფუძველზე. კასატორი უთითებს, რომ დღეის მდგომარეობითაც, მოპასუხის საკუთრებად რიცხულ მიწის ნაკვეთზე არის მოთავსებული მოსარჩელის კუთვნილი ნივთები. საკასაციო სასამართლო სსკ-ის 248-ე მუხ-

ლზე და მოსარჩელის მოთხოვნაზე (იხ. წინამდებარე განჩინების 29-ე პუნქტი) დაყრდნობით, განმარტავს, რომ სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე №..... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა მოპასუხე საწარმო, რომელმაც შეიძინა მიწის ნაკვეთი არსებით შემადგენელ ნაწილთან ერთად, რაც შეეხება დასახელებული ნორმის მე-2 ნაწილს, იგი განსაზღვრავს საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის გზით, ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მესაკუთრის უფლებას, ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. კასატორი საწარმოს დირექტორს მიაჩნია, რომ მოპასუხის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე დარჩა ის ქონება (შენობა-ნაგებობები), რომლებიც არ იყო სააუქციონო განაცხადში მითითებული (იხ. საკასაციო სასამართლოს 24.02.2022წ. სხდომის ოქმი 15:49:45-დან). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ საქმეზე №2/ზ-6771-14, 2016 წლის 27 ივნისს გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის საფუძველზეც აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აღსრულება მიექცა შპს „ტ.კ-ლის“, რომელიც ამ დავაში მოსარჩელეა (კასატორი), კუთვნილ უძრავ ნივთზე, მდებარე, ბათუმი, ... შესახვევი, მიწის ს/კ ...; აღნიშნული ქონება აუქციონზე რეალიზებული იქნა 2017 წლის 30 მარტს, რის გამოც, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ, 2017 წლის 13 აპრილს გაიცა A.../001 განკარგულება, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული უძრავი ნივთის შემძენი გახდა შპს „ბ-ნი“, რომელიც განსახილველი დავის მოპასუხეა. მოპასუხე საწარმო 2017 წლის 30 აპრილს დარეგისტრირდა აუქციონზე შეძენილი უძრავი ქონების მესაკუთრედ; საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს 2017 წლის 13 აპრილის A.../001 განკარგულებაზე, სადაც მითითებულია, რომ აუქციონზე გასხვისდა მოვალის (განსახილველი დავის კასატორი საწარმოს) საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონება, მდებარე: ქალაქი ბათუმი,, დაუზუსტებელი ფართობით 30 022.00 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა(ებ)ი, ამ ქონების შემძენი იძულებით აუქციონზე გახდა მოპასუხე საწარმო (იხ. საკასაციო პრეტენზია წინამდებარე განჩინების 15.1.2 ქვეპუნქტი). ამდენად, კასატორის მოთხოვნა, რომ მოპასუხის ძალადობრივი შეჭრის და საწარმოო პროცესის შეჩერების/მოცდენის გამო მოსარჩელისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი ყოველდღიურად 2000 ლარს შეადგენს (ამასთან, ზიანის ზუსტი ოდენობის განსაზღვრა საწარმოო პროცესის იძულებითი შეჩერების გამო შეუძლებელია, შესაბამისად, მოსარჩელემ მოითხოვა მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ამ ზიანის ანაზღაურება

2017 წლის 1 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე) ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული, რის გამოც მართებულად არ დაკმაყოფილდა ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ. სისხლის სამართლის საქმის მასალებით დადგენილია და სადავო არ არის, რომ მოსარჩელე საწარმოს დაცვის სამსახურის თანამშრომლები 2017 წლის 13 აპრილიდან 21 აპრილამდე სადავო ობიექტის დაცვას ახორციელებდნენ მოპასუხე საწარმოს დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად. მოსარჩელე საწარმომ (კასატორმა მხარემ) 2017 წლის 21 აპრილამდე ჩაკეტა საწარმოს ცენტრალური შესასვლელი (ჭიშკარი) და მოპასუხე საწარმოს თანამშრომლები სარგებლობდნენ უკანა შესასვლელით, ასევე უკანა შესასვლელს იყენებდნენ მოსარჩელე საწარმოს თანამშრომლებიც (იხ. საგამოძიებო მასალები).

43. კასატორის პრეტენზიის პასუხად, რომელიც წინამდებარე განჩინების 15.1.4 ქვეპუნქტშია მითითებული, საკასაციო სასამართლო მიუთითებს 17-27 პუნქტებში ასახულ პროცესუალურ მოწესრიგებაზე და განმარტავს, რომ მოსარჩელეს მოეთხოვება მისი სარჩელის წარმატებული იურიდიული შედეგისათვის შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა, კერძოდ, მოსარჩელეს უნდა დაემტკიცებინა მოპასუხის მიერ შეძენილ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობებიდან კონკრეტულად რომელი ქონებისა და ნივთების გამოცალკევება შესაძლებელია, უნდა დაემტკიცებინა, რომელი ქონება (ნივთი) არ არის მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი და უნდა დაემტკიცებინა, რომ კონკრეტული ქონების გამოცალკევება არ გამოიწვევდა მთლიანი ნივთის ან მისი ნაწილის განადგურებას ან/და მათი დანიშნულების მოსპობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა მიმართული უნდა ყოფილიყო მოძრავი ნივთების (ქონების) გამოთხოვისაკენ იმ პირისაგან, რომელიც, მართალია, აუქციონზე გასხვისებული უძრავი ქონების შემძენია და ამ ქონების მესაკუთრედ ირიცხება საჯარო რეესტრში, თუმცა, მას არ ეკუთვნის გამოცალკევებადი ქონება, ანუ ის ნივთები, რომელიც არ არის მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი, ამასთან აღნიშნული მტკიცების ტვირთის ფარგლებში მხედველობაშია მისაღები ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე მიიჩნევა ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილად კონკრეტული ნივთი (იხ. წინამდებარე განჩინების 37-39 პუნქტები). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელეს ასეთი მოთხოვნა არ დაუყენებია, ის ითხოვს კონკრეტული ქონების, რომელიც სხვის მიწის ნაკვეთზეა განთავსებული, მესაკუთრედ ცნობას. ამ მიმართებითაც წინააღმდეგობრივია კასატორის პოზიცია, რადგან, ერთი მხრივ, ითხოვს კონკრეტულ ქო-

ნებაზე მესაკუთრედ ცნობას, ხოლო, მეორე მხრივ, უთითებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელის საკუთრებად არ არის აღრიცხული მოპასუხის მიერ შეძენილ მიწის ნაკვეთზე აღმართული დაურეგისტრირებელი შენობა-ნაგებობები, ისინი მაინც არ გასხვისებულა და არ წარმოადგენს მოპასუხე სანარმოს საკუთრებას (იხ. საკასაციო სასამართლოს 24.02.2022წ. სხდომის ოქმი 16:22:24 - დან).

44. კასატორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომელიც წინამდებარე განჩინების 15.1.5 ქვეპუნქტშია მითითებული და სსსკ-ის 159-ე მუხლის (ნივთიერ მტკიცებულებათა ადგილზე დათვალიერება) გამოყენებას ეხება, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამ დანაწესის მიხედვით სასამართლოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით აქვს უფლება, დაადგინოს ადგილზე დათვალიერება, ხოლო სსსკ-ის 162-ე მუხლის გამოყენება, რომელიც სასამართლოს ინიციატივით ექსპერტიზის დანიშვნას განსაზღვრავს, ასევე სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილებაა და არა – ვალდებულება.

45. კასატორის პრეტენზია, რომელიც წინამდებარე განჩინების 15.1.6 ქვეპუნქტშია ასახული, აბსტრაქტულია და ფაქტობრივ საფუძველს მოკლებული, რადგან საქმის განმხილველი კოლეგიური შემადგენლობის მიმართ კასატორს არც ერთ ეტაპზე არ დაუყენებია მოსამართლის/მოსამართლეთა აცილება.

46. კასატორის პრეტენზია, რომელიც წინამდებარე განჩინების 15.1.7-15.1.8 ქვეპუნქტებშია ასახული, არ არის გაზიარებული, რადგან მოსარჩელის ქონება აუქციონზე გასხვისების შედეგად შეძენის (მოპასუხის) საკუთრება გახდა და აღირიცხა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, შესაბამისად, ბეტონის ქარხნის, როგორც მოსარჩელის კუთვნილი მოძრავი ნივთის გამოცალკევებადობის თაობაზე, მოსარჩელეს უნდა დაეძლია მტკიცების ტვირთი, რაც სასამართლოს მისცემდა მსჯელობისა და შეფასების საშუალებას ამ ქარხნის თაობაზე, კერძოდ, არის თუ არა ის გამოცალკევებადი ნივთი. მოსარჩელის საკასაციო პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომელიც საქმეში მოთავსებული სისხლის სამართლის საქმის მასალებზე დაყრდნობით მოპასუხე სანარმოს დირექტორის ნ. ხ-შის 2017 წლის 21 აპრილის განმარტებას ეხება (იხ. სისხლის სამართლის საქმის მასალები); საკასაციო სასამართლო მიუთითებს გამოკითხვის ოქმზე, რომელშიც მითითებულია რომ 2017 წლის 15 აპრილს, როგორც მოპასუხე სანარმოს დირექტორს – ნ. ხ-ს შეატყობინეს, მის ობიექტზე გათიშულა ელექტროენერგია, ელექტროენერგია გათიშულა შპს „ტ. კ-ლის“ ყოფილ ქარხანაშიც, რომელიც ამ დროისათვის მოპასუხის საკუთრებას წარმოადგენს. კასატორი ამტკი-

ცებს, რომ მოპასუხე ჯერ უარყოფდა, ხოლო მოგვიანებით მან აღიარა (სწორედ ამ გამოკითხვის ოქმითაც), რომ აუქციონზე შეძენილ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ბეტონის ქარხანა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხის მიერ შეძენილ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ნებისმიერი მოძრავი, განცალკევებადი ნივთის არსებობის, მათ შორის ნივთებისა, რომლებიც არ განეკუთვნებიან მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს, მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, რომელიც ამტკიცებს, რომ მას უფლება გააჩნია ამ ნივთებზე. კასატორის პრეტენზია, რომ მოპასუხეს არ მოუთხოვია შეძენილ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ნივთების დემონტაჟი და მოძრავი ნივთების გატანა, რადგან ქარხანა თავისად მიაჩნდა, არ არის დასაბუთებული. დადგენილია და სადავო არ არის, რომ განმეორებით აუქციონზე მიწის ნაკვეთი მოპასუხე საწარმომ შეიძინა, სააუქციონო განკარგულების მიხედვით (იხ. წინამდებარე განჩინების 41-ე პუნქტი) განსაზღვრულია, რომ მოპასუხემ შეიძინა უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით).

47. კასატორის პრეტენზიებს, რომლებიც ახალი მესაკუთრის მიერ უძრავი ქონების დაჩქარებული წესით რეგისტრაციას უკავშირდება, სამართლებრივად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს განსახილველი დავისათვის, რადგან შეძენილი ქონების დაჩქარებული წესით რეგისტრაცია არ არღვევს კანონმდებლობას და არ ეწინააღმდეგება საჯარო მართლწესრიგს.

48. მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც პალმის ხის ღირებულების – 25 000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრებას ეხება (იხ. წინამდებარე განჩინების 2.5 ქვეპუნქტი), საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გარდა იმისა, რომ მოპასუხემ განმეორებით აუქციონზე მიწის ნაკვეთის შეძენით სრულად შეიძინა ის ქონება, რომელიც მანამდე მოსარჩელეს (კასატორს) ეკუთვნოდა, კასატორის იმ მითითების გაზიარების შემთხვევაშიც, რომ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია ხეთა გადატანა შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკში (იხ. კასატორის პრეტენზია წინამდებარე განჩინების 15.1.9 ქვეპუნქტში), მას არ აქვს დაძლეული მტკიცების ტვირთი, რომ გაყიდულ მიწის ნაკვეთზე პალმის ხე სწორედ მოსარჩელემ დარგო, ისევე, როგორც არ არის დასაბუთებული მისი ღირებულება, თუმცა, რადგან ნივთზე უფლებას ვერ ამტკიცებს კასატორი, მისი ფასის განსაზღვრის ნაწილი აღარც არის მნიშვნელოვანი მოცემული დავისათვის. კასატორის პრეტენზიის პასუხად, რომელიც საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს ეხება, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იურიდიული დოქტრინა იცნობს ე.წ. „გარდამავალი მდგომარეობის მქონე მოძრავ ნივთებს“, რაც იმას

ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში კასატორს (მოსარჩელეს) უნდა დამტკიცებინა, რომ პალმის ხე მან დარგო, ამასთან ეს ისეთი მოძრავე ნივთია, რომელსაც გააჩნია თავისებურება, რომ „მოძრავე ნივთიდან უძრავ მდგომარეობაში – უძრავ ნივთში ტრანსფორმირდეს“ (იხ. თამარ ზარანდია, სანივთო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, მეორე შევსებული გამოცემა, 2019წ., გვ.90-92), ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოძრავ ნივთებად მოჭრილი ხეები განიხილება. კასატორი სარჩელში უთითებს, რომ მან დარგო 8 მეტრის სიმაღლის პალმის ხე, თუმცა, საამისო მტკიცებულება არ წარუდგენია სასამართლოსათვის, ისევე, როგორც არ მიუთითებია და დაუდასტურებია, თუ რატომ უნდა იქნეს ის მიჩნეული გადაადგილებად მოძრავ ნივთად, რომელიც მოძრაიდან უძრავ ნივთად გარდაიქმნა და კვლავაც შესაძლებელია მისი მოძრავ ნივთად ტრანსფორმირება.

49. კასატორის პრეტენზია (იხ. კასატორის პრეტენზია წინამდებარე განჩინების 15.1.10 ქვეპუნქტი), რომელიც იტალიური დანადგარის „როსა კომეტას“ მოძრაი რობოტის დაზიანებას უკავშირდება და აქედან განმომდინარე მოთხოვნას 17 230 ევროს მოპასუხის მხრიდან მოსარჩელისათვის ანაზღაურების თაობაზე (იხ. წინამდებარე განჩინების 2.4 და 3.9 ქვეპუნქტები), დაუსაბუთებლად არის მიჩნეული, რადგან დადგენილია, რომ ვერ გამოიკვეთა მიზეზშედეგობრივი კავშირი მოპასუხის მიერ შეძენილ ობიექტზე (მინის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები) ელექტროენერგიის გამორთვისა და დანადგარის დაზიანებას შორის. საქმეზე თანდართულ სისხლის სამართლის მასალებში წარმოდგენილია გამოძიების დაკითხვის ოქმი, სადაც გამოკითხული პირი- პროფესიით ელექტრიკოსი ც. მ-ძე განმარტავს, რომ მას დაუკავშირდა მოპასუხე საწარმოს დირექტორი ნ. ხ-ში და უთხრა, რომ მის საწარმოს ტექნიკური პრობლემის გამო არ მიენოდებოდა შუქი, რის გამოც ელექტრიკოსს სთხოვა მისვლა და ელექტროენერგიის შეწყვეტის მიზეზის დადგენა. ელექტრიკოსმა განმარტა, რომ იმ დღეს არ ეცალა, ხოლო მეორე დღეს აღდგომის დღესასწაული იყო, რის გამოც დასვენების დღეების მერე მივიდოდა. ელექტრიკოსი სააღდგომო დასვენების დღეების შემდეგ მივიდა მოპასუხე საწარმოში, რა დროსაც დირექტორი იქ არ იმყოფებოდა, თუმცა მისმა თანამშრომლებმა აჩვენეს ის შენობა, სადაც განთავსებულია ტრანსფორმატორები და დამხმარე ელექტრო ხელსაწყოები... ფიზიკური ზემოქმედების შედეგად რაიმე დაზიანებული ან გადაჭრილი არ ყოფილა (იხ. სისხლის სამართლის საქმის მასალები). ამ საკითხზე მსჯელობისას მოპასუხე საწარმოს წარმომადგენელმა, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებთან ერ-

თად, საკასაციო სასამართლოს ყურადღება გაამახვილა სისხლის სამართლის საქმის მასალებზე, კერძოდ, მოსარჩელე (კასატორი) საწარმოს დირექტორის – გ. ქ-ძის გამოკითხვის ოქმზე, რომელმაც ადვოკატის თანდასწრებით განმარტა, რომ „ელექტრო ენერგიის შეწყვეტის შემთხვევაში არის ელექტრო ენერგიის ალტერნატიული წყარო, თუმცა, აღნიშნული მოქმედებით ჩვენს საწარმოს რაიმე ზიანი არ მისდგომია და სამუშაოები არ შეჩერებულა“ (იხ. სისხლის სამართლის საქმის მასალები). ეს მტკიცებულება საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების ფარგლებში სრულად გამოქვეყნდა საკასაციო სასამართლოს 24.02.2022წ. სხდომაზე (იხ. სხდომის ოქმი 17:18-დან). მოპასუხემ საკუთარი მტკიცების ფარგლებში ასევე ყურადღება გაამახვილა საქმის მასალებში „ინტერაუდიტის“ დასკვნაზე, რომელშიც მითითებულია, რომ „ჩვენთან შპს „ტ. კ-ლი“-ს დირექტორის გ. ქ-ძის მიერ წარმოდგენილი იქნა 2017 წლის 15 მაისს წერილი იმის შესახებ, რომ 01.04.2017 წელს შპს „ბ-ნი“ შეიჭრა მათ საწარმოში და გააჩერა წარმოება. კერძოდ, შპს „ტ. კ-ლი“-ს ბეტონნაკეთობათა ქარხანაში, მდებარე დაბა, იტალიური წარმოების დანადგარის „ROSSA COMETA“-ს დაზიანების შედეგად 2017 წლის 1 აპრილიდან საწარმოო პროცესი შეჩერებულია. ასევე წარმოდგენილ იქნა საგადასახადო ბაზაში არსებული ინფორმაცია შემოსავლებთან დაკავშირებით 2017 წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე პერიოდზე და შესაბამის პერიოდზე ბანკის ამონაწერები მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებით“ (ეს მტკიცებულება გამოქვეყნდა საკასაციო სასამართლოს 24.02.2022წ. სხდომაზე, იხ. ოქმი 17:43:03-დან) და განმარტა, რომ 1 აპრილის მდგომარეობით ეს დანადგარი უკვე დაზიანებული იყო და მასთან არავითარი კავშირი არ აქვს მოპასუხეს. კასატორის მონინააღმდეგე მხარემ ყურადღება გაამახვილა, რომ მიუხედავად იმისა, საქმის მასალებით არ არის დადგენილი, რომ მოპასუხე საწარმოს დირექტორის მითითებით შეწყდა ელექტროენერგიის მიწოდება, იმ თეორიული დაშვებითაც, რომ მოპასუხე საწარმოს დირექტორმა გაათიშინა ელექტროენერგიის მიწოდება მის მიერ შეძენილ უძრავ ქონებაზე, არ დგინდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მოსარჩელისავე მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და იტალიური დანადგარის დაზიანებას შორის. წინამდებარე განჩინების 42-ე პუნქტზე მითითებით, საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა გამოდინარეობს დელიქტური ვალდებულებიდან, სსკ-ის 992-ე მუხლიდან, რომლის თანახმადაც პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან უფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუ-

ნაზღაუროს მას ეს ზიანი. დელიქტური პასუხისმგებლობისათვის გამოკვეთილი უნდა იყოს შემდეგი წინაპირობები: ზიანი, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა და ქმედებას შორის. ამათგან, თუნდაც ერთ-ერთი ელემენტის არარსებობა გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. კასატორმა მხარემ სასამართლოს ვერ წარუდგინა მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ქონების აუქციონზე შემძენი საწარმოს მხრიდან ელექტროენერგიის განზრახ, ბრალეულად გათიშვას და ამ ქმედების გამო მოძრავი ნივთის დაზიანებას (მიზეზობრივ კავშირს), რაც იმას ნიშნავს, რომ კასატორმა ვერ შეძლო სსსკ-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცების სტანდარტის დაცვით, სათანადო უტყუარი მტკიცებულებების წარდგენის გზით ემტკიცებინა მოპასუხე მხარის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების არსებობა, რამაც ამ ნაწილშიც გამოირიცხა სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

50. კასატორის მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხემ აღიარა, რომ მის მიერ შეძენილ მიწის ნაკვეთზე არის მოსარჩელე საწარმოს კუთვნილი ქონება, რაც დასტურდება სისხლის სამართლის საქმის მასალებში არსებული გამოკითხვის ოქმებით (იხ. მოპასუხე საწარმოს გამოკითხვის ოქმი), საკასაციო სასამართლო განმარტავს ამ ოქმში მითითებულს, რომ მოპასუხე საწარმოს მიერ შეძენილ ტერიტორიაზე არის გარკვეული დანადგარები და საგნები, რომელიც მოპასუხე საწარმოს არ ეკუთვნის, მაგრამ არც მისი მესაკუთრის ვინაობაა ცნობილი მხარისათვის; ამ დანადგარების წაღების და გატანის მოთხოვნით მოპასუხე საწარმოსათვის ვინმეს არც წერილობით და არც ზეპირსიტყვიერად არ მიუმართავს. მოპასუხე საწარმოს დირექტორი დასმული კითხვის პასუხად განმარტავს, რომ თუ ვინმე მოპასუხეს მიმართავს კონკრეტული დაზღა-დანადგარის თაობაზე კანონიერი მესაკუთრის სტატუსით, შესაბამისი დოკუმენტაციის და პროცედურების გავლის შემდგომ, შეუძლიათ ნაილონ, რასაც მოპასუხე არ შეენიანააღმდეგება. ამ ნივთების გამოთხოვა შესაძლოა დამოუკიდებელი დავის საგანი იყოს შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის გზით, რაც შეუძლებელია განხილული იქნეს მოცემული დავის ფარგლებში მოსარჩელის მოთხოვნიდან გამომდინარე.

51. ზემოხსენებული ფაქტობრივი და სამართლებრივი მოტივაციის საფუძველზე საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის არსებითი განხილვის გზით მივიდა დასკვნამდე, რომ კასატორმა ვერ დაძლია კუთვნილი მტკიცების ტვირთი, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი შეფასება უცვლელად უნდა დარჩეს, როგორც დასაბუთებული და

კანონიერი.

52. სსკ-ის 55.2-ე მუხლის მიხედვით კასატორს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრება, საქართველოს უზენაესი სამართლოს 2021 წლის 15 აპრილის განჩინებით, გადავადებული სახელმწიფო ბაჟის გადახდა, რადგან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა ღ ზ ი ნ ა:

1. შპს „ტ. კ-ლის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 1 დეკემბრის განჩინება;
3. შპს „ტ. კ-ლს“ (ს/კ) დაეკისროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 15 აპრილის განჩინებით (საქმე №ას-120-2021) საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 8000 ლარის გადახდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკუთვნებელი
ბანკინება
საქართველოს სახელით

№ას-1489-2019

5 ივნისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე**

დავის საგანი: ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, უძრავ ნივთზე, მდებარე: ქალაქი თბილისი, ..., ბინა №8 (ს/კ), რეგისტრირებულია ე. დ-ის (შემდეგში: მოსარჩელე ან კასატორი) საკუთრების უფლება.

2. თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2018 წლის 10 აგვისტოს ნივთის აღწერისა და დაყადაღების შესახებ აქტით დაყადაღებულია შემდეგი მოძრავი ნივთები: 1. მოთეთრო ფერის „სამსუნგის“ ფირმის ტელეფონი; 2. სამეული- მოყავისფრო-მოთეთრო ფერის ნაჭრის (ალკანტარას) დივანი და 2 ცალი იმავე ფერის და ნაჭრის სავარძელი; 3. მოყავისფრო ხის ოთხკუთხედი ჟურნალების მაგიდა; 4. მოშავო ფერის „სამსუნგის“ ფირმის ორკამერიანი მაცივარი; 5. მოთეთრო ფერის ოთხკუთხედი ხის მაგიდა; 6. მოთეთრო ფერის ნაჭრის 6 სკამი; 7. მოშავო ფერის „ტოშობას“ ფირმის ტელეფონი; 8. მოშავო ფერის „LG“-ის ფირმის ტელეფონი; 9. მოთეთრო ფერის „ინდეზიტის“ ფირმის სარეცხი მანქანა; 10. მოშავო ფერის „ლენოვო“ ფირმის ლეპტოპი.

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ 2018 წლის 6 სექტემბერს გაცემული № 63052 წერილის მიხედვით, 2018 წლის 10 აგვისტოს ნივთის აღწერისა და დაყადაღების შესახებ აქტით დაყადაღებულ სადავო მოძრავ ნივთებზე იძულებითი აუქციონი დანიშნული არ არის.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

4.1. მოსარჩელის სარჩელი ი. კ-ისა (შემდეგში: მეორე მოპასუხე ან აპელანტი) და ბ. კ-ს (შემდეგში: თავდაპირველი მოპასუხე) წინააღმდეგ დაკმაყოფილდა;

4.2. ყადაღისაგან გათავისუფლდა თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2018 წლის 10 აგვისტოს ნივთის აღწერისა და დაყადაღების შესახებ აქტით დაყადაღებული ნივთები: 1. მოთეთრო ფერის „სამსუნგის“ ფირმის ტელევიზორი; 2. შამეული – მოყავისფრო-მოთეთრო ფერის ნაჭრის (ალკანტარას) დივანი და 2 ცალი იმავე ფერის და ნაჭრის სავარძელი; 3. მოყავისფრო ხის ოთხკუთხედი ჟურნალების მაგიდა; 4. მოშავო ფერის, „სამსუნგის“ ფირმის ორკამერიანი მაცივარი; 5. მოთეთრო ფერის ოთხკუთხედი ხის მაგიდა; 6. მოთეთრო ფერის ნაჭრის 6 სკამი; 7. მოშავო ფერის „ტოშიბას“ ფირმის ტელევიზორი; 8. მოშავო ფერის „LG“-ის ფირმის ტელევიზორი; 9. მოთეთრო ფერის „ინდეზიტის“ ფირმის სარეცხი მანქანა; 10. მოშავო ფერის „ლენოვოს“ ფირმის ლეპტოპი.

4.3. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მათ შორის – ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, ასევე ხელშეკრულებებით, მოწმეთა ჩვენებებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დაყადაღებული მოძრავი ნივთების მესაკუთრეს წარმოადგენს მოსარჩელე და არა მოვალე (თავდაპირველი მოპასუხე – იხ. წინამდებარე განჩინების 4.1 ქვეპუნქტი). ამასთან, მოპასუხემ ვერ დაადასტურა სადავოდ გამხდარი ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის განქორწინება ფიქტიურია, რაც მისი მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა.

4.4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნას დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, მტკიცების ტვირთი აკისრიათ მხარეებს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებო-

ბის შესახებ.

4.5. მოცემულ შემთხვევაში, საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დაყადაღებული ნივთების მესაკუთრეს წარმოადგენს მოსარჩელე. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კანონი) მე-40 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს მოვალის ქონების აღწერას, მესაკუთრისათვის ქონების განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, მასზე ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების დადების – აკრძალვის გამოცხადებას ანდა ქონების შესანახად გადაცემას. აღმასრულებელი ყადაღადადებულ ნივთებს აღწუსხავს ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში. ნორმის ანალიზი ცხადჰყოფს, რომ ყადაღა შეიძლება დაედოს მხოლოდ მოვალის კუთვნილ მოძრავ ქონებას. დასახელებული სპეციალური კანონის 32-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, თუ მესამე პირი ამტკიცებს, რომ მას აღსრულების საგანზე გააჩნია უფლება, მაშინ იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ხდება აღსრულება, შეუძლია აღძრას სარჩელი. ასეთ სარჩელს სასამართლო განიხილავს სასარჩელო წარმოების წესით (სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ). სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ წარედგინება მოვალესა და კრედიტორს.

4.6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 151-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკუთვნილებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და, დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთვნილებლად. საკუთვნილების თვისებას შეადგენს ის, რომ იგი მთავარ ნივთთან დაკავშირებულია საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რაც გამოიხატება იმაში, რომ საკუთვნილებელი განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისათვის. საკუთვნილებელი სივრცობრივად უკავშირდება მთავარ ნივთს, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, მთავარი ნივთის მესაკუთრე იმავდროულად საკუთვნილების მესაკუთრედ მიიჩნევა. საცხოვრებელ ბინაში არსებული ავეჯი განკუთვნილია მისი სამსახურისათვის და დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით. აღმასრულებლის მიერ ყადაღადადებული ნივთები წარმოადგენს მოსარჩელის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების – საცხოვრებელი სახლის საკუთვნილებლს.

4.7. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ უძრავი ნივთის

მდებარე: ქალაქი თბილისი,, ბინა №8-ის (ს/კ ...) მესაკუთრეა მოსარჩელე, ხოლო ბინაში განთავსებული მოძრავი ნივთების მოპასუხე ბ.კ.-სადმი კუთვნილების ფაქტი არ დასტურდება, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და მოძრავი ნივთები უნდა გათავისუფლდეს ყადაღისგან.

5. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი

5.1. წინამდებარე განჩინების 4.1 ქვეპუნქტში მითითებულმა მეორე მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა იმ დასაბუთებით, რომ სარჩელს მოსარჩელემ დაურთო ხელშეკრულებები და გადახდის ქვითრები, რომელთაგან 5 ხელშეკრულებაში მითითებულია როგორც თავად მოსარჩელის, ისე – თავდაპირველი მოპასუხის (იხ. 4.1 ქვეპუნქტი) მობილური ტელეფონის ნომრები. წარმოდგენილი ხელშეკრულებებიდან მხოლოდ ორი არის იმ ნივთებზე, რომელიც დაყადაღების აქტშია, ხოლო დანარჩენ ხელშეკრულებებში არ არის მითითებული დაყადაღებული ნივთების ჩამონათვალი. მოსარჩელეს არ წარუდგენია სასამართლოსათვის ნივთის შესაძენად გადახდილი თანხის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

6.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოპასუხის სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტი ნაწილობრივ;

6.2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ყადაღისაგან გათავისუფლდა თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2018 წლის 10 აგვისტოს ნივთის აღწერისა და დაყადაღების აქტით დაყადაღებული შემდეგი ნივთები: 1. მოთეთრო ფერის „სამსუნგის“ ფირმის ტელევიზორი; 3. მოყავისფრო ხის ოთხკუთხედი ჟურნალების მაგიდა; 4. მოშავო ფერის, „სამსუნგის“ ფირმის ორკამერიანი მაცივარი; 6. მოთეთრო ფერის ნაჭრის 6 სკამი; 7. მოშავო ფერის „ტოშობას“ ფირმის ტელევიზორი; 8. მოშავო ფერის „LG“-ის ფირმის ტელევიზორი; 9. მოთეთრო ფერის „ინდეზიტის“ ფირმის სარეცხი მანქანა; 10. მოშავო ფერის „ლენოვოს“ ფირმის ლეპტოპი. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა (იხ. წინამდებარე განჩინების 4.2 ქვეპუნქტი, ასევე- სააპელაციო სა-

სამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი).

6.3. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მსჯელობის საგანს წარმოადგენდა აღმასრულებლის მიერ დაყადაღებული მოძრავი ნივთების კუთვნილება, კერძოდ, არის თუ არა ბ. კ-ძე (თავდაპირველი მოპასუხე) აღმასრულებლის მიერ შედგენილ აქტში დასახელებული ნივთების მესაკუთრე.

6.4. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 158-ე მუხლზე „ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე“ (ნაწილი პირველი); „ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა ნივთზე საკუთრებითი ურთიერთობის ხასიათი საჯარო რეესტრიდან ვლინდება. საკუთრების პრეზუმფცია არ გამოიყენება არც ძველი მფლობელის მიმართ, თუ მან ეს ნივთი დაკარგა, მოჰპარეს ან სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან. საკუთრების პრეზუმფცია მოქმედებს ძველი მფლობელის სასარგებლოდ მხოლოდ მისი მფლობელობის პერიოდში (ნაწილი მეორე). დასახელებული მუხლით გათვალისწინებული ვარაუდი (პრეზუმფცია) ასახავს იმ შემთხვევებს, როდესაც ბრუნვის მონაწილეთათვის უცნობია მფლობელობის უკან არსებული უფლება, ხშირ შემთხვევაში უცნობია მფლობელის უფლებები, მაგრამ სამართლებრივი წესრიგი მოითხოვს, მფლობელის კეთილსინდისიერებაზე დაყრდნობას და მის მიჩნევას ნივთის მესაკუთრედ საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე;

6.5. სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „საკუთვნებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და, დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, ითვლება საკუთვნებლად“. საკუთვნებლის თვისებას შეადგენს ის, რომ იგი მთავარ ნივთთან დაკავშირებულია საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რაც იმაში გამოიხატება, რომ საკუთვნებელი განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისათვის. საკუთვნებელი სივრცობრივად უკავშირდება მთავარ ნივთს, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, მთავარი ნივთის მესაკუთრე იმავდროულად საკუთვნებლის მესაკუთრედ მიიჩნევა.

6.6. საცხოვრებელ ბინაში არებული ავეჯი განკუთვნილია მისი სამსახურისათვის და დაკავშირებულია უძრავ ნივთთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით. აღმასრულებლის მიერ დაყადაღებული ნივთები მოსარჩელის საკუთრებად რიცხული უძრავი ქონების – საცხოვრებელი ბინის საკუთვნებელს წარმოადგენს;

6.7. წინამდებარე განჩინების 4.5 მუხლში დასახელებული სპეციალური კანონის 32.1-ე და 32.2-ე მუხლების თანახმად, თუ მესა-

მე პირი ამტკიცებს, რომ მას აღსრულების საგანზე გააჩნია უფლება, მაშინ იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ხდება აღსრულება, მესამე პირს შეუძლია აღძრას სარჩელი. ასეთ სარჩელს სასამართლო განიხილავს სასარჩელო წარმოების წესით (სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ). სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ წარედგინება მოვალესა და კრედიტორს.

6.8. სსკ-ის 158-ე მუხლის პირველი ნაწილით (ნორმის დეფინიცია იხ. 6.4 ქვეპუნქტში) დადგენილია, რომ ნივთზე მფლობელის უფლებამოსილების არამართლზომიერების მტკიცების ტვირთი უფლების შემცირებელს აწევს. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ უძრავი ნივთის მესაკუთრეს წარმოადგენდა მოსარჩელე, რომლის სასარგებლოდაც მოქმედებს კანონით განმსაზღვრული საკუთვნებლის მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია, ეს პრეზუმფცია მოპასუხეს უნდა გაექარწყლებინა.

6.9. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლო მტკიცება წარმოადგენს მტკიცებულებათა შეგროვების, შემოწმებისა და შეფასებისათვის სასამართლოსა და მხარეების სამართლით მოწესრიგებულ საქმიანობას, რომლის მიზანია საქმის გადასაწყვეტად მნიშვნელობის მქონე გარემოებების (ფაქტების) დადგენა. უპირველეს ყოვლისა, რაც მხარემ უნდა გააკეთოს დამტკიცების მოვალეობის შესასრულებლად, ესაა მტკიცებულებების წარდგენა სასამართლოში იმ ფაქტის დადგენის მიზნით, რომლის დამტკიცების მოვალეობაც მას ეკისრება. მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულება ისეთ კავშირში უნდა იყოს დასადგენ გარემოებასთან, რომ შესაძლებელი იყოს ამ გარემოების არსებობა-არარსებობის შესახებ უტყუარი დასკვნის გაკეთება. მხარე საქმის შედეგით დაინტერესებული პირია, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მისი ახსნა-განმარტების სისწორესა და უტყუარობაზე. მხარის ყოველი განმარტება ფაქტის შესახებ, რომელიც გაკეთებულია მის სასარგებლოდ, მართალია, მტკიცებულებას წარმოადგენს, მაგრამ არასაკმარისია, რომელიც მოითხოვს დადასტურებას სხვა მტკიცებულების მეშვეობით (შეად. ლილუაშვილით., ლილუაშვილი გ., ზრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, გამომცემლობა „სამართალი“, 259, 284, 308).

6.10 სააპელაციო სასამართლო არ იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ სარჩელში მითითებული ქონება სრულად მოსარჩელის საკუთრებას წარმოადგენს. სარჩელზე თანდართული მტკიცებულებების შესწავლით, რომლებიც მოსარჩელის მიერ მიჩნეუ-

ლია სადავო ნივთებზე საკუთრების უფლების დასადასტურებლად, დგინდება, რომ მოსარჩელემ შეიძინა სამეული – მოყავისფრო-მოთეთრო ფერის ნაჭრის (ალკანტარას) დივანი და 2 ცალი იმავე ფერის და ნაჭრის სავარძელი და მოთეთრო ფერის ოთხკუთხედი ხის მაგიდა;

6.11. მოსარჩელე წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების (ბინის) მესაკუთრეს წარმოადგენს 2018 წლის 30 ივლისიდან, ხოლო 2018 წლის 10 აგვისტოს ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში მე-2 და მე-5 ნომრად მითითებული მოძრავი ნივთები (იხ. წინამდებარე განჩინების მე-2 პუნქტი), რომლებიც განთავსებულია მოსარჩელის საკუთრებად რიცხულ ბინაში, შეძენილია 2016-2017 წლებში. გარდა აღნიშნულისა, ავეჯის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებების პირველივე გვერდზე, მხარეთა ხელმოწერების გრაფაში დამკვეთის მხარეს მითითებულია თვითონ მოსარჩელისა და მისი ყოფილი მეუღლის (თავდაპირველი მოპასუხის – იხ. 4.1 ქვეპუნქტი) ტელეფონის ნომრები. წყვილი 2018 წლის 12 თებერვალს განქორწინდა.

6.12. სააპელაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელემ თავდაპირველი მოპასუხის (ყოფილი მეუღლის) მისამართად სარჩელში მიუთითა ... ქ. 52, თუმცა, აღნიშნულ მისამართზე გზავნილის უკუგზავნილით ირკვევა, რომ თავდაპირველი მოპასუხე ამ მისამართზე არ ცხოვრობს. მეორე მოპასუხის მიერ წარდგენილი შესაგებლის უკუგზავნილებზე კურიერის მიერ იგივე ჩანაწერია დაფიქსირებული, კერძოდ, მეზობლების განმარტებით, თავდაპირველი მოპასუხე ... ქ. 52-ში არ ცხოვრობს. თავდაპირველ მოპასუხეს სააღსრულებო ბიუროდან წინადადება გადანაცვეტილების შესრულებისა და ქონებრივი ნუსხის წარმოდგენის შესახებ მოთხოვნა ბარდება იმ მისამართზე, რომელიც მისი ყოფილი მეუღლის (მოსარჩელის) საკუთრებად რიცხული ბინის მისამართია – ... ქ. 12, ბინა №8. მართალია, თავდაპირველმა მოპასუხემ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ მან სააღსრულებო ბიუროს მიერ გაგზავნილი გზავნილები ფოსტის შენობაში ჩაიბარა მას შემდეგ, რაც მოსარჩელემ დაურეკა და უთხრა, რომ მის სახელზე საფოსტო კორესპონდენცია იყო მისული ... ქუჩაზე, თუმცა, ამ განმარტების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება.

6.13. სააპელაციო სასამართლომ ზემოხსენებული გარემოებების საფუძველზე დაასკვნა, რომ 2018 წლის 10 აგვისტოს ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტის მე-2 და მე-5 ნომრებად მითითებული მოძრავი ნივთები არ წარმოადგენს მხოლოდ მოსარჩელის საკუთრებას და ისინი შეძენილია მოსარჩელისა და თავდაპირველი

მოპასუხის თანაცხოვრების პერიოდში და, ეს მოძრავი ნივთები არ უნდა გათავისუფლდეს ყადაღისაგან, დანარჩენ ნაწილში კი სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

7. მოსარჩელის საკასაციო საჩივარი

7.1. მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება, მისი ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაუკმაყოფილებელი ნაწილის დაკმაყოფილება მოითხოვა იმ ძირითად არგუმენტებზე დაყრდნობით, რომ მოსარჩელე და მისი ყოფილი მეუღლე (თავდაპირველი მოპასუხე) წლებია ერთად აღარ ცხოვრობენ. თავდაპირველი მოპასუხე 2015 წლის თებერვლიდან 2017 წლის 1 მარტამდე პატიმრობაში იმყოფებოდა, ხოლო გათავისუფლების შემდეგ აღარ უცხოვრია ერთ ოჯახად მოსარჩელესთან;

7.2. ქონების აღწერისა და დაყადაღების შესახებ 2018 წლის 10 აგვისტოს აქტში მე-2 და მე-5 ნომრებად დასახელებული მოძრავი ნივთები ვერ იქნება თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი;

7.3. ავეჯის მიწოდების ხელშეკრულებებში მოსარჩელისა და თავდაპირველი მოპასუხის ტელეფონის ნომრების მითითებას დაეყრდნო სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას, რაც იურიდიულად დაუსაბუთებელია, რადგან ავეჯის შეძენის ხელშეკრულებას მხოლოდ მოსარჩელე (კასატორი) აწერს ხელს; სესხიც მხოლოდ მოსარჩელის მიერ არის გამოტანილი; საქმეშია გადახდის ქვითრები, სადაც გადამხდელის გვარი არ ჩანს იმიტომ, რომ საბანკო აპარატებით არის თანხა გადახდილი. ყველა მოძრავი ნივთი მხოლოდ მოსარჩელის საკუთრებაა და სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 151-ე მუხლი;

7.4. თავდაპირველ მოპასუხეს სასამართლოს გზავნილები არ ჩაბარებია მოსარჩელის საკუთრებად რიცხული ბინის მისამართზე; მოსარჩელემ რა მისამართიც იცოდა, ის მიუთითა; მეორე მოპასუხეს არ წარუდგენია მტკიცებულება, რომ თავდაპირველი მოპასუხე მოსარჩელესთან ცხოვრობს.

8. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

8.1 საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების შემოწმებისა და მო-

სარჩელის საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო განაცხადი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

9. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით კასატორს ასეთი დასაბუთებული საკასაციო შედავება არ აქვს წარმოდგენილი.

10. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *ჟლარკავა საქართველოს წინააღმდეგ*, № 7932/03; *Van de Hurk v. Netherlands*, პარ.61, *Garcia Ruiz v. Spain* [GC] par.26; *Jahnke and Lenoble v France* (dec.); *Perez v France* [GC], პარ. 81). საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რაც საკასაციო პრეტენზიის არსებითად განხილვის ეტაპზე, საკასაციო საჩივრის უარყოფისა და გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

11. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სწორედ ამ ფარგლებში არსებითად განიხილავს და ამონმებს საკასაციო პრეტენზიის დასაბუთებულობას (სსსკ-ის 407-ე მუხლი), ამასთან, მიაჩნია, რომ საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად არ ვლინდება სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი (სსსკ-ის 412-ე მუხლი).

12. სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა მის მიერ საკვლევ ძირითად გარემოებაზე, რაც უკავშირდება აღმასრულებლის მიერ დაყადაღებული მოძრავი ნივთების კუთვნილების დადგენას, კერძოდ, არის თუ არა ბ. კ-ძე (თავდაპირველი მოპასუ-

ხე) აღმასრულებლის მიერ შედგენილ აქტში დასახელებული ნივთების მესაკუთრე.

13. სააპელაციო სასამართლოს მიერ მოხმობილი სამართლებრივი საფუძვლები, კერძოდ, სსკ-ის 158-ე და 151-ე მუხლების გამოყენება სწორია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარეთა მიერ დასამტკიცებელი გარემოებების განსაზღვრა, მოცემულ შემთხვევაში კი საკუთვნებლის მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციის გაქარწყლება, რაც მეორე მოპასუხის მტკიცების ტვირთს განეკუთვნება. მოცემულ შემთხვევაში კი მეორე მოპასუხემ ნაწილობრივ გაართვა თავი ამ საპროცესო ვალდებულებას, რამაც სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე მის სასარგებლოდ სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილება განაპირობა.

14. სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

15. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე (კასატორი) თავის სასარჩელო მოთხოვნას იმ გარემოებაზე აფუძნებდა, რომ სააღსრულებო ბიურომ მის საცხოვრებლო ბინაში არსებული მოძრავი ნივთები დააყადაღა ნოტარიუსის მიერ 2018 წლის 22 იანვარს გაცემული №180055443 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, რომლის თანახმად მოსარჩელის ყოფილი მეუღლე (თავდაპირველი მოპასუხე) მეორე მოპასუხის მოვალეა და კრედიტორის სასარგებლოდ დაკისრებული აქვს ვალის გადახდა. მოსარჩელის მტკიცებით, ის დიდი ხანია აღარ ცხოვრობს ყოფილ მეუღლესთან ერთად, ეს უკანასკნელი პატიმრობიდან 2017 წლის 1 მარტს გათავისუფლდა, ხოლო მეუღლეებს შორის 2018 წლის 12 თებერვალს ქორწინება შეწყდა, ამიტომ არ შეიძლება მისი მოძრავი ნივთებით მოხდეს მოვალის კრედიტორის დაკმაყოფილება, მოვალეს (თავდაპირველ მოპასუხეს) არავითარი წვლილი არ მიუძღვის ამ ნივთების შე-

ქენაში (იხ. სარჩელი).

16. სარჩელის პასუხად თავდაპირველ მოპასუხეს (მოსარჩელის ყოფილ მეუღლეს) არ წარუდგენია შესაგებელი, მან სასამართლო სხდომაზე სარჩელი ცნო და განმარტა, რომ დაყადაღებული ნივთები მის საკუთრებას არ წარმოადგენს, მოსარჩელესთან განქორწინებულია, თუმცა, ხშირი ურთიერთობა აქვს მასთან, რადგან საერთო შვილები ჰყავთ (იხ. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება);

17. მეორე მოპასუხემ წერილობით წარდგენილი შესაგებლით არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ არ არის დადასტურებული, რომ დაყადაღებული ნივთები მის საკუთრებას წარმოადგენს. საქმეში წარმოდგენილია ხელშეკრულებები და ორი გადახდის ჩეკი, სადაც მითითებული თანხა არ ემთხვევა ნივთების საერთო ღირებულებას, რაც მოსარჩელის საკუთრების დამადასტურებელ მტკიცებულებას არ წარმოადგენს. ხელშეკრულებებში მითითებულია ასევე მოსარჩელის ყოფილი მეუღლის (თავდაპირველი მოპასუხის) ტელეფონის ნომერიც, რაც პირდაპირ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ნივთები შეძენილია მათი თანაცხოვრების პერიოდში, ხოლო განქორწინება ფიქტიურია, რათა კრედიტორის (მეორე მოპასუხის) წინაშე ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებლობა იქნას თავიდან არიდებული (იხ. შესაგებელი; ასევე – პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება).

18. მოსარჩელის მიერ წარდგენილ მოთხოვნას არსებითად შეედავა მეორე მოპასუხე, რაც მისი მტკიცების ტვირთს განეკუთვნებოდა, რაც ნაწილობრივ წარმატებით დაძლია მხარემ. საკასაციო სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაში (საქმეზე №ას-664-635-2016, პუნქტი 201) შესაგებლის, როგორც, მხარის მიერ მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელისაგან დაცვის, საპროცესოსამართლებრივი საშუალების შესახებ მითითებულია: „2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს (საქართველოს 28.12.2007წ.-ის კანონი №5669-სსმ), რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა მხარისათვის უარყოფით საპროცესოსამართლებრივ შედეგებს იწვევს. კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება შეუდავებლად და, შესაბამისად, დამტკიცებულად. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგანაც მოსარჩელე

თავისუფლდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან. აღნიშნული გარემოება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაცაა. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, სსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად ითვლება“.

19. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

20. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებისა და გაანალიზების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის მართებული გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

21. სსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტი-

ლებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

22. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა დამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დამტკიცოს მოთხოვნის საფუძველის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მონიშნულმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან). მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქულტატური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრე-

როგატივია. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყევ-ტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყევტილებათა მიღების მეთოდика, თბ., 2003, გვ.64) – იხ. შეად. სუსგ-ებს №ას-1298-2018; 22.03.2019წ; №ას-1329-2018, 22.02.2019წ; №ას-1610-2019, 07.02.2020წ. .

23. განსახილველ შემთხვევაში სსკ-ის 151-ე მუხლზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დასახელებული ნორმა არ განსაზღვრავს საკუთვნებლის სამართლებრივ შედეგებს. „როგორც წესი, საკუთვნებელი სამართლებრივად დამოუკიდებელი ნივთია და მასზე ვრცელდება მოძრავ ნივთებთან დაკავშირებული დებულებები. ვინაიდან მთავარი ნივთის სამართლებრივი ბედი საკუთვნებელზე არ ვრცელდება, შესაძლებელია, იგი იყოს სანივთო უფლების ობიექტი. მაგალითად, როგორც განცალკევებული საგანი, საკუთრების უფლებით ეკუთვნოდეს სხვა პირს. მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, მთავარი ნივთის შესახებ გარიგებები შეეხება საკუთვნებელსაც. ამით კოდექსი იმ გარემოებას ანიჭებს მნიშვნელობას, რომ მოძრავი ნივთები თავისი სამეურნეო-ეკონომიკური დანიშნულებით და სივრცობრივი კავშირით განსაზღვრულ ეკონომიკურ ერთიანობას ქმნიან და კანონმდებელი ასეთი ერთიანობის შენარჩუნებას განსაზღვრულ ფარგლებში საჭიროდ თვლის“ (იხ. თოთლაძე ლევანი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი II, ჭანტურია (რედ.), 2018, მუხლი 151, ველი 8). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკუთვნებელი დამოუკიდებელი ნივთია და მასზე ვრცელდება მოძრავ ნივთებთან დაკავშირებული დებულებები. მეორე მოპასუხემ შესაგებლის წარდგენის ეტაპზევე სადავო გახადა მოსარჩელის მოთხოვნის დასაბუთებულობა აღმასრულების ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტიდან მოძრავი ნივთების ყადაღისაგან გათავისუფლებაზე და მოსარჩელის მიერვე წარდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით

მიუთითა პრეზუმფციაზე, რომ სადავო ნივთები არ ეკუთვნოდა მხოლოდ მოსარჩელეს. ამდენად, მოპასუხემ სააპელაციო სამართალწარმოების გზით მიაღწია წარმატებას და ნაწილობრივ გააქარწყლა მოსარჩელის მიერ საკუთვნებლის მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკუთვნებლის, როგორც მოძრავი ნივთების რეჟიმით განსახილველი დამოუკიდებელი ნივთის, სამართლებრივი ბუნება იმის მაუწყებელია, რომ უძრავ ნივთში (როგორც ეს განსახილველ შემთხვევაშია, რადგან მთავარი ნივთი შესაძლებელია იყოს როგორც უძრავი, ისე – მოძრავიც) ამა თუ იმ მოძრავი ნივთების განთავსება უპირობოდ არ წარმოადგენს იმის წინაპირობას, რომ დადგინდეს საკუთვნებლის მთავარ ნივთთან ისეთი ეკონომიკური ერთიანობა, რაც მას დამოუკიდებელი ნივთის შინაარსს გამოაცლის. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს საკუთვნებლის მთავარი ნივთი რას წარმოადგენს, სამისოდ კი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ნივთების ეკონომიკური ღირებულებისა და სივრცობრივი კავშირის შეფასება, არამედ, ასევე სამოქალაქო ბრუნვის ტრადიციის გათვალისწინება (იხ. თოთლაძე ლევანი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი II, ჭანტურია (რედ.), 2018, მუხლი 151, ველი 3).

24. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (Ruiz Torija v. Spain, Application no. 18390/91; §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადანყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადანყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (Seryavin and Others v. Ukraine §§ 55-62). სასამართლომ აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (Kraska v. Switzerland, § 30; Van de Hurk v. the Netherlands, § 59; Perez

v. France, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ იცოდნენ და ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (Milatova and others v. The Czech republic §59; niderost-huber v. Switzerland, § 24; k.s. v. finland § 21; ასევე, სუსგ №ას-1191-1133-2014, 14 მაისი, 2015 წელი).

25. საკასაციო სასამართლოს შეფასებით საკასაციო საჩივარში წარმოდგენილი არც ერთი არგუმენტი არ განაპირობებს მოსარჩელისათვის სასარგებლო სამართლებრივი შედეგის დადგომას, რაც საკასაციო განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველია.

26. სსსკ-ის 55.2-ე მუხლის პირველი წინადადების თანახმად ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ე. დ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება;
- „3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. საკუთრების შინაარსი

უკანონო ფულოპოლიდან ნივთის გამოთხოვა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1667-2018

16 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: მოძრავი ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ვ. ქ-მა (შემდგომში – „მოსარჩელე“ ან „კასატორი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში ს. ქ-ძის (შემდგომში – „მოპასუხე“ ან „აპელანტი“) მიმართ და მოითხოვა მოპასუხისაგან მისთვის მიბარებული მოძრავი ნივთის – კაკლის ხის კარადის ორი ნაწილის გამოთხოვა.

2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2.1. მოსარჩელემ, გ. ქ-ძემ და ტ. ზ-ძემ მოქალაქის შეკვეთით კაკლის (ნიგეზის) ხის მასალისგან დაამზადეს კარადა, რომელიც შედგება სამი ნაწილისგან, ზომებით: სიმაღლე 3 მეტრი, სიგანე 2,1 მ, ჩუქურთმებში, ცენტრალურ ნაწილში „ქალღმერთის“ გამოსახულებით, ხოლო ზედა ნაწილში ოთხი მეომრის სახით;

2.2. მოქალაქის მიერ წინასწარ გადახდილი თანხა (1500 აშშ დოლარი) საკმარისი არ აღმოჩნდა, რის გამოც, მასთან შეთანხმებით, მოსარჩელემ და ტ. ზ-ძემ კლიენტს დაუმზადეს აღნიშნული კარადის ანალოგი უფრო იაფი ხის მასალისგან, ხოლო პირველი, კაკლის ხისგან დამზადებული კარადა (რომლის ღირებულება შეადგენდა 3000 აშშ დოლარს) სამივემ დაიტოვა თანასაკუთრებაში, თანაბარი უფლებით;

2.3. ვინაიდან ხის საამქროში არ იყო საკმარისი ფართი, კარადის ორი, დასრულებული ქვედა და შუა ნაწილი დროებით შესანახად მიაბარეს გ. ქ-ძის დას – მოპასუხეს, ხოლო მესამე ზედა ნაწილი ინახება ტ. ზ-ძესთან. ნივთი მისაბარებლად მიიტანა და ჩააბარა მოსარჩელემ, შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი,;

2.4. კარადა იმდენად კარგი და ძვირფასი გამოვიდა, რომ მოპა-

სუხემ გამოთქვა მისი შესყიდვის სურვილი, თუმცა მოლაპარაკება ჩაიშალა და მორიგება ვერ შედგა. აღნიშნულის შემდგომ, 2016 წლის 03 თებერვალს მოსარჩელე სატვირთო მანქანით და მუშებით მივიდა მოპასუხესთან მიბარებული მოძრავი ნივთის წამოსაღებად, თუმცა ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა ნივთის დაბრუნებაზე. არც ბინის მესაკუთრემ მისცა მოსარჩელეს ბინაში შესვლის უფლება;

2.5. ტ. ზ-ძემ კარადის მისი კუთვნილი წილი (1/3) დაუთმო მოსარჩელეს, ხოლო გ. ქ-ძემ მის მიმართ გასცა მინდობილობა, რათა მისი, როგორც ერთ-ერთი თანამესაკუთრის, სახელით განეხორციელებინა მოძრავ ნივთთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი მოქმედება, მართვისა და განკარგვის ჩათვლით;

2.6. თანამესაკუთრეებს განზრახული აქვთ კარადის რეალიზაცია, რისთვისაც აუცილებელია მისი სამივე ნაწილის შეერთება, რათა კარადამ მთლიანი ნივთის სახე შეიძინოს;

2.7. 2016 წლის 10 მაისს მოსარჩელემ წერილობით მიმართა მოპასუხეს და ბინის მესაკუთრეს, რათა ნებაყოფლობით დაებრუნებინათ ნივთი, რასაც შედეგი არ მოყოლია.

3. მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო და განმარტა შემდეგი:

3.1. მოპასუხეს კარადა მიბარებული არ ჰქონია. ის 24 წელია მის სახლში დგას და მისი ოჯახის საკუთრებას წარმოადგენს;

3.2. კარადა დამზადებულია მოპასუხის ოჯახის კაკლის ხის მასალისგან, მისი ოჯახის კუთვნილ საამქროში. 24 წლის წინ კარადა შემკვეთმა არ წაიღო, მას არც სხვა მყიდველი გამოუჩნდა, რის გამოც მოპასუხეს დაუტოვეს იმ წილში, რაც მას და მის ძმას კაკლის ხის მასალისა და ხის დამამუშავებელი საამქროს ფასში ეკუთვნოდა;

3.3. კარადა შედგებოდა სამი ნაწილისგან. ერთი ნაწილი (თავისი წილი) 21 წლის წინ წაიღო ტ. ზ-ძემ, ხოლო დარჩენილი ნაწილი არის მოპასუხის საკუთრება. გ. ქ-ძეს ჰქონდა მოპასუხის ვალი, რის გამოც მან მოპასუხეს კარადის წილი დაუთმო.

4. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 02 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს დაევალა მოსარჩელისათვის კაკლის ხის კარადის (რომელიც შედგება სამი ნაწილისგან, ზომებით: სიმაღლე 3 მეტრი, სიგანე 2,1 მეტრი, ჩუქურთმებში, ცენტრალურ ნაწილში „ქალღმერთის“ გამოსახულებით, ზედა ნაწილში ოთხი მეომრის სახით) ორი, ქვედა და შუა ნაწილების დაბრუნება, რომელიც ინახება მოპასუხის ფაქტობრივ საცხოვრებელ სახლში, მდებარე: ქ. ქუთაისი, ...

5. მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვე-

ტილებზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი. მან მოითხოვა გადან-
ყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკ-
მაყოფილებაზე უარის თქმა.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2018 წლის 29 აგვისტოს გადანყვეტილებით სააპელაციო
საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამარ-
თლოს 2018 წლის 02 მარტის გადანყვეტილება და სარჩელი არ დაკ-
მაყოფილდა.

**7. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის
გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრი-
ვი გარემოებები:**

7.1. 1990 წლიდან 1992 წლამდე მოსარჩელეს, გ. ქ-ძესა და ტ. ზ-
ძეს ჰქონდათ საამქრო და ამზადებდნენ ავეჯს;

7.2. 1990-1991 წლებში მათ შეკვეთით, კაკლის ხის მასალით და-
ამზადეს 3 მ სიმაღლისა და 2,1 მ სიგანის ჩუქურთმიანი კარადა,
თუმცა მისი რეალიზაცია ვერ მოხერხდა;

7.3. იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა კარადის რეალიზაცია, დაახ-
ლოებით 1994 წლიდან, კარადის ნაწილი განათავსეს ტ. ზ-ძის, ხო-
ლო ნაწილი – უ. ბ-ისა და ი. ჟ-ის კუთვნილ სახლში;

7.4. გ. ქ-ძე არის მოპასუხის ძმა. ამჟამად ისინი ფლობენ უ. ბ-ისა
და ი. ჟ-ის კუთვნილ სახლში განთავსებული კარადის ნაწილს;

7.5. ტ. ზ-ძემ 2016 წლის 22 თებერვალს კარადის 1/3 წილზე სა-
კუთრების უფლება გადასცა მოსარჩელეს;

7.6. მოსარჩელე და გ. ქ-ძე 2016 წლის 18 თებერვალს შეთან-
ხმდნენ, რომ მოახდენდნენ კარადის რეალიზაციას და გაიყოფნენ
რეალიზაციის შედეგად მიღებულ თანხას.

8. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ვინაიდან სადავო ქო-
ნებაზე მხარეთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექ-
სის ამოქმედებამდე წარმოიშვა, ამ უფლებათა დასადგენად გამო-
იყენება საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1964
წლის რედაქცია, ხოლო 1997 წლის 25 ნოემბრის შემდეგ საქართვე-
ლოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები (სსკ-ის 1507-ე მუხლის მე-2
ნაწილი).

9. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამო-
ქალაქო სამართლის კოდექსის 1964 წლის რედაქციის 447-ე და 449-
ე მუხლებით და ვინაიდან დადგენილი იყო, რომ სადავო კარადა
მოსარჩელის, გ. ქ-ძისა და ტ. ზ-ძის საერთო საქმიანობის შედეგად
იყო შექმნილი, იგი მათ საერთო საკუთრებად მიიჩნია.

10. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქმის მასალე-
ბით არ დგინდებოდა, რომ თანამესაკუთრებმა სადავო ქონება
აპელანტს მიაბარეს, საქმეში არ მოიპოვებოდა მხარეთა შორის

ხელშეკრულების დადების დამადასტურებელი მტკიცებულება. ასეც რომ ყოფილიყო, იმ დროს მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 428-ე მუხლის თანახმად, შენახვის ხელშეკრულება, რომლის თუნდაც ერთი მხარე მოქალაქე იყო, თუ ჩაბარებული ქონების ღირებულება 100 მანეთს აღემატებოდა, აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა დადებულიყო, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

11. სააპელაციო პალატის მითითებით, მოწმეთა ჩვენებებით დგინდებოდა, რომ სადავო ქონებას ფლობდა აპელანტი, თუმცა, მან ვერ წარადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ კარადა მის საკუთრებას წარმოადგენდა.

12. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1964 წლის რედაქციის 449-ე მუხლზე დაყრდნობით განმარტა, რომ ის შენატანი, რაც აპელანტის ძმამ საერთო საქმეში განახორციელა, ყველა მონაწილის საერთო საკუთრებას წარმოადგენდა და მხოლოდ ამის საფუძველზე იგი შექმნილ ქონებაზე ინდივიდუალურ საკუთრებას ვერ მოიპოვებდა. ამასთან, საქმის მასალებით არ დგინდებოდა, რომ საერთო საქმიდან მოპასუხის ძმის გასვლის შემდეგ თანამესაკუთრებმა საზიარო ქონება ნატურით გაიყვეს და მას კარადის სადავო ნაწილი მიაკუთვნეს. ეს არც მოპასუხის ძმას აღუნიშნავს. მისი განმარტებით, მოსარჩელემ სადავო ნივთის გადაცემა რამდენჯერმე სთხოვა, მაგრამ ეს მოთხოვნა არ შეასრულა, რადგან მისთვის არც ჩარხ-დანადგარები ჰქონდათ დაბრუნებული და არც კარადის დასამზადებლად დახარჯული მასალის თანხა ჰქონდათ გადახდილი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ეს განმარტება საერთოდ გამორიცხავდა საერთო ქონების გაყოფის შესახებ შეთანხმებას.

13. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობა ვრცელდება სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ კი, მოსარჩელე მოპასუხისაგან რაიმე მოქმედების შესრულებას ან მოქმედებისაგან თავის შეკავებას, ე.ი. ვალდებულების შესრულებას კი არ ითხოვდა, არამედ მას სურდა სხვისი უკანონო მფლობელობიდან კუთვნილი ნივთის დაბრუნება, ამგვარი მოთხოვნა კი, სასარჩელო ხანდაზმულობას არ ექვემდებარება.

14. სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა აპელანტის პოზიციას, რომ მას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 165-ე მუხლის შესაბამისად, სადავო ქონებაზე საკუთრება ხანდაზმულობით

ჰქონდა შეძენილი. სასამართლოს განმარტებით, აპელანტმა თავიდანვე იცოდა, რომ სადავო ნივთი მოსარჩელის, გ. ქ-ძისა და ტ. ზ-ძის საერთო საქმიანობის შედეგად იყო შექმნილი, შესაბამისად, მისთვის ცნობილი იყო, რომ სადავო ნივთი მას არ ეკუთვნოდა, ეს კი ზემოაღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობით საკუთრების შეძენას გამორიცხავდა.

15. ზემოაღნიშნული განმარტებების მიუხედავად, სააპელაციო პალატამ სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნია. მისი განმარტებით, სადავო ქონებას აპელანტი გ. ქ-ძის, კარადის თანამესაკუთრის ნების საფუძველზე ფლობდა, ეს კი ნიშნავდა, რომ მას სადავო ქონება ნამდვილი უფლების საფუძველზე ჰქონდა მიღებული. ამასთან, გ. ქ-ძეს აპელანტის მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვაზე თანხმობა არ გამოუხატავს. შესაბამისად, აპელანტი სადავო ქონების მართლობიერ მფლობელს წარმოადგენდა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დაუშვებელი იყო მართლობიერი მფლობელისაგან ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა. გარდა ამისა, დადგენილი იყო, რომ სადავო ქონებას არა მარტო აპელანტი, არამედ გ. ქ-ძეც ფლობდა.

16. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელეს ნივთის დაბრუნება ყველა თანამესაკუთრის, მათ შორის, გ. ქ-ძის სასარგებლოდ შეეძლო მოეთხოვა, თუმცა, ამ უკანასკნელის მფლობელობიდან მისსავე სასარგებლოდ ქონების გამოთხოვა, ცხადია, შეუძლებელი იყო. მოსარჩელეს 2016 წლის 18 თებერვლის შეთანხმების პირობების შესრულებისა და ქონების რეალიზაციის მოთხოვნით გ. ქ-ძის მიმართ სარჩელი არ აღუძრავს, ამ ვითარებაში კი, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას მიეღო გადანყვეტილება სადავო ქონების მხოლოდ მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე.

17. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ. მან მოითხოვა გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

18. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

18.1. მხარეები ზუსტად ვერ განსაზღვრავენ ნივთის მიბარების თარიღს, ვინაიდან წლების განმავლობაში ნივთმა გასაყიდად მთელი დასავლეთ საქართველო შემოიარა და დაახლოებით 2000-2002 წლებში დაიდო საბოლოოდ მოპასუხის სახლში. გასათვალისწინე-

ბელია ისიც, რომ მოპასუხე თავად აპირებდა აღნიშნული ნივთის შეძენას. აქედან გამომდინარე, მიბარების ურთიერთობა დაწყებულია 1997 წლის 25 ნოემბრის შემდგომ, რაც საბოლოოდ დადასტურდა 2016 წლის 18 თებერვალს, ნოტარიულად დამოწმებული ხელწერილით;

18.2. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია, რომ 2016 წლამდე სადავო ნივთი მის პოტენციურ მყიდველთან იყო შენახული. თუმცა, მას შემდეგ, რაც მოპასუხემ იგი ველარ შეიძინა, საბოლოოდ გადაწყდა მისი გაყიდვა, ხოლო, გაყიდვამდე ის ხელახლა დატოვეს მოპასუხესთან დროებით შესანახად. მას აღნიშნულზე უარი არ განუცხადებია. უფრო მეტიც, სწორედ მასთან მიდიოდნენ კარადის პოტენციური მყიდველები. ეს ურთიერთობა გაგრძელდა 2016 წლის 03 თებერვლიდან 2016 წლის 10 მაისამდე, წერილის გაგზავნამდე, რის შემდეგაც სადავო ნივთის ნაწილი აღმოჩნდა მოპასუხის არამართლზომიერ მფლობელობაში;

18.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1964 წლის რედაქციით, არამედ მას უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები;

18.4. ის გარემოება, რომ თანამესაკუთრებმა სადავო ნივთი მოპასუხეს მიაბარეს, დასტურდება საქმეში არსებული არაერთი მტკიცებულებით, კერძოდ: მხარის ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებებით და მესაკუთრეთა მიერ ნოტარიულად დამოწმებული ხელწერილებით. ამასთან, ამჟამად მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლის შესაბამისად, ამ ტიპის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის კანონი არ ითვალისწინებს წერილობით ფორმას;

18.5. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ სადავო ნივთის ნაწილს მოპასუხე მისი ძმის ნებართვით ფლობს და იგი აღნიშნული ნივთის მართლზომიერი მფლობელია, ვინაიდან სახეზეა მიბარების ხელშეკრულება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 770-ე მუხლის შესაბამისად კი, მიმბარებელს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მიბარებული ნივთის უკან დაბრუნება;

18.6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყოველ თანამესაკუთრეს აქვს ნივთის გამოთხოვის უფლება, მხოლოდ ყველა თანამესაკუთრის სასარგებლოდ. მოსარჩელემ სარჩელის შეტანისას თანხმობა მიიღო მოპასუხის ძმისგან. იგი თანახმა იყო, რომ გასხვისების მიზნით სადავო ნივთი გამოთხოვილიყო მისი ძის არამართლზომიერი მფლობელობიდან. რელიზაციის შემდეგ მოხდებოდა თანხის განაწილება. მოსარჩელისათვის სარჩელის აღძვრის შემდგომ გახდა ცნობილი, რომ

მოპასუხის ძმამ გააუქმა მის მიმართ გაცემული მინდობილობა, თუმცა მას არ გაუუქმებია ქონების რეალიზაციის თაობაზე შედგენილი შეთანხმება.

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 13 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

20. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

21. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებაში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

22. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია მოძრავი ნივთის მოპასუხის მფლობელობიდან გამოთხოვა. კასატორის ძირითადი პრეტენზია კანონის არასწორ გამოყენებაში მდგომარეობს. მისი მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1964 წლის რედაქციით, არამედ უნდა გამოეყენებინა მოქმედი სამოქალაქო კოდექსი.

23. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიას შემდეგი გარემოებების გამო: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, სამოქალაქო კოდექსი ვრცელდება მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობა ამ კოდექსის ამოქმედების შემდეგ. იმ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშვა სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე, ამ კოდექსის ნორმები გა-

მოიყენება 1997 წლის 25 ნოემბრიდან წარმოშობილი უფლებებისა და მოვალეობების მიმართ. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ეს ნორმატიული აქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ურთიერთობის მონაწილეებს სურთ ერთმანეთს შორის ურთიერთობა ამ კოდექსით მოანესრიგონ, ან, თუ სამოქალაქო კოდექსი უძრავი ნივთების შესახებ ახალ წესებს ითვალისწინებს.

24. ამდენად, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსი ამოქმედდა 1997 წლის 25 ნოემბრიდან, მისი მოქმედება ვრცელდება სწორედ ამ პერიოდისა და წარმოშობილ სამართალურ ურთიერთობებზე. შესაბამისად, იმისათვის, რომ სწორად განისაზღვროს გამოსაყენებელი სამართალი, აუცილებელია დადგინდეს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დრო.

25. განსახილველ შემთხვევაში, სადავოა მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დრო. კასატორი მიუთითებს, რომ კარადის სადავო ნაწილი მოპასუხეს მიაბარეს დაახლოებით 2000-2002 წლებში, მას შემდეგ, რაც ნივთმა გასაყიდად მთელი საქართველო შემოიარა; ამის საწინააღმდეგოდ, მოპასუხე განმარტავს, რომ კარადის ნაწილი მის სახლში იმყოფება 1992 წლიდან.

26. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა (სსსკ-ის მე-5 მუხლი) და შეჯიბრებითობის (სსსკ-ის მე-4 მუხლი) ფუნდამენტურ პრინციპებზე დაყრდნობით. სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ მათი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა (სსსკ-ის 102-ე მუხლი). მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებული მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთი უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ვალდებულება, რომელთა მტკიცებაც მათთვის ობიექტურად შესაძლებელია. ანუ, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს (იხ. მაგ. სუსგ საქმე №ას-773-773-2018, 14 იანვარი, 2019 წელი; №ას-1814-2018, 05 ივლისი, 2019 წელი; №ას-462-2019, 31 ივლისი, 2019 წელი).

27. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს (იხ. სუსგ საქმე №ას-833-833-2018, 16 ნოემბერი, 2018 წელი; №ას-867-834-2016, 22 ნოემბერი, 2018 წელი).

28. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დრო. სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა როდის გადაეცა მოპასუხეს კარადის ნაწილი მფლობელობაში. ამასთან, სადავო არ არის, რომ ამჟამად იგი სწორედ მოპასუხის საცხოვრებელ სახლშია განთავსებული. შესაბამისად, ზემოაღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ სადავო ნივთი მოპასუხეს მფლობელობაში გადაეცა სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე, სწორედ ამ უკანასკნელს ეკისრებოდა, თუმცა, მას არ წარუდგენია აღნიშნულის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულებები. ასეთად ვერ მიიჩნევა მისი ახსნა-განმარტება ან/და მოწმეთა – უ. ბ-ძისა და გ. ქ-ძის ჩვენებები, რადგან ისინი არიან მოპასუხის ოჯახის წევრები (შვილი და ძმა), რაც გამორიცხავს დავის საგნის მიმართ მათ ნეიტრალურობას. რაც შეეხება მოწმეებს – გ. შ-ძეს და ნ. გ-ძეს, ისინი არიან მოპასუხის მეზობლები, რომლებმაც სადავო ფაქტთან დაკავშირებით ვერ მიუთითეს ვერანაირ დამაჯერებელ გარემოებაზე. მათი განმარტებით, მხოლოდ ის იციან, რომ კარადა მოპასუხესთან დგას წლების განმავლობაში.

29. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც დადგენილი არ არის სადავო ნივთის მოპასუხისათვის გადაცემის ზუსტი დრო, ხოლო ამჟამად იგი სწორედ მის მფლობელობაში იმყოფება, სადავო ურთიერთობის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი.

30. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 763-ე მუხლის თანახმად, მიბარების ხელშეკრულებით შემნახველი კისრულობს შეინახოს მიმბარებლის მიერ მისთვის ჩაბარებული მოძრავი ნივთი. იმა-

ვე კოდექსის 764-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მიბარება უსასყიდლოა, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

31. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მიბარების ხელშეკრულება ორმხრივ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, რომელიც რეალური გარიგებაა და დადებულია ითვლება მას შემდეგ, რაც მიმბარებელი შესანახად გადასცემს შემნახველს ნივთს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიულ დოქტრინაში მიბარება კონსესუალურ ხელშეკრულებადაც განიხილება. შემნახველი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, ხოლო შენახვა შეიძლება განხორციელდეს, როგორც სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, ისე ერთჯერადად. რაც შეეხება მიმბარებელს, იგი შეიძლება იყოს, როგორც ხელშეკრულების საგნის მესაკუთრე, ისე მფლობელი, რომელიც იურიდიული საფუძვლით ახორციელებს ქონებაზე ფაქტობრივ ბატონობას. სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს მიბარების, როგორც სასყიდლიან, ისე უსასყიდლო სახეს (იხ. სუსგ საქმე №ას-1085-1042-2016, 10 მაისი, 2017 წელი). მიბარების ხელშეკრულება ფორმათავისუფალი გარიგებაა და მხარეებს შეუძლიათ დადონ როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით.

32. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ კარადა (რომელიც შედგება სამი ნაწილისგან, ზომებით: სიმაღლე 3 მეტრი, სიგანე 2,1 მეტრი, ჩუქურთმებში, ცენტრალურ ნაწილში „ქალღმერთის“ გამოსახულებით, ზედა ნაწილში ოთხი მეომრის სახით) დამზადებულია მოსარჩელის, გ. ქ-ძისა და ტ. ზ-ძის მიერ, მისი რეალიზაციის მიზნით; სადავო არ არის, რომ აღნიშნული კარადა წარმოადგენდა მათ თანასაკუთრებას, თანაბარი უფლებით; 2016 წლის 22 თებერვალს ტ. ზ-ძემ კარადის მის კუთვნილ 1/3 ნაწილზე საკუთრების უფლება გადასცა მოსარჩელეს, შესაბამისად, მოსარჩელე წარმოადგენს კარადის 2/3 ნაწილის, ხოლო გ. ქ-ძე 1/3 ნაწილის მესაკუთრეს; დადგენილია, ასევე, რომ კარადის ორი – შუა და ქვედა ნაწილები იმყოფება მოპასუხის მფლობელობაში; მხარეთა განმარტებით, კარადის სადავო ნაწილის მოპასუხესთან განთავსება მოხდა მას შემდეგ, რაც ვერ განხორციელდა მისი რეალიზაცია. ის დროებით შესანახად მოპასუხესთან მიიტანა მოსარჩელემ. მოპასუხის მტკიცებით კარადის ეს ნაწილები წარმოადგენს მათ საკუთრებას, იგი დამზადდა მისი ოჯახის კუთვნილი კაკლის ხის მასალით, რის გამოც, კარადის ნაწილი დაუტოვეს კაკლის ხის მასალის ფასში, თუმცა აღსანიშნავია, რომ მოპასუხეს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არ წარუდგენია აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულებები. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ

მოსარჩელე ფლობს მოპასუხისა და მისი ძმის კუთვნილ ჩარხ-დანადგარებს (რის გამოც ისინი უარს ამბობენ კარადის ნაწილის დაბრუნებაზე), აღნიშნული წარმოადგენს სხვა დავის საგანს და განსახილველი დავის ფარგლებში ამ გარემოების შეფასებას არ აქვს სამართლებრივი მნიშვნელობა, რადგან დადასტურების შემთხვევაში იგი ვერ გახდება მოპასუხისაგან სადავო ნივთის გამოთხოვაზე უარის თქმის საფუძველი.

33. შესაბამისად, ვინაიდან დადგენილია, რომ ამჟამად კარადის ნაწილი იმყოფება მოპასუხის მფლობელობაში და ის მოპასუხესთან განთავსდა დროებით შესანახად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მოსაზრებას, რომ მხარეთა შორის ადგილი აქვს მიბარების ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 770-ე მუხლის თანახმად კი, მიმბარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს შესანახად მიბარებული ნივთის დაბრუნება, იმ შემთხვევაშიც, თუ შენახვის ვადა განსაზღვრული იყო.

34. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მიმბარებული ნივთის შენახვის ვადა განსაზღვრული არ ყოფილა. მოსარჩელემ მოითხოვა მისი დაბრუნება, რაზეც მოპასუხემ უარი განაცხადა. ამასთან, მოსარჩელემ 2016 წლის 20 მაისს წერილობითი შეტყობინება გაუგზავნა მოპასუხეს. წერილობითი შეტყობინება ჩაბარდა 2016 წლის 23 მაისს, რაზეც მას რეაგირება არ მოუხდენია.

35. გარდა ამისა, დადგენილია, რომ სარჩელის შეტანამდე (05.07.2016წ.), 2016 წლის 18 ნოემბერს მოსარჩელე და გ. ქ-ძე შეთანხმდნენ (იხ. ნოტარიულად დამოწმებული ხელწერილი) კარადის რეალიზაციისა და შედეგად მიღებული თანხის გაყოფის თაობაზე. მოსარჩელის განმარტებით, მას კარადის ორი ნაწილის დაბრუნება სწორედ მისი რეალიზაციის მიზნით სურს. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული ხელწერილი წარმოადგენს გ. ქ-ძის თანხმობას მისი, როგორც თანამესაკუთრის მიერ მესაკუთრის უფლების რეალიზაციის თაობაზე და მოსარჩელის მიერ სადავო ნივთის გამოთხოვა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის მე-2 ნაწილის [თითოეულ თანამესაკუთრეს შეუძლია მოთხოვნები წარუდგინოს მესამე პირებს საერთო საკუთრებაში არსებული ქონების გამო] შესაბამისად, ხორციელდება ყველა თანამესაკუთრის სასარგებლოდ.

36. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მიმბარებლის მოთხოვნა მიმბარებული ნივთის დაბრუნების შესახებ გულისხმობს მიმბარების ხელშეკრულების მოშლას (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 770, www.gccg.ge). შესაბამისად,

მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მფლობელობას აღარ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი.

37. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. იმავე კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია, რომ მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. შესაბამისად, არამფლობელი მესაკუთრის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მართლზომიერებისთვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა) მოსარჩელე უნდა იყოს მესაკუთრე, ბ) მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი და გ) მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება.

38. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელე წარმოადგენს კარადის თანამესაკუთრეს, რომელიც მოპასუხის მფლობელობაში იმყოფება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასაბუთებულია მოთხოვნა მიზარებული მოძრავი ნივთის მოპასუხისაგან გამოთხოვის თაობაზე.

39. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს ამგვარი საფუძვლები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

40. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

41. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო

სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს; მოპასუხეს უნდა დაევალოს, მოსარჩელეს დაუბრუნოს კაკლის ხის კარადის (რომელიც შედგება სამი ნაწილისგან, ზომებით: სიმაღლე – 3 მეტრი, სიგანე – 2,1 მეტრი, ჩუქურთმებში, ცენტრალურ ნაწილში „ქალღმერთის“ გამოსახულებით, ზედა ნაწილში ოთხი მეომრის სახით) ორი, ქვედა და შუა ნაწილი, რომელიც ინახება მოპასუხის ფაქტობრივ საცხოვრებელ სახლში, მდებარე ქ. ქუთაისი,

42. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. იმავე კოდექსის 199¹-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

43. მოცემულ შემთხვევაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 05 ივლისის განჩინებით, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხეს აეკრძალა მის საცხოვრებელ სახლში, მდებარე: ქ. ქუთაისი, ქ. 18, შენახული, მიბარებული მოძრავი ნივთის – კაკლის ხის კარადის (რომელიც შედგება სამი ნაწილისგან, ზომებით: სიმაღლე 3 მეტრი, სიგანე 2,1 მეტრი, ჩუქურთმებში, ცენტრალურ ნაწილში „ქალღმერთის“ გამოსახულებით, ზედა ნაწილში ოთხი მეომრის სახით), კერძოდ, კარადის ორი ნაწილის, ანუ ქვედა და შუა ნაწილის გასხვისება, ნებისმიერი ფორმით განკარგვა, აგრეთვე სხვა შენობაში გადატანა; ხოლო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილებით, რომლითაც დაკმაყოფილდა მოპასუხის სააპელაციო საჩივარი და სარჩელი არ დაკმაყოფილდა, საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹-ე მუხლის შესაბამისად, გაუქმდა მოცემულ საქმეზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

44. წინამდებარე გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის საკასაციო საჩივარი, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და სარჩელი დაკმაყოფილდა, შესაბამისად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, ძალაში უნდა დარჩეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 05 ივლისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

45. რაც შეეხება კასატორის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მხარეთა მიერ მათი მოთხოვნების დასაბამებლად და მითითებული ფაქტების დასამტკიცებლად საჭირო მტკიცებულებების წარდგენის საკმაოდ მკაცრად გაწერილ პროცედურას, რომლის შესაბამისად, მხარეებს მტკიცებულებათა წარდგენა შეუძლიათ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას შესაბამისი წესების დაცვით. გამონაკლის შემთხვევაში, კანონით დადგენილი წინაპირობების არსებობისას, დასაშვებია ახალი მტკიცებულების წარდგენა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოშიც (სსსკ-ის 380-ე მუხლი), თუმცა საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას მხარე ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნულ წესზე გავლენას ვერ მოახდენს მხარის მითითება, რომ მისთვის კონკრეტული გარემოების ან მტკიცებულების არსებობის შესახებ ცნობილი გახდა სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ან დოკუმენტები, რომელთა წარდგენაც მხარეს სურდა, შეიქმნა სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ამგვარი მტკიცებულებები მოცემული დავის ფარგლებში საკასაციო პალატის მსჯელობის საგანი ვერ გახდება. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასა-

ციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (ნოტარიულად დამოწმებული მოწმე გ. ქ-ძის განცხადება; სანოტარო აქტი მინდობილობის გაუქმების თაობაზე; ნოტარიულად დამოწმებული წერილი ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოსადმი; აუდიტორული დასკვნა), მთლიანობაში „6“ ფურცლად.

46. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამასთან, იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

47. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 208 ლარი (იხ. ს.ფ. 25), ხოლო საკასაციო საჩივარზე 150 ლარი. საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, რის შედეგადაც, სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, შესაბამისად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება ჯამში – 358 ლარის ოდენობით (208 ლარი+150 ლარი).

48. მოსარჩელემ მოითხოვა მის მიერ საადვოკატო მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 1000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება. აღნიშნული მოთხოვნა მოსარჩელემ, ასევე, დააყენა პირველი ინსტანციის სასამართლოში და სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე.

49. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის ზემოაღნიშნული მოთხოვნა ნაწილობრივ დასაბუთებულია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

50. მოსარჩელემ საქმის სააპელაციო ინსტანციაში განხილვისას წარადგინა სალაროს შემოსავლის ორდერები. კერძოდ, 2018 წლის 07 აგვისტოს სალაროს შემოსავლის ორდერი, რომლითაც დასტურდება, რომ მოსარჩელემ ადვოკატ ე. კ-ძეს ჩაურიცხა 500 ლარი, მოსარჩელის ინტერესების დასაცავად, ასევე, 2016 წლის 14 აპრილის სალაროს შემოსავლის ორდერი, რომლითაც დასტურდება, რომ მოსარჩელემ კ. კ-ძეს ჩაურიცხა 500 ლარი, მოსარჩელისა და ტ. ზ-ძის წარმომადგენლობისათვის ქუთაისის საქალაქო სასა-

მართლოში. ამასთან, მოსარჩელემ 2016 წლის 14 აპრილს გაცემული, სანოტარო წესით დამონმებული მინდობილობით კ. კ-ძეს მია-ნიჭა მისი ინტერესების სასამართლოში დაცვის უფლება. აღსანიშ-ნავია, რომ კ. კ-ძე მოსარჩელის ინტერესებს იცავდა მხოლოდ პირ-ველი ინსტანციის სასამართლოში (იხ. სხდომის ოქმები) და მას, რო-გორც მოსარჩელის წარმომადგენელს, აღარ მიუღია საქმის გან-ხილვაში მონაწილეობა სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე. ამდენად, მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი განცხადებით მოითხოვა მოპასუხისათვის როგორც პირველი ინ-სტანციის სასამართლოში, ისე სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე გაწეული საადვოკატო მომსახურების ხარჯის დაკისრება.

51. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, თუმ-ცა, მიუხედავად მოსარჩელის მიერ დაყენებული მოთხოვნისა სა-ქალაქო სასამართლოს თავის გადაწყვეტილებაში არ უმსჯელია ად-ვოკატის მომსახურებისათვის გაწეულ ხარჯზე. აღნიშნულზე მი-თითებას არ შეიცავს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

52. საპროცესო კანონმდებლობა პროცესის ხარჯების საკით-ხის განხილვის თაობაზე რაიმე სპეციალური წარმოების სახეს არ იცნობს, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლით დადგენილი შემთხვევისა. აღნიშნული სამართლებრივი ნორმა ით-ვალისწინებს ისეთი ხარჯების აღმოფხვრის მექანიზმს, როდესაც, მართალია, მხარემ მოითხოვა პროცესის ხარჯების დაბრუნება ან/და მხარეთა შორის განაწილება, თუმცა სასამართლოს თავისი მი-ზეზით გამორჩა მხედველობიდან ამ საკითხის გადაწყვეტა. საქარ-თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირვე-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გამომ-ტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ: სასა-მართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი. ამ-დენად, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ინიციატივა შე-იძლება მომდინარეობდეს როგორც სასამართლოსგან, ასევე, მხა-რისაგან. ამასთან, კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ და-მატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაის-ვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება (იმავე მუხლის მე-2 ნაწილი).

53. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხის დას-მის 7-დღიანი ვადის დენის დაწყებას კანონი უკავშირებს გადაწყ-ვეტილების გამოცხადებას და არა მხარისათვის მის ჩაბარებას (იხ. სუსგ საქმე №ას-225-217-2012, 25 ივნისი, 2012 წელი), რადგან სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შემდეგ მხარეებისათვის

(სასამართლოსათვის) ცხადი ხდება, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია ერთ-ერთი იმ ხარვეზით, რასაც ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილი.

54. კანონის ზემოაღნიშნული, იმპერატიული დათქმა ემსახურება იმ მიზანს, რომ სასამართლომ დროულად გამოასწოროს მის მიერ დაშვებული ხარვეზი (იხ. სუსგ საქმე №ას-480-454-2014, 08 მაისი, 2015 წელი).

55. ზემოთ დასახელებული ნორმის ანალიზი, ასევე საკასაციო სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობა, იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მხარე საპროცესო კანონმდებლობით საკმარისად არის დაცული, რათა მან პროცესის მოგების შემთხვევაში დაიბრუნოს მის მიერ განეული ხარჯები და აღდგეს პირვანდელ მდგომარეობაში (იხ. სუსგ №ას-165-158-2013, 27 იანვარი, 2014 წელი).

56. ამრიგად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ (სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას), თუ მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ მის რომელიმე მოთხოვნაზე სასამართლომ არ იმსჯელა (მოსარჩელე არ ესწრებოდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას, თუმცა მან ჩაიბარა დასაბუთებული გადაწყვეტილება 12.09.2018 წელს), მას შეეძლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის შესაბამისად, მოეთხოვა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა, თუმცა მას ამ უფლებით არ უსარგებლია. შესაბამისად, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია კასატორის მოთხოვნა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას საადვოკატო მომსახურებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურების შესახებ (შედარებისთვის იხ. სუსგ საქმე №ას-920-870-2015, 09 ივნისი, 2016 წელი).

57. რაც შეეხება მოსარჩელის წარმომადგენელს – ე. კ-ძეს, საქმეში წარდგენილია 2018 წლის 07 აგვისტოს გაცემული ორდერი, რომლის საფუძველზეც იგი მონაწილეობას იღებდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 07 აგვისტოს სხდომაში და ამავე სასამართლოს 2018 წლის 21 აგვისტოს სხდომაში. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქმეშია 2018 წლის 07 აგვისტოს სალაროს შემოსავლის ორდერი, რომლითაც დასტურდება, რომ მოსარჩელემ ე.კ-ძეს ჩაურიცხა 500 ლარი, მოსარჩელის ინტერესების დასაცავად.

58. მათალია, საქმეში არ არის წარდგენილი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და არც კანონით დადგენილი წესით შედგენილი მინდობილობა, თუმცა, ზემოაღნიშნული ორდერი, სალაროს შემოსავლის ორდერი და სააპელაციო სამართალწარმოე-

ბაში მონაწილეობის ფაქტი, თავისთავად მიანიშნებს მხარეთა შორის სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლით განსაზღვრული დავალების ხელშეკრულების არსებობაზე, რომელიც შეიძლება ზეპირი ფორმითაც დაიდოს.

59. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

60. ნორმის დისპოზიცია იმგვარად არის ფორმულირებული, რომ არ ადგენს განეული ხარჯის სანაცვლოდ ანაზღაურების ერთმნიშვნელოვან ოდენობას, არამედ ამ ოდენობის გონივრულად განსაზღვრის უფლებას უტოვებს სასამართლოს. კანონმდებლის ამგვარი მიდგომა განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ ადვოკატის მომსახურებაში გადახდილი ხარჯის სანაცვლოდ ანაზღაურებამ დაუსაბუთებლად არ უნდა შეზღუდოს პროცესის მონაწილე მხარის უფლება და არ უნდა შექმნას წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ოდენობის ხელოვნურად გაზრდის პროცესუალური საფუძველი; ნორმის ამგვარი შინაარსის მიზანია პროცესის მონაწილე მეორე მხარის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვის თავიდან აცილება. გონივრულობის კრიტერიუმად კი, კანონმდებელი მიიჩნევს ქონებრივ დავებში დავის საგნის ღირებულების არაუმეტეს 4%-ს, ხოლო არაქონებრივ დავებში 2000 ლარს, რაც წარმოადგენს ზედა ზღვარს (კანონით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას), რომლის ფარგლებშიც ხდება სასამართლოს მიერ ხარჯების ოდენობის განსაზღვრა. ამ თვალსაზრისით, მხედველობაში მიიღება კონკრეტულად რა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებები განახორციელა ადვოკატმა, რა სახის ადამიანური რესურსი დაიხარჯა, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე, პროცესის მონაწილე რომელმაც მხარემ გასწია იგი და სხვა.

61. ამრიგად, ზემოაღნიშნულ პუნქტებში განვითარებული მსჯელობის შესაბამისად, განსახილველი დავის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე განეული სასამართლოსგარეშე ხარჯის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის 160 ლარის (დავის

საგნის ღირებულების – 4000 ლარის 4% [სსსკ-ის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, დავის საგნის ფასი განისაზღვრება: 4 000 ლარით, თუ ქონებრივ-სამართლებრივ დავაში (საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, სამეზობლო დავა და სხვა) შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა]) გადახდა, ხოლო დარჩენილ ნაწილში მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს დაუსაბუთებლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ვ. ქ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. ქ-ის სარჩელი ს. ქ-ძის მიმართ მიზარებული მოძრავი ნივთის გამოთხოვის თაობაზე დაკმაყოფილდეს;
4. დაევალოს ს. ქ-ძეს, რომ ვ. ქ-ს დაუბრუნოს კაკლის ხის კარადის (რომელიც შედგება სამი ნაწილისგან, ზომებით: სიმაღლე – 3 მეტრი, სიგანე – 2,1 მეტრი, ჩუქურთმებში, ცენტრალურ ნაწილში „ქალღმერთის“ გამოსახულებით, ზედა ნაწილში ოთხი მეომრის სახით) ორი, ქვედა და შუა ნაწილი, რომელიც ინახება ს.ქ-ძის ფაქტობრივ საცხოვრებელ სახლში, მდებარე ქ. ქუთაისში, ქ. №18;
5. ს. ქ-ძეს (პ/ნ) ვ. ქ-ის (პ/ნ) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სარჩელსა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 358 (სამას ორმოცდათვრამეტი) ლარის გადახდა;
6. ვ. ქ-ის მოთხოვნა ადვოკატისათვის გაწეული ხარჯის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
7. ს. ქ-ძეს (პ/ნ ...) ვ. ქ-ის (პ/ნ ...) სასარგებლოდ დაეკისროს სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე ადვოკატისათვის გაწეული ხარჯის სახით 160 (ას სამოცი) ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს დაუსაბუთებლობის გამო;
8. ძალაში დარჩეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 5 ივლისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ს.ქ-ძისთვის მიზარებული მოძრავი ნივთის – კაკლის ხის კარადის ორი ნაწილის გასხვისების, ნებისმიერი ფორმით

განკარგვის და სხვა შენობაში გადატანის აკრძალვის თაობაზე;

9. ს. ქ-ძეს დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (ნოტარიულად დამოწმებული მოწმე გ. ქ-ძის განცხადება; სანოტარო აქტი მინდობილობის გაუქმების თაობაზე; ნოტარიულად დამოწმებული წერილი ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოსადმი; აუდიტორული დასკვნა), მთლიანობაში „6“ ფურცლად;

10. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-1725-2019

10 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი**

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან უძრავი ქონების გა-
მოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. შპს „ბ. ბ-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხა-
რე ან მესაკუთრე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ფ. ე-ძის, მ. ე-
ძისა და ე. ე-ძის (შემდგომში – მოპასუხეები, აპელანტები, კასა-
ტორები ან მფლობელები) მიმართ მოპასუხეთა უკანონო მფლობე-
ლობიდან მოსარჩელის კუთვნილი, ქ. ბათუმში, №11/28-ში მდებ-
არე №02/2 და №03/1 უძრავი ქონების (ს/კ №, შემდგომში –
სადავო უძრავი ქონება) გამოთხოვისა და გამოთავისუფლებული
ნივთების მოსარჩელისათვის გადაცემის მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2014
წლის 16 დეკემბერს მოსარჩელესა და მოპასუხეებს შორის დაიდო
წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც გამოიდ-

ველებმა (მოპასუხეები) მყიდველს (მოსარჩელე) მიჰყიდეს ქ. ბათუმში, მდებარე უძრავი ქონება. ამავე ხელშეკრულებით მყიდველს გამყიდველებისათვის ნასყიდობის ფასის სანაცვლოდ, 2016 წლის 31 დეკემბრამდე, უნდა გადაეცა ამ მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი საცხოვრებელი ფართები (ჯ. ე-ძისათვის - 115 კვ.მ, მ. ე-ძისათვის 85 კვ.მ, ე.ე-ძისათვის 160 კვ.მ შავი კარკასი). მიუხედავად კომპანიის მიერ აღნიშნული ვალდებულების შესრულებისა, მოპასუხეები არ ათავისუფლებენ მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნაწილს – №02/2 და № 03/1 ნაგებობებს, რითაც ხელი ეშლება მოსარჩელეს საკუთრებით სრულფასოვან სარგებლობაში.

2. მოპასუხეების პოზიცია:

მოთხოვნის შემადგერხებელი შესაგებლით მოპასუხეებმა არ ცნეს სარჩელი და განმარტეს, რომ მოსარჩელემ მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა ვალდებულება, ვინაიდან, მხარეთა შორის გაფორმებული წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება ითვალისწინებდა დამატებით პირობებს: 4.1 მუხლით, იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველები მისთვის კუთვნილი ფართის საჯარო რეესტრში დარეგისტრირების დროისათვის მოითხოვდნენ მიწის ნაკვეთის გადაცემას ნასყიდობის საგნიდან, გამყიდველების მიერ მისაღებ ფართს გამოაკლდებოდა აღნიშნული მიწის ნაკვეთი და საბოლოოდ ჯ. ე-ძეს გადაეცემოდა 87კვ.მ და ე. ე-ძეს 148 კვ.მ ფართი. ამავე ხელშეკრულების 4.2 მუხლით, ასეთ შემთხვევაში, მყიდველი იღებდა ვალდებულებას, მითითებულ მიწის ნაკვეთზე აეშენებინა ერთსართულიანი 40 კვ.მ სასაწყობო ფართი შავი კარკასის მდგომარეობაში, რისი პროექტიც შეთანხმებული იქნებოდა ჯ. ე-ძესთან და ე. ე-ძესთან. მოსარჩელემ აღნიშნული ვალდებულება არ შეასრულა, რაც გამოიწვია მოპასუხეთა მხრიდან საპასუხო ვალდებულების შესრულებას. ამასთან, მოსარჩელე არ წარმოადგენს სადავო ფართის ერთადერთ მესაკუთრეს, ვინდოკაციური სარჩელის აღძერისათვის კი, საჭიროა ყველა მესაკუთრის თანხმობა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 5 ივნისის გადანყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა სადავო უძრავი ქონება და გამოთავისუფლებული გადაეცა მოსარჩელეს.

4. აპელანტების მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის უარყოფა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორების მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს აპელანტებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის მიზეზები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):

საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს ვინდიკაციური სარჩელის წარმატებულობა, კერძოდ, სახელშეკრულებო თვითობოჭვის ფარგლებში წარმატებულია თუ არა მესაკუთრის მოთხოვნა მფლობელობის ჩამორთმევის თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას პალატა კასატორთა პრეტენზიების ფარგლებში შეამოწმებს, რომელიც ძირითადად სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლის გამოყენებაზე უარსა და ქონების განკარგვის შესახებ ხელშეკრულებით მყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების საკითხებს შეეხება.

1.2. საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშ-

ვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნიათ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა, დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქ. ბათუმში, ... მდებარე უძრავი ქონება მოსარჩელის საკუთრებას წარმოადგენს. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება (დამონშემის თარიღი 16.12.2014წ);

1.2.2. მოსარჩელის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ №02/2 და №03/1 შენობა-ნაგებობებს ფლობენ მოპასუხეები;

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორთა პრეტენზიას სასამართლოს მხრიდან მტკიცებულებათა არასრულყოფილად გამოკვლევის თაობაზე (სსკ-ის 105-ე მუხლი), შესაბამისად, პალატა იკვლევს სახეზე ხომ არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული განჩინების გაუქმების წინაპირობები (საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადანყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი).

1.3.2. ვინდიკაციური მოთხოვნის წარმატებულობის შემოწმების მიზნით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უკანონო მფლობელობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის შესახებ სარჩელის ელემენტებს ადგენს სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლები. სარჩელის დაკმაყოფილებისათვის მოსარჩელე უნდა მიუთითებდეს, რომ: ა) არის ქონების მესაკუთრე; ბ) მოპასუხე ფლობს ქონებას; გ) მფლობელს არ გააჩნია სადავო ქონებაზე ფაქტობრივი ბატონობის მართლზომიერი საფუძველი (სკ-ის 159-ე და 162-ე მუხლები). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებიდან გამომდინარე, მოსარჩელეს ეკისრება, საჯარო რეესტრის ამონაწერზე დაყრდნობით დაამტკიცოს ნივთზე საკუთრების უფლების არსებობა (რაც, მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა), ასევე, ნივთის მოპასუხის მიერ ფლობის ფაქტი, რაც შეეხება მფლობელს, ამავე ნორმებიდან გამომდინარე, მისი შესაგებელი შეიძლება ემყარებოდეს, როგორც ფლობის ნამდვილი, მარ-

თლზომიერი უფლების არსებობას, ისე – საკუთრების უფლების ნამდვილობას და როგორც ერთი, ისე – მეორე ფაქტის სათანადო მტკიცებულებით დადასტურება მისი მტკიცების ტვირთს წარმოადგენს.

1.3.3. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილ გარემოებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელე, რეგისტრირებული მონაცემების თანახმად, წარმოადგენს ქონების მესაკუთრეს. რეესტრის ჩანაწერი შედავებული არ არის, შესაბამისად, მის მიმართ მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით განსაზღვრული უტყუარობისა და სისწორის პრეზუმფცია. გარდა ამისა, უდავოა, რომ ქონებას ფლობენ მოპასუხეები, რომლებმაც წარადგინეს მოთხოვნის შემაფერხებელი შესაგებელი. მათი განმარტებით, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების 4.4. პუნქტით მყიდველმა იკისრა საცხოვრებელი ფართით მათი უზრუნველყოფის ვალდებულება, რომლის შესრულებამდეც მფლობელებს უფლება აქვთ შეინარჩუნონ ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა.

1.3.4. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში წარმოდგენილი 2014 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულების 4.4. მუხლზე, რომლის თანახმადაც, „მყიდველი ღებულობს ვალდებულებას, იმ შემთხვევაში, თუ ძველი საცხოვრებელი ფართი იქნება საცხოვრებლად უვარგისი, ამ შემთხვევაში ალტერნატიული ფართით უზრუნველყოს ჯ. ე-ძე, მ. ე-ძე და ე. ე-ძე“. ხელშეკრულების ხსენებული პირობა არ შეფასებულა საქმის ქვემდგომი წესით განხილვისას. საკასაციო პალატის დასკვნით, ხსენებულ პირობაში გამოთქმული ნება, სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის შესაბამისად, უნდა შეფასდეს ხელშეკრულების დადების დროს მხარეთა ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, კერძოდ, უნდა დადგინდეს მოსარჩელის მიერ ნაწარმოები მშენებლობის მიმართ ორმხრივი მოლოდინი, თუ რა პირობას განიხილავდა თითოეული მხარე ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას, როდესაც გამყიდველი საცხოვრისის გასხვისების სანაცვლოდ საზღაურს მიიღებდა ნატურის – საცხოვრებელი ფართის სახით. სწორედ ამ საკითხის გარკვევის შემდეგ უნდა შემოწმდეს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელემ სახელშეკრულებო თვითბოჭვის ფარგლებში ხომ არ შეიზღუდა საკუთრებით თავისუფალი სარგებლობა გარკვეული პირობის შესრულების სანაცვლოდ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია შესაგებელში მოპასუხეთა მიერ გამოთქმული შედავება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ ვალდებულება ნაწილობრივ შეასრულა, კერძოდ, მან მოპასუხეებს საკუთრებაში დაურეგისტრირა ბინები, რომლებიც საცხოვრებლად ვარგისი ამ ეტაპზე

არ არის. გარდა ამისა, სწორედ ხელშეკრულების ზემოხსენებული დებულების შეფასების შედეგად უნდა გაირკვეს ორმხრივი ვალდებულებიდან გამომდინარე, რომელმა მხარემ უნდა განახორციელოს პირველად შესრულება და გამართლებულია თუ არა მოპასუხეთა შედაგება სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლის ფარგლებში (იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა).

1.3.5. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებით მოსარჩელემ მოიპოვა საკუთრების უფლება ნივთზე და მას ზოგადად უფლება აქვს მოითხოვოს ნივთის ვინდიცირება, ხოლო ხელშეკრულების 4.2. მუხლით განსაზღვრული სასაწყობე ფართის მშენებლობა დამოუკიდებელ ვალდებულებით ურთიერთობას წარმოადგენს, რომელიც ნივთის გამოთხოვის მოთხოვნას ვერ შეაფერხებს, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, მფლობელობის დათმობის სანაცვლოდ თუკი დადგინდება, რომ მესაკუთრემ, ამავე ხელშეკრულების 4.4. მუხლის შესაბამისად, იკისრა საცხოვრებელი უზრუნველყოფის ვალდებულება, მის შესრულებამდე კასატორები განიხილებიან სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერ/მართლზომიერ მფლობელებად, რომელთაც უფლება აქვთ უარი განაცხადონ ქონების გათავისუფლებაზე.

1.4. საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პროცესულურსამართლებრივი დასაბუთება:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საპროცესო წესების დარღვევით დაადგინა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საფუძველი. ამასთანავე, რადგანაც საჭიროა მტკიცებულებათა ხელახალი გამოკვლევა, ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველით, პალატა საქმეს უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც უნდა დაადგინოს დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები და ამ გზით გადაწყვეტოს უფლების საკითხი.

2. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:

საკასაციო საჩივარს ერთვის 2014 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულების, მიკრო ბიზნესის სტატუსის სერთიფიკატისა და საჯარო

რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადანყვევტილებების ასლები. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო სასამართლოში ახალი მტკიცებულებების მიღება არ ხდება (მით უფრო არ არსებობს საქმეში უკვე არსებული მასალების ასლების კვლავ წარმოდგენის აუცილებლობა), არამედ, პალატა გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას ამოწმებს საქმეში არსებული, დასაშვებად ცნობილი მტკიცებულებებისა და სხდომის ოქმებში ასახული განმარტებების ფარგლებში, არ არსებობს საჩივარზე დართული დოკუმენტების მიღების საფუძველი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე კი, წარმოდგენილი დოკუმენტები უნდა დაუბრუნდეს მხარეს.

3. პროცესის ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღდგრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ვინაიდან მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ქვემდგომ სასამართლოს, პროცესის ხარჯების საკითხი უნდა გადანყვედეს შემავამებელი გადანყვევტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 104-ე, 407-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ჯ. ე-ძის, მ. ე-ძისა და ე. ე-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 9 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. კასატორთა შუამდგომლობა მტკიცებულებების საქმისათვის დართვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, ჯ. ე-ძეს, მ. ე-ძესა და ე. ე-ძეს დაუბრუნდეთ საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 9 (ცხრა) ფურცლად.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გაერთიანება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-509-2020

31 მაისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
გ. მიქაუტაძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გა-
ერთიანება, მესაკუთრისათვის გამოთავისუფლებულ მდგომარეო-
ბაში გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „კ-ტ პ-ს ჯ-იამ“ (შემდგომ – მოსარჩელემ, მოწინააღმდეგე მხარემ) სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. გ-ძის (შემდგომ – მოპასუხის, აპელანტის, კასატორის) მიმართ უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვისა და მესაკუთრისათვის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაცემის შესახებ.

სარჩელის საფუძვლები

2. მოსარჩელის განმარტებით, ხელვაჩაურის რაიონის, სოფელ ..., ... ქუჩა №...-ში მდებარე №...-ბინის (ფართი 58.15 კვ.მ, ს/კ ...) მესაკუთრეა, რაც საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება.

3. უძრავ ნივთს მოპასუხე არ ათავისუფლებს, მიუხედავად იმი-
სა, რომ მფლობელობა მესაკუთრის ნებას ეწინააღმდეგება.

მოპასუხეების შესაგებელი

4. მოპასუხემ შესაგებელი არ წარადგინა. სასამართლო სხდო-
მაზე მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ გარემოებაზე მითითებით,
რომ სხვა საცხოვრებელი არ გააჩნდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სა- რეზოლუციო ნაწილი:

5. ხელვაჩაურის რაიონის 2019 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტი-
ლებით, სარჩელი დაკმაყოფილდა; სადავო უძრავი ნივთი გამოთ-
ხოვით იქნა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან და ამ უკანას-
კნელს დაევალა გამოთავისუფლებული უძრავი ქონების მესაკუთ-
რისათვის გადაცემა.

6. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო
ნესით გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

7. ქ-ის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 20 თებერვლის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

8. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა ვინდუ-კაციური სარჩელის დაკმაყოფილების ყველა წინაპირობა, კერძოდ, მოსარჩელე სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრე, ხოლო მოპასუხე ნივთის მფლობელი იყო. ამასთან, მოპასუხეს არ ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

9. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება, რომ უძრავ ქონებას ფაქტობრივად არ ფლობდა, შესაბამისად, არასათანადო მხარე იყო. პალატის მითითებით, მართალია, აპელანტი, როგორც მსჯავრდადებული, საქმის განხილვის მომენტში პენიტენციურ დაწესებულებაშია, მაგრამ უდავო იყო, რომ, სწორედ მისი ნების შესაბამისად, მესაკუთრეს არ ეძლეოდა უძრავი ქონების ფაქტობრივი ფლობისა და სარგებლობის საშუალება.

კასატორების მოთხოვნა და საფუძვლები:

10. ზემოაღნიშნული განჩინება მოპასუხემ საკასაციო წესით გასაჩივრა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

11. კასატორის საკასაციო პრეტენზიის თანახმად, მოპასუხეს ჰყავს მრავალსულიანი ოჯახი, არ აქვს სხვა, ალტერნატიული საცხოვრებელი. გამოსახლების შემთხვევაში ოჯახი უსახლკაროდ დარჩება, თანაც იმ დროს, როდესაც მოპასუხე სასჯელს იხდის. მოპასუხემ სთხოვა მოსარჩელეს, პატიმრობის დასრულებამდე შეეჩერებინა გამოსახლების პროცესი, მაგრამ მოსარჩელემ ეს თხოვნა არ გაითვალისწინა.

12. მოპასუხემ ისესხა 15 000 აშშ დოლარი, რასაც ბევრად აღემატება ამ პერიოდის მანძილზე მის მიერ ბანკში შეტანილი ფულადი თანხის ოდენობა, მაგრამ მოსარჩელე ცდილობს, მაქსიმალურად მეტი მოგება მიიღოს მოპასუხისაგან.

სამოტივაციო ნაწილი:

13. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

14. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელა-

ციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება – დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

15. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უკანონოდ დაკავებული ფართის გამოთავისუფლებისა და გადაცემის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი (მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება). ნორმის თანახმად, არამფლობელი მესაკუთრის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მართლობიერებისთვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა) მოსარჩელე უნდა იყოს მესაკუთრე, ბ) მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი და გ) მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება.

16. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეს შესაგებელი არ წარუდგენია. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას, კერძოდ, მოსარჩელე სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეა, მოპასუხე სადავო უძრავი ქონების არამართლობიერი მფლობელია. ამასთან, მოპასუხეს არც პირველი ინსტანციის სასამართლოში გამართულ სხდომაზე არ წარუდგენია იმგვარი სამართლებრივი მოსაზრებები, რომელიც სარჩელის დაკმაყოფილებას გამორიცხავდა (სსკ-ის 232¹-ე მუხლი).

17. რაც შეეხება მოსაზრებას, რომ მოპასუხის მიერ სადავო ნივთის მფლობელობას გამორიცხავს მისი სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოთავსება, პალატა განმარტავს, რომ მოპასუხის სასჯელალსრულების დაწესებულებაში ყოფნის ფაქტი იმთავითვე სადავო უძრავ ქონებაზე მფლობელობის შეწყვეტას არ გულისხმობს.

18. სსკ-ის 156-ე მუხლი (მფლობელობა ითვლება შეწყვეტილად, თუ მფლობელი სამუდამოდ თმობს ნივთს ან სხვა გზით კარგავს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას) განსაზღვრავს მფლობელობის

შენწყვეტის ორ ალტერნატივას: ნივთის მფლობელის მიერ ნების გამოვლენის საფუძველზე მფლობელობის დათმობას სამუდამოდ და სხვა გზით ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის დაკარგვას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი, მხოლოდ გარდამავალი ხასიათის წინააღმდეგობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელებისას არ იწვევს მფლობელობის შეწყვეტას (შდრ. ლ. თორთლაძე, „სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, ნიგნი II, თბილისი 2018, მუხლი 156).

19. სადავო არაა, რომ მოპასუხე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებამდე სადავო ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას ახორციელებდა. დადგენილია, რომ კასატორს ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა ნებით არ შეუწყვეტია. პირიქით, საკასაციო საჩივრით სწორედ მოპასუხის მფლობელობის ნების არსებობა დასტურდება. რაც შეეხება „სხვა გზით ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის დაკარგვას“, პალატის განსჯით, მფლობელობა შეწყვეტილად ვერ მიიჩნევა ისეთი დროებითი წინააღმდეგობის შემთხვევაში, როგორცაა – პატიმრობა, მით უფრო, თავად მოპასუხე მიუთითებს, რომ მისი ოჯახის წევრები ახლაც სადავო სახლში ცხოვრობენ და მოპასუხისა და მისი ოჯახის წევრების კუთვნილი მოძრავი ნივთებიც იქვეა განთავსებული.

20. რაც შეეხება საკასაციო საჩივარში მითითებულ სხვა ფაქტობრივ გარემოებებს, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას არ გამოორიცხავს. ამასთან, სადავო ქონებაზე მესაკუთრის უფლების წარმოშობის მართლზომიერებაზე პრეტენზია სცდება ვინდუკაციური სარჩელის დავის საგნის ფარგლებს და მოპასუხეს შეუძლია, დამოუკიდებელი სარჩელით იდავოს.

21. პალატა მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში საკუთრების უფლება ფართოდაა განმარტებული და იგი მოიცავს ქონებრივ/ფულად უფლებებს, რომელიც საკუთრებიდან გამომდინარეობს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში – „მარქსი ბელგიის წინააღმდეგ“ განმარტა: „იმის აღიარებით, რომ ყოველ ადამიანს აქვს თავისი საკუთრებით (ქონებით) შეუფერხებელი სარგებლობის უფლება, მუხლი პირველი არსებითად უზრუნველყოფს საკუთრების უფლებას. ეს არის სრულიად ცხადი წარმოდგენა, რომელსაც ტოვებს სიტყვები „საკუთრება“ და „საკუთრების გამოყენება“ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება – „მარქსი ბელგიის წინააღმდეგ“, განაცხ. 6833/74, სტრასბურგი, 1979 წლის 13 ივნისი).

22. სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელმეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარ-

გებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

23. სსკ-ის 168-ე მუხლის თანახმად, მესაკუთრის პრეტენზიის გამო, ნივთის მფლობელობა წყდება, თუ მესაკუთრე მფლობელს ნაუყენებს დასაბუთებულ პრეტენზიას. ამდენად, უნდა გამოიკვეთოს სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა წინაპირობა, რათა მოსარჩელეს უფლება ჰქონდეს, ნივთის მისთვის გადაცემა მოითხოვოს. განსახილველ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, გამოკვეთილია ვინდუკაციური სარჩელის დაკმაყოფილების ყველა წინაპირობა, რაც კასატორის მიერ სათანადო წესით უარყოფილი არ ყოფილა.

24. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყევტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყევტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 410-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქ-სის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 20 თებერვლის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. სამეზობლო

ფულადი კომპენსაცია თმანის ვალდებულებისთვის

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-738-706-2016

18 იანვარი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: უკანონოდ აშენებული ნაგებობის დემონტაჟი,
უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. ნ-ძემ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მო-
სარჩელე ან მონინალმდებე მხარე) 2003 წლის 17 სექტემბერს სა-
ჯარო რეესტრში დაირეგისტრირა ლაგოდეხის რაიონის სოფელ
მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, 7030 კვ.მ, ს/კ-ით
№... (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი მიწის
ნაკვეთი).

2. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2013 წლის 12
აპრილს მოსარჩელის სახელზე გასცა საკუთრების უფლების №619
მონუმბა, რომლის საფუძველზეც, ამ უკანასკნელს საკუთრებაში
გადაეცა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ...ში მდებარე სასოფლო-სა-
მეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ფართობით 2721,1 კვ.მ.
აღნიშნული მიწის ნაკვეთი (ს/კ-ით №....., შემდეგში ტექსტში მოხ-
სენიებული, როგორც მეორე მიწის ნაკვეთი) საჯარო რეესტრში იმა-
ვე დღეს აღირიცხა მოსარჩელის საკუთრებად.

3. ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთები გაერთიანდა ერთ საკადას-
ტრო ერთეულად და გაერთიანებული მიწის ნაკვეთი 9743.00 კვ.მ
ფართით, ს/კ-ით №... (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც
უძრავი ქონება, მიწის ნაკვეთი ან მოსარჩელის საკუთრება) 2013
წლის 30 მაისს საჯარო რეესტრში მოსარჩელის საკუთრებად აღი-
რიცხა (იხ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან).

4. მ. ფ-ძე (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპა-
სუხე, აპელანტი ან კასატორი), სადავო უძრავი ქონების მომიჯნა-
ვედ მდებარე მიწის ნაკვეთის, ს/კ-ით №... (შემდეგში ტექსტში მოხ-

სენიებული, როგორც მოპასუხის საკუთრება ან მოპასუხის უძრავი ქონება) მესაკუთრეა.

5. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 29 ივლისის დასკვნით, ლაგოდეხის რაიონში სოფელში მოპასუხის სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობების და შემომსაზღვრელი ღობის ნაწილი იჭრება მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ფარგლებში. გადაფარვის ფართი შეადგენს 411.2 კვ.მ ფართს, აქედან შენობა-ნაგებობების მოწყობით გამოწვეული გადაფარვის ფართი შეადგენს 125.5 კვ.მ, ხოლო ღობის მოწყობით გამოწვეული გადაფარვის ფართი 285 კვ.მ ფართს.

6. მოპასუხემ თავის საკუთრებაში არსებული სადავო შენობა-ნაგებობის სიტუაციური გეგმა და მშენებლობის პროექტი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურთან შეათანხმა 2013 წლის აპრილში. იმავე წლის 8 მაისს, მან ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისგან მშენებლობის ნებართვა მიიღო.

7. მოპასუხემ მოსარჩელეს ჩაუყენა ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზა, გარდა ამისა, მისი კუთვნილი სამშენებლო მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა განახორციელა ისე, რომ წყალი და ატმოსფერული ნალექი ჩაედინება მოსარჩელის კუთვნილ მიწის ნაკვეთში.

8. მშენებლობის შესაჩერებლად მოსარჩელემ თავდაპირველად 2013 წლის 12 ივლისს, ხოლო შემდეგ 2013 წლის 5 აგვისტოს მიმართა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის 2013 წლის 19 ივლისის №49 წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ მისი 2013 წლის 15 ივლისის განცხადების საფუძველზე, ადგილზე იქნა შესწავლილი განცხადებაში აღნიშნული გარემოებები და აღმოჩნდა, რომ მოპასუხეს დარღვეული ჰქონდა სამიჯნე საზღვარი 3,30 მეტრამდე. ამავე წერილის მიხედვით, შედგენილი შემონმების აქტი გაეგზავნა მოპასუხეს და მიეცა გონივრული ვადა მშენებლობის შესაჩერებლად.

9. მოსარჩელემ მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით 2013 წლის 15 ივლისს თავად მოპასუხესაც მიმართა, თუმცა, ამ უკანასკნელს რეაგირება არ მოუხდენია.

10. 2013 წლის 22 აგვისტოს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა:

10.1. მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე 411.2 კვ.მ. ფართზე უკანონოდ აშენებული ყველა ნაგებობის დემონტაჟი და მოსარჩელის კუთვნილი ტერიტორიის გათავისუფლება დე-

მონტაჟის შემდგომი ნარჩენებისგან;

10.2. მიჯნის ღობის გადატანა თავის (მოპასუხის) კუთვნილ ტერიტორიაზე 285,7 კვ.მ-ის დაცილებით;

10.3. მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიასთან მისასვლელი თვითნებურად ჩაკეტილი გზის გახსნა;

10.4. მოპასუხის საკუთრებაში არსებული სამშენებლო მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა ისე, რომ მოსარჩელის ნაკვეთში არ მოხვდეს წყალი და ატმოსფერული ნალექი;

10.5. სამშენებლო მიწის ნაკვეთის მიჯნაზე კარის ღიობის, აივნისა და კედელში არსებული სხვა ღია ნაწილის მშენებლობის წარმოება ნაკვეთების საზღვრიდან არანაკლებ 3 მეტრის მოშორებით.

10.6. მოსარჩელემ წინამდებარე გადაწყვეტილების 1-9 პუნქტებში აღწერილ გარემოებებზე მიუთითა და დამატებით განმარტა, შემდეგი: მოპასუხემ 2013 წლის აპრილში მოსარჩელეს მიწის ნაკვეთის სასაზღვრო მიჯნის ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე გადაწვევის უფლების მინიჭება სთხოვა. მოსარჩელე მოპასუხეს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასაზღვრო მიჯნის მხოლოდ ერთი მეტრით გადაწვევაზე დათანხმდა, იმ პირობით რომ შენობისა და ნაკვეთის მომიჯნავედ გაკეთდებოდა გზა, რომლითაც მოსარჩელე ისარგებლებდა. მოპასუხემ 2013 წლის მაისში მოშალა ნაკვეთებს შორის გაკლებული სასაზღვრო მიჯნა და ის მოსარჩელის ტერიტორიაზე არა ერთი მეტრით, როგორც ეს შეთანხმებით იყო გათვალისწინებული, არამედ ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე – 3,30 მეტრით გადაწია. მიჯნის გადაწვევით გამოწვეულმა გადაფარვის ფართმა შეადგინა 285.7 კვ. მეტრი. სასაზღვრო მიჯნის დარღვევის თაობაზე მოსარჩელემ შეტყობისთანავე განუცხადა პრეტენზია მოპასუხეს, თუმცა მას რეაგირება არ მოუხდენია, უფრო მეტიც, ამ უკანასკნელმა თავის მიწის ნაკვეთზე დაიწყო მშენებლობა, ხოლო შემდგომ მშენებარე ნაგებობის ნაწილის მშენებლობა მოსარჩელის კუთვნილ ტერიტორიაზეც განაგრძო. შენობა-ნაგებობების მოწყობით გადაიფარა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის 125.5 კვ.მ. ფართი.

11. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2013 წლის თებერვალში, როდესაც მან დაიწყო სასაზღვრო მიჯნის მშენებლობა, სადავო მიწის ნაკვეთი მოსარჩელის საკუთრებას არ წარმოადგენდა, ის სახელმწიფოს საკუთრება იყო და მოსარჩელის საკუთრებად მხოლოდ 2013 წლის 30 მაისს აღირიცხა, რაც დასტურდება 2013 წლის 12 აპრილს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოსარჩელის სახელზე გაცემული საკუთრების მოწმობით, საჯარო რეესტრის ამონაწერითა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტი-

ზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 31 ოქტომბრის დასკვნით. სასაზღვრო მიჯნის მშენებლობას ესწრებოდა მოსარჩელეც, რომელსაც აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზია არ გამოუთქვამს.

მოპასუხის მოსაზრებით, მოსარჩელე უნდა მიჩნეულიყო სადავო მიწის არაკეთილსინდისიერ შემძენად, რადგან მან თანხმობა განუცხადა მოპასუხეს მიჯნისა და შენობა-ნაგებობის გადმოწევაზე მაშინ, როდესაც აღნიშნული ფართი სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო მიწის შეძენის დროს რაიმე პრეტენზია არ ჰქონია.

მოპასუხის მტკიცებით, უსაფუძვლო იყო მოსარჩელის მოთხოვნა თვითნებურად ჩაკეტილი მისასვლელი გზის გახსნის შესახებაც, რადგანაც მას მოპასუხის მიერ გზის თვითნებურად ჩაკეტვის თაობაზე, სასამართლოსათვის რაიმე მტკიცებულება არ წარუდგენია. აღნიშნული შესასვლელი გზა მოსარჩელეს არასოდეს ჰქონია, ხოლო ის ადგილი, სადაც მოპასუხეს შესასვლელი ჭიშკრები აქვს ჩაყენებული, ამ უკანასკნელის საკუთრებას წარმოადგენს.

მოპასუხემ ასევე განმარტა, რომ ის უკანონოდ არ ფლობს მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს და არც მის კუთვნილ ტერიტორიაზე აქვს უკანონო მშენებლობა ნაწარმოები, ასევე არ აქვს ჩაკეტილი მოსარჩელის კუთვნილ ტერიტორიასთან მისასვლელი გზა. ჭაბურღილის წყალი მიედინება არხში და მოსარჩელის საზღვართან შეხება არ აქვს. სადავო მშენებლობა ნაწარმოები აქვს პროექტის შესაბამისად, და ამიტომ, მისი მოსაზრებით, სარჩელი დაუსაბუთებელია.

12. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე 411.2 კვ.მ ფართზე უკანონოდ აშენებული ყველა ნაგებობის დემონტაჟი და მოსარჩელის კუთვნილი ტერიტორიის დემონტაჟის შემდგომი ნარჩენებისგან გათავისუფლება, ასევე, მიჯნის ღობის მოპასუხის კუთვნილ ტერიტორიაზე 285.7 კვ.მეტრის დაცილებით გადატანა და მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიასთან მისასვლელი გზის (რომელიც მოპასუხეს თვითნებურად აქვს ჩაკეტილი) გახსნა დაევალა; მოპასუხეს ასევე დაევალა მის საკუთრებაში არსებული სამშენებლო მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა ისე, რომ მოსარჩელის ნაკვეთში არ მოხედეს წყალი და ატმოსფერული ნალექი. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად, სსკ-ის 170-ე, 172-ე, 174-ე, 176-ე, 177-ე, 179-ე, 183-ე და 312-ე მუხლები გამოიყენა.

13. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, ახა-

ლი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 21 ივნისის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

14.1. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ მის მიერ სადავო მიწის ნაკვეთზე მშენებლობის დაწყების დროს მოსარჩელეს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება არ გააჩნდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ლაგოდეხის რაიონის სოფელ მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დაუზუსტებელი ფართობით 7030 კვ.მ, რომელიც 2013 წელს დაზუსტდა საკადასტრო ბაზაში, 2003 წლიდან მოსარჩელის საკუთრებას წარმოადგენს, ამასთან, 2013 წლის 12 აპრილიდან მოსარჩელემ საკუთრების უფლება მოიპოვა სოფელ მდებარე 2721.1 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზეც;

14.2. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ მშენებლობა მან 2013 წლის თებერვალში დაიწყო და მოსარჩელის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის უფლება მოპოვებული ჰქონდა ამ უკანასკნელთან შეთანხმებით. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება, რომ მოსარჩელემ პრეტენზია მხოლოდ მშენებლობის დასრულების შემდეგ გამოთქვა.

პალატამ აღნიშნა, რომ უძრავ ქონებაზე ზეპირი შეთანხმება არ წარმოშობდა რაიმე სამართლებრივ შედეგს. ღობის გადანევით იცვლება მხარეთა მიწის ნაკვეთის პარამეტრები, შესაბამისად, საკუთრების უფლების ფარგლებიც, რაც შეუძლებელია განხორციელდეს სსკ-ის 183-ე მუხლით დადგენილი წესის გარეშე. პალატამ მიიჩნია, რომ ასეთი შეთანხმების არსებობის შემთხვევაშიც, ის არ წარმოშობდა სამართლებრივ შედეგებს სსკ-ის 59-ე მუხლიდან გამომდინარე;

14.3. იმ პირობებში, როდესაც ექსპერტიზის დასკვნით ირკვეოდა, რომ 2013 წლის 29 ივლისს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები კვლავ მიმდინარეობდა, მოსარჩელემ კი, გამგეობას უკანონო მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით 2014 წლის 15 ივლისს მიმართა, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ განაცხადა უფლების დარღვევის შესახებ მშენებლობის დასრულებამდე, შეტყობისთანავე, თუმცა, მოპასუხეს გაფრთხილების მიუხედავად, მშენებლობა არ შეუჩერებია;

14.4. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია ასევე სსკ-ის 179-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით აპელანტის მითითება. პალატამ განმარტა, რომ მითითებული ნორმა შეეხება

ისეთ შემთხვევას, როდესაც მიწის მესაკუთრე განზრახვის გარეშე გადაცდება საზღვარს. მოცემულ შემთხვევაში კი, აპელანტი არ უარყოფდა რომ მან იცოდა რომ ღობეს აშენებდა მეზობელი მიწის საზღვრების შიგნით. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, გაუფრთხილებელ მოქმედებას ადგილი არ ჰქონია;

14.5. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიწის ნაკვეთს არ აქვს კავშირი საჯარო გზასთან მოპასუხის კუთვნილი მიწის ნაკვეთის გამოყენების გარეშე. აღნიშნულთან დაკავშირებით, პალატამ ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილზე ლაგოდეხის რაიონის სოფელ ... მოსარჩელის საკუთრებაში არსებული 9743.0 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მისასვლელი გზის უზრუნველყოფის მიზნით, სოფელ ... სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 356.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სერვიტუტის უფლებით დატვირთვის შესახებ;

14.6. სააპელაციო პალატამ გაიზიარა ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია, მოპასუხის დავალდებულების შესახებ, განახორციელოს სამუშაოები ისე, რომ მოსარჩელის ნაკვეთში არ მოხვდეს წყალი და ატმოსფერული ნალექი.

15. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

15.1. სააპელაციო პალატამ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ მოსარჩელემ უფლების დარღვევის შესახებ პრეტენზია შეტყობისთანავე განაცხადა. საქმეში წარმოდგენილი მასალებით უდავოდ დასტურდებოდა, რომ მოსარჩელის მიერ პრეტენზიის განცხადების დროს სადავო მიწაზე მშენებლობა უკვე დასრულებული იყო;

15.2. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 183-ე და 59-ე მუხლები. ყურადსაღებია, რომ მოსარჩელემ უძრავი ქონება საკუთრებად დაირეგისტრირა 2013 წლის 30 მაისს, მაშინ, როდესაც, მოპასუხეს უკვე აღებული ჰქონდა მშენებლობის ნებართვა იმავე წლის 8 მაისს, ანუ 22 დღით ადრე, ხოლო მშენებლობა და მიჯნა აღმართული ჰქონდა თებერვალში. გარდა ამისა, მშენებლობის დაწყების ვადა მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია;

15.3 სააპელაციო პალატამ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ მოსარჩელემ თანხმობა განაცხადა სასაზღვრო მიჯნის ერთი მეტრით გადანევაზე, ამასთან, პალატამ უგულებელყო ის ფაქტიც, რომ მოსარჩელე ესწრებოდა საზღვრის გადანევას და ამ

დროისათვის ეს უკანასკნელი სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე არ ყოფილა;

15.4. გასაჩივრებულ განჩინებაში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, უდავოა, რომ მოსარჩელეს მიწის ნაკვეთის შეძენამდეც არ ჰქონია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზა და იგი აწარმოებდა მორიგებას მოპასუხესთან გზის მიცემის თაობაზე;

15.5. როგორც მოპასუხეს, ისე მოსარჩელეს დავა წარმოეშვათ სახელმწიფოს კუთვნილ მიწაზე, მოპასუხემ გადასცა, ხოლო მოსარჩელემ დაიკანონა სახელმწიფოს კუთვნილი მიწა, თუმცა, სამართლომ უპირატესობა მიანიჭა არა მოპასუხეს (შენობის მესაკუთრეს), არამედ მიწის ახალ შემძენს (მოსარჩელეს);

15.6. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია დადგენილად, რომ მოსარჩელის ნაკვეთს არ აქვს კავშირი საჯარო გზასთან, მოპასუხის კუთვნილი მიწის ნაკვეთის გარეშე. სადავო მიწა ეკვრის როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ტერიტორიას, შესაბამისად მოსარჩელეს შეუძლია გზა მოიწყოს მისი კუთვნილი ტერიტორიის ფარგლებში. მოსარჩელეს არ წარუდგენია სასამართლოსთვის ექსპერტიზის დასკვნა ან სხვა მტკიცებულება, რომ იგი სხვაგვარად ვერ მოაწყობს გზას ნაკვეთთან მისასვლელად.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 25 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია. შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

17. სსსკ-ის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები, ხოლო ამავე კოდექსის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშ-

ვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)“. დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენებისა და განმარტების კუთხით დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

18. საკასაციო სასამართლო იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, თვლის, რომ სასარჩელო მოთხოვნები: ა) შენობა-ნაგებობის დანგრევა (დემონტაჟი) და ღობის გადატანა, სსკ-ის 172.2 (თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.), ბ) აუცილებელი გზის გახსნა 180.1 (თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო-, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზედაც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ერთჯერადი გადახდით გამოიხატოს), გ) წყლისა და ატმოსფერული ნალექის მოსარჩელის ნაკვეთში მოხვედრის აღკვეთა მე-5.1 (კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია) და 177-ე (თუ მიწის ნაკვეთს მეზობელი ნაკვეთიდან შენობის ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება, მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს აუცილებელ ღონისძიებათა გატარება ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. დაუშვებელია რამდენიმე მიწის ნაკვეთზე გამდინარე წყლებისა და მიწისქვეშა წყლების მიმართულების შეცვლა ან ამ წყლებით მანიპულირება ისე, რომ ამან სხვა მიწის ნაკვეთზე წყლის რაოდენობის შემცირება ან/და ხარისხის გაუარესება გამოიწვიოს; დაუშვებელია მდინარეთა ბუნებრივი დინების ხელყოფა) მუხლებიდან გამომდინარეობს.

19. სსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, მხარეები თვითონ განსაზღვრავენ თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბოლო წინადადების მიხედვით, სარჩელში სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით.

20. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხის ნაგებობა გადაცდენილია მოსარჩელის საზღვარს. გადაფარულია 411.2 კვ.მ. აქედან, შენობა-ნაგებობების მოწყობით გამოწვეული გადაფარვის ფართი 125.5 კვ.მ-ს, ხოლო ღობის მოწყობით გამოწვეული გადაფარვის ფართი 285 კვ.მ-ს შეადგენს. სამეზობლო სამართლის ნორმებით დაბალანსებულია მესაკუთრეთა ინტერესები, რაც გამოიხატება იმაში, რომ როდესაც მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მშენებლობის დროს, განზრახვის გარეშე გადასცდება მეზობელი ნაკვეთის საზღვრებს, მშენებლობის შედეგად წარმოქმნილი ნაგებობის ეკონომიკური ერთიანობის შენარჩუნების საჯარო ინტერესისა და ქონებრივი ღირებულების განადგურების თავიდან აცილების მიზნით, მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს თმენის ვალდებულება აკისრია. თავის მხრივ, საზღვრის დამრღვევი მეზობელი ვალდებულია ყოველწლიურად, წინასწარ გადაიხადოს ფულადი კომპენსაცია (სსკ-ის 179-ე მუხლი). თუმცა, თუ დამრღვევი მართლსაწინააღმდეგოდ და გაუმართლებლად იჭრება მეზობლის საზღვრებში, მაშინ ამ უკანასკნელს უფლება აქვს საკუთრების ხელყოფიდან გამომდინარე, ნეგატორული სარჩელი წარადგინოს და ზიანის მიმცენებელს ნაგებობისა და სასაზღვრე მიწის დემონტაჟი მოსთხოვოს. ამასთან, მოთხოვნა გამოირიცხება თუ მესაკუთრე ვალდებულია ითმინოს.

21. სსკ-ის 172-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული შემდეგი განხორციელებულად ჩაითვლებოდა მხოლოდ მაშინ, თუ მოსარჩელე დაამტკიცებდა, რომ საზღვრის გადამცდენი მეზობელი მართლსაწინააღმდეგოდ (საკუთრების უფლების ხელყოფის მიზნით) მოქმედებდა. საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაქცევს სსკ-ის 178-ე მუხლის დანაწესის საწინააღმდეგოდ ნაგებობის დემონტაჟის ნაწილში სარჩელის დაუსაბუთებლობაზე. კერძოდ, იმაზე, რომ მან სრულყოფილად და თანმიმდევრობით არ მიუთითა და არ ასახა თავისი მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. მას ეს ხარვეზი არც მას შემდეგ გამოუსწორებია, როცა მოპასუხემ კვალიფიციური შესაგებლით უარყო ნაგებობისა და ღობის

დემონტაჟის მოთხოვნა. ის მიუთითებდა, რომ მოსარჩელისა და მის კუთვნილ მეზობელ ნაკვეთებზე არსებული ეკლიანი ღობე მან ჯერ კიდევ, 2013 წლის თებერვალში აიღო და მის ნაცვლად კაპიტალური ღობის მშენებლობა იმავე წლის მარტში დაამთავრა, რასაც მოსარჩელეც ესწრებოდა და მისი მხრიდან რაიმე პრეტენზია არ გამოთქმულა. მოსარჩელე სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მოგვიანებით, 2013 წლის 30 მაისს გახდა. მან კი მშენებლობის გადაცდენაზე მოპასუხეს პრეტენზია წაუყენა მაშინ როდესაც, ბიზნეს-საქმიანობისათვის საჭირო ნაგებობის მშენებლობა ამ უკანასკნელს ფაქტობრივად დამთავრებული ჰქონდა (2013 წლის 15 ივლისი).

21.1. დადგენილია, რომ მოსარჩელემ საკუთრების უფლება 7030 კვ.მ ფართზე 2003 წელს, ხოლო 2721.1 კვ.მ მიწის ნაკვეთზე – 2013 წლის 12 აპრილს მოიპოვა; აღნიშნული მიწის ნაკვეთები რეგისტრირებული იყო სხვადასხვა საკადასტრო ერთეულებად, რომლებიც მოსარჩელემ 2013 წლის 30 მაისს გააერთიანა და 9743 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთი საკუთრებად დაირეგისტრირა. შესაბამისად, მოსარჩელე 2013 წლის 12 აპრილიდან წარმოადგენდა მთლიანობაში 9743 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს. პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ უდავო ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მოსარჩელემ მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით პრეტენზია პირველად 2013 წლის 15 ივლისს გამოთქვა, მაშინ, როდესაც, მოპასუხე სადავო მშენებლობას 2013 წლის 8 მაისიდან აწარმოებდა. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელეს არც წინასწარ და არც შეტყობისთანავე არ განუცხადებია პრეტენზია მოპასუხის მხრიდან მშენებლობით სასაზღვრო მიჯნის დარღვევასთან დაკავშირებით (მდრ. სუსგ №ას-414-387-2017, 15.05.2017).

22. ამრიგად, რადგანაც მოსარჩელემ ვერ შეძლო დამაჯერებელი და უტყუარი მტკიცებულებებით მოპასუხის მიერ მითითებული აღნიშნული გარემოებების უარყოფა, მას არა აქვს უფლება სსკ-ის 172-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, ნაგებობისა და სასაზღვრე მიჯნის დემონტაჟი მოითხოვოს. ამასთან, მას შეუძლია სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილზე დაყრდნობით, საზღვრის დამრღვევ მეზობელს ფულადი კომპენსაცია მოსთხოვოს.

23. საკასაციო პალატა ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოსარჩელის კუთვნილ მიწის ნაკვეთს არ აქვს კავშირი საჯარო გზასთან, მოპასუხის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გამოყენების გარეშე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, პალატა ყურადღებას ამახვილებს თავად კასატორის განმარტებაზე, რომლითაც მან დაადასტურა მხარეთა შორის შეთანხმების არსებობა მოსარჩელისათვის

გზით სარგებლობის უფლების მიცემის შესახებ, თუმცა, მოგვიანებით, ურთიერთობის გამწვავების შემდეგ, მან უარი განაცხადა მოსარჩელისათვის ასეთი უფლების მინიჭებაზე. გარდა ამისა, ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიწის ნაკვეთს საჯარო გზასთან კავშირი არ აქვს მოპასუხის კუთვნილი მიწის ნაკვეთის გამოყენების გარეშე, დადასტურდა პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებითაც. აქვე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 180-ე მუხლით წესრიგდება სამეზობლო თემის ვალდებულება, რაც წარმოადგენს საკუთრების კანონისმიერი ბოჭვის სამართლებრივ მექანიზმს. ამ ნორმით გათვალისწინებული ბოჭვის უფლების ამ ხარისხით გამოყენება განპირობებული უნდა იყოს ისეთი ობიექტური ფაქტორებით, რომლის არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკულად შეუძლებელია მესაკუთრის მიერ თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენება, მეზობელი მიწის ნაკვეთით სარგებლობის გარეშე. მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენება ნიშნავს საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან აუცილებელი კავშირის არსებობას (მდრ სუსგ №ას-1513-2018 08.02.2019).

24. საკასაციო პალატა ასევე ეთანხმება რაიონული და სააპელაციო სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოპასუხის მიერ მოწყობილი ჭაბურღილით დაიტბორა მოსარჩელის მიწის ნაკვეთი, შესაბამისად, პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხეს სსკ-ის 177-ე მუხლის ანალოგიით (სსკ-ის 5.1 მუხლი, კანონის ანალოგია) მართებულად დაევალა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის იმგვარად კეთილმოწყობა, რომ მოსარჩელის მიწის ნაკვეთზე არ მოხდეს წყალი და ატმოსფერული ნალექი.

25. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain* [GC] par.26; *Jahnke and Lenoble v France* (dec.); *Perez v France* [GC], par. 81); *Boldea v. Romania*, par. 30). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დეტალურად აღარ იმსჯელებს განსახილველი საკასაციო საჩივრის ყველა პრეტენზიაზე.

26. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ფაქ-

ტობრივი გარემოებები სამართლებრივად სწორად არ შეაფასა, რამაც განაპირობა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

27. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავ ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავ ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 230 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 399-ე, 372-ე, 257.1, 264.3, 410-ე, 411-ე და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მ. ფ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ივნისის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.1. და 1.2. პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
- 2.1. მ. ნ-ძის სარჩელი უკანონოდ აშენებული ყველა ნაგებობის დემონტაჟისა და ღობის გადატანის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
3. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად;
4. მ. ნ-ძეს დაეკისროს 230 (ორასოცდაათი) ლარის გადახდა მ. ფ-ძის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ფულადი კომპენსაცია თმანის ვალდებულებისთვის

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-793-793-2018

14 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
მ. ერემაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ს-ნი“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მო-
სარჩელე ან მონინააღმდეგე მხარე) შპს „ყ-თ“ (შემდეგში ტექსტში
მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, აპელანტი ან კასატორი) აბო-
ნენტია (№.....), ყიდულობს გაზს და ვალდებულია, აანაზღაუროს
მიწოდებული გაზის საფასური.

2. განაწილების ლიცენზიატი მოპასუხე კომპანიაა.

3. 2011 წლის ბოლოს მოპასუხემ ბუნებრივი გაზის მარეგული-
რებელი პუნქტი თბილისში, ... ქუჩა ...-ის მიმდებარედ გაზმომარა-
გების ქსელს მიუერთა მოსარჩელის თანხმობის გარეშე.

4. თბილისში, ... ქ. №...ის მიმდებარედ (ს/კ-ით №01.01.395) გაზ-
მომარაგების ქსელზე (მილსადენი, ობიექტის სიგრძე – 321მ) (შემ-
დეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც გაზმომარაგების ქსელი)
2012 წლის 30 ნოემბრიდან რეგისტრირებულია შპს „ს-ის“ (შემდეგ-
ში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე ან მონინააღმდე-
გე მხარე) საკუთრება.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 იანვრის გა-
დაწყვეტილებით (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც კა-
ნონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება), მოპასუხეს მოსარჩე-
ლის სასარგებლოდ დაეკისრა ბუნებრივი აირის გატარების საფა-
სურის 1მ³-ზე 0.02 ლარის გადახდა 2012 წლის 30 ნოემბრიდან 2013
წლის მაისამდე დროის მიხედვით. სასამართლომ აღნიშნულ გადაწყ-
ვეტილებაში ფასის დადგენისას მიუთითა: „იმ ვითარებაში, რო-
დესაც სადავო პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ნოემბრიდან -
2013 წლის მაისი, სარჩელის აღძვრის მომენტი) არ არსებობს კონ-
კრეტული გატარების საფასურის დამდგენი ფორმულა, შესაბამი-
სად, გატარების საფასური იმ საშუალო გონივრული სტანდარტით

უნდა დადგინდეს, რაც მითითებული დადგენილების მე-16 მუხლის საფუძველზე არ გამოიწვევს ბუნებრივი გაზის ფასის გაძვირებას და ამავე დროს არ უგულებელყოფს ქსელის მფლობელის უფლებას, მიიღოს მისი კუთვნილი ქსელით სარგებლობისათვის გონივრული საფასური. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია 2012 წლის 30 ნოემბრიდან (ხაზოვანი ნაგებობის საკუთრებაში აღრიცხვის მომენტი) სარჩელის აღძვრის მონეტისათვის – 2013 წლის მაისამდე (5 თვე) საშუალოდ დადგენილი თვიური გატარების ოდენობის – 77 478 მ³ გათვალისწინებით 1მ³ x 0.02 ლარის მოპასუხე მხარისათვის დაკისრება, რაც ჯამურად შეადგენს – 7748 ლარს“.

5.1. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მოსარჩელის საკუთრებაში არსებული (თბილისი, ... ქ. №...-ის მიმდებარედ (ს/კ-ით №01.01.395) გაზომარაგების ქსელი, მილსადენი საშუალოდ თვეში – 77 478 მ³ ბუნებრივ გაზს ატარებს.

6. მხარეებს შორის ბუნებრივი აირის გატარების შესახებ ხელშეკრულება არ დადებულია.

7. მიუხედავად მხარეებს შორის არსებული დავებისა, გატარების საფასურის ან/და თმენის კომპენსაციის გადახდის თაობაზე შეთანხმება არ მიღწეულა.

8. 2017 წლის 1 თებერვლიდან იმავე წლის 26 მაისამდე მოპასუხე სარგებლობდა მოსარჩელის კუთვნილი ბუნებრივი აირის ქსელით.

9. ზემოაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ გაზის გატარებისა და მილსადენით სარგებლობის თმენის საკომპენსაციოდ – 5888.33 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

10. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი და მიუთითა, რომ მოქმედებს რა კანონმდებლობით განსაზღვრული წესების ფარგლებში, პოტენციური მომხმარებლის მიმართვის შემთხვევაში, აკისრია გაზიფიცირებისა და ბუნებრივი აირით უწყვეტი და უსაფრთხო მომარაგების უზრუნველყოფის ვალდებულება, როგორც განაწილების ლიცენზიატს. თუ ამ ვალდებულების შესასრულებლად აუცილებელია მესამე პირთა საკუთრებაში არსებული მილსადენის გამოყენება, მაშინ მხოლოდ მესაკუთრის მიმართვის შემდეგ ევალება კანონით განსაზღვრული საფასურის გადახდა.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს – 5888.33 ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ.

12. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივ-

რა მოპასუხემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 5 მარტის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

13.1. 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ანალიზის საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის გატარების მომსახურების შესახებ ხელშეკრულების არსებობა სავალდებულო წინაპირობა იყო №15 დადგენილებით განსაზღვრული ბუნებრივი გაზის გატარების საფასურის გაანგარიშების წესის გამოყენებისათვის, ხოლო ასეთი ხელშეკრულების, ასევე, ბუნებრივი აირის აღრიცხვის კვანძის არარსებობა (მაშინ, როდესაც მილსადენის მფლობელი წინააღმდეგი იყო მითითებული დადგენილებით განსაზღვრული დაანგარიშების წესის გამოყენებისა), გამორიცხავდა 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით განსაზღვრული ბუნებრივი გაზის გატარების საფასურის გაანგარიშების წესის გამოყენების საფუძველს. ამასთან, №15 დადგენილებით გათვალისწინებული გატარების მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაუფორმებლობაში მოსარჩელის ბრალეულობა არ იკვეთებოდა.

13.2. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა ბუნებრივი გაზის გატარების საფასური, კერძოდ, 0.02 ლარი 1მ³, სწორედ ამ ფასით ითხოვდა მოსარჩელე 2017 წლის 1 თებერვლიდან იმავე წლის 26 მაისამდე ბუნებრივი აირის გატარებისა და თმენის საკომპენსაციოდ მოპასუხისთვის – 5888.33 ლარის დაკისრებას.

13.3. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დადგენილი იყო ფაქტების პრეიუდიცია, რაც სასამართლოს მიერ ერთხელ უკვე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სხვა რაიმე სახის მტკიცებულებით პრაქტიკულად გაბათილების შეუძლებლობას ნიშნავდა. მოცემულ შემთხვევაშიც, დადგინდა, რომ მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მილსადენი თვეში ატარებდა – 77 478 მ³ ბუნებრივი გაზს, რომლის საწინააღმდეგო მტკიცებულება საქმეში არ წარდგენილა. მართლზომიერია 0.02 ლარი 1მ³ ბუნებრივი გაზის გატარებაც. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს 2017 წლის 1 თებერვლიდან იმავე წლის 26 მაისამდე ბუნებრივი აირის გატარებისა და თმენის საკომპენსაციოდ – 5888.33 ლარი მართებულად დაეკისრა.

14. გადაწყვეტილება მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

14.1. კასატორის მტკიცებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული სადავო გარემოების მიმართაც ბუნებრივი აირის გატარების საფასურთან მიმართებით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ანალოგიური წესი უნდა გავრცელებულიყო, მაშინ, როცა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა/მოქმედებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილება, რომელიც 2014 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში და წინასწარ გახდა ცნობილი ბუნებრივი აირის გატარებისთვის გადასახდელი საზღაურის ოდენობა (გამოსაანგარიშებელი ფორმულა), რომელიც თვეში 66,63 ლარს არ უნდა აღემატებოდეს, შესაბამისად, სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოებაც არ იკვეთება.

14.2. კასატორის მითითებით, მოსარჩელის კუთვნილი ქსელი მხოლოდ დამხმარე ხაზოვანი ნაგებობაა, რომელიც მხოლოდ ზამთრის პერიოდში მოქმედებს და ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც ბუნებრივი აირის წნევა დაბალია. აღნიშნულთან დაკავშირებით კი, სემეკის ზემოაღნიშნული დადგენილებით, განისაზღვრა მესამე პირთა საკუთრებაში არსებულ ქსელში ბუნებრივი აირის გატარების საკომპენსაციო საფასურის განსაზღვრის წესი, შესაბამისად, იგი სახელმძღვანელო ხასიათისა, რომლის მიხედვითაც ერთმნიშვნელოვნად უნდა დაანგარიშდეს საკომპენსაციო თანხის ოდენობა, რომელიც შესაძლებელია იყოს გატარების საფასურის ტოლი ან ნაკლები და არავითარ შემთხვევაში ამ ტარიფზე ნაკლები, რათა სემეკის №12 დადგენილების მე-16 მუხლისა და სემეკის მიერ დადგენილი სატარიფო განაკვეთის შეცვლა ან/და გაუარესება არ გამოიწვიოს.

14.3. გარდა ამისა, კასატორის მოსაზრებით, ყურადღება უნდა გამახვილდეს თმენის სტანდარტზეც, მაშინ, როდესაც მოსარჩელე არავითარ ხარჯს არ წევდა ქონებაზე და არც რაიმე ზიანი არ ადგებოდა, ასევე, უფასოდ იღებდა იმ მომსახურეობას, რასაც მოპასუხე ასრულებდა ქსელის დიაგნოსტიკისა და ექსპლუატაციისათვის ვარგისად შენახვის კუთხით.

14.4. კასატორის მითითებით, ვინაიდან მოსარჩელემ კუთვნილ ქსელზე ბუნებრივი აირის აღრიცხვის კვანძი არ მოაწყო, შესაბამისად, მხარეთა შორის გატარების მომსახურებასთან დაკავშირე-

ბით ვერ დაიდებოდა ხელშეკრულება.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 30 სექტემბრის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულია განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაუსაბუთებელია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

16. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის/კასატორის პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და არასწორად განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები, ნაწილობრივ დასაბუთებულია.

17. განსახილველ შემთხვევაში, სადავოა გაზის გატარებისა და მილსადენით სარგებლობის თმენის კომპენსაციის ოდენობა და გამომანგარიშების წესი, კერძოდ:

17.1. მოსარჩელე ითხოვს გაზის გატარებისა და მილსადენით სარგებლობის თმენისათვის კომპენსაციას 2014 წლის შემდგომი პერიოდისთვის – 2017 წლის 1 თებერვლიდან იმავე წლის 26 მაისამდე, როდესაც უკვე მოქმედებდა სემეკის №15 დადგენილება, სახელდობრ, 2013 წლის 30 დეკემბერს სემეკმა „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 461 მუხლის მე-4 (თუ მოთხოვნილი გატარების (მათ შორის, ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის ან სასმელი წყლის გატარების) მომსახურება ეხება ისეთ ქსელს, რომელიც არ არის განაწილების ან/და წყალმომარაგების ლიცენზიატის მფლობელობაში, ქსელის მფლობელი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ვალდებულია, ჯეროვანი კავშირის უზრუნველყოფის მიზნით, ითმინოს თავისი ქსელით სარგებლობა. ამასთანავე, ქსელის მფლობელი უფლებამოსილია, თავისი ქსელით სარგებლობისათვის მოითხოვოს გატარების საფასურის ან თმენის კომპენსაციის გადახდა) და მე-5 პუნქტების (გატარების საფასურის გაანგარიშების წესები ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სფეროებისათვის დგინდება კომისიის დადგენილებით) საფუძველ-

ზე მიიღო №15 დადგენილება, რომელიც ამოქმედდა 2014 წლის 1 იანვრიდან და რომლითაც დამტკიცდა მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესები. ამდენად, სემეკმა მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ბუნებრივი გაზის გატარების საფასურის გაანგარიშება სპეციალურ სამართლებრივ მონესრიგებას დაუქვემდებარა, რომლის საფუძველზეც უნდა დაანგარიშდეს არალიცენზიატ ქსელში გატარების საფასურის ოდენობა 2014 წლის 1 იანვრიდან არსებულ პერიოდზე (წესების პირველი მუხლი: ამ წესების მიზანია ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის და სასმელი წყლის სფეროებში მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში გატარების საფასურის გაანგარიშების წესების დადგენა. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები: ა) ქსელის მფლობელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს ელექტრულ (ელექტროგადამცემ ხაზს ან/და სატრანსფორმატორო პუნქტს ან/და გამანაწილებელ, დაცვისა და საკომუტაციო მოწყობილობებს), ბუნებრივი გაზის (ბუნებრივი გაზის მილსადენს) ან სასმელი წყლის (სასმელი წყლის მილსადენს) ქსელს და არ არის განაწილების, გადაცემის ან წყალმომარაგების ლიცენზიატი; ბ) გატარების მომსახურება არის ქსელის მფლობელის აქტივების მემშვეობით სხვისი კუთვნილი ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის ან სასმელი წყლის გადატანა წინასწარ განსაზღვრული პირის კუთვნილ ქსელამდე; გ) გატარების საფასური არის ამ წესების საფუძველზე გაანგარიშებული გატარების მომსახურების ღირებულება საანგარიშო პერიოდზე).

18. მოხმობილი ნორმა ზოგადი დანაწესია და მიუთითებს ქსელის მფლობელი არალიცენზიატის ვალდებულებაზე, ითმინოს მისი საკუთრებით სარგებლობა, რომელიც სასამართლო პრაქტიკის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით განსაზღვრული უფლების საკანონმდებლო ბოჭყაა, ასევე, დადგენილია, არალიცენზიატის უფლება, ამ კანონისმიერი ბოჭვისათვის მოითხოვოს საფასური.

19. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით დადგენილი საკომპენსაციო თანხის ოდენობის განსაზღვრისას მნიშვნელობა ენიჭება მესაკუთრის ინტერესის დაკმაყოფილებას, სხვის მიერ მისი საკუთრების შეზღუდვის გამო, თმენის ვალდებულებათათვის, მაგრამ განსახილველი ურთიერთობის თავისებურება ვლინდება იმაში, რომ არალიცენზიატი მფლობელის საკუთრებას წარმოადგენს გაზმომარაგების ქსელის მილსადენი, რომელსაც ეს უკანასკნელი ვერ გამოიყენებს სხვა დანიშნულებით გარდა იმისა, რომ გაატაროს ბუნებრივი აირი. ამდენად, მოცემულ შემთხვევა-

ში, უნდა გაირკვეს არა ზოგადად მითითებული ნორმით გათვალისწინებული შემთხვევის წინაპირობები (რომელშიც ივარაუდება ის შემთხვევები, როდესაც მესაკუთრეს შეხედულებისამებრ შეეძლო, გამოეყენებინა მიწის ნაკვეთი თუ არა აუცილებელი გზასთან დაკავშირებული თემნის ვალდებულება), არამედ მილსადენის მეშვეობით ბუნებრივი აირის გატარებაზე თემნის ვალდებულებიდან გამომდინარე, საშუალო მესაკუთრის ინტერესი ამ შეზღუდვის არარსებობის შემთხვევაში.

20. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით – 1^მ ბუნებრივი გაზის გატარებაზე დადგენილი ტარიფი – 0,02 ლარი ვერ იქნება მიჩნეული პრეიუდიციულ ფაქტად, ვინაიდან აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგინდა გატარების საფასურის ოდენობა 2014 წლის 1 იანვრამდე არსებული პერიოდისთვის, როდესაც სემეკის №15 დადგენილება ჯერ კიდევ არ იყო ამოქმედებული და, შესაბამისად, მასზე ვერც გავრცელდებოდა („ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24.1. მუხლი: „1. ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით), ხოლო, რადგან მოსარჩელე ითხოვს გატარების საფასურს 2014 წლის 1 იანვრიდან არსებულ პერიოდზე, კერძოდ, 2017 წლის 1 თებერვლიდან იმავე წლის 26 მაისამდე, სასამართლომ დავა უნდა გადაწყვიტოს სემეკის ნორმატიულ სამართლებრივი აქტით – №15 დადგენილებით. („ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 3.1. მუხლი: საქართველოს ნორმატიული აქტი მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, თუ თვით ამ ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, და სავალდებულოა შესასრულებლად. სსსკ-ის 6.1 მუხლი: მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს), რომელიც აწესრიგებს სწორედ ამ დადგენილების ამოქმედების შემდგომ (2014 წლის 1 იანვრიდან) პერიოდში წარმოშობილ ურთიერთობებს.

21. ამდენად, მესაკუთრე მესამე პირის უფლებადამცავ დანაწესად გვევლინება სემეკის №15 დადგენილება, რომლითაც განსაზღვრულია კომპენსაციის გამოთვლის მეთოდოლოგია.

22. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სემეკის №20 დადგენილებით დამტკიცებულ „წესებში“ განხორციელებულ ცვლილებაზე, რომელიც წინამდებარე შემთხვევაზე ვრცელდება (1.2. მუხლი) და აღნიშნავს, რომ 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილების (სპეციალური რეგულაცია) ამოქმედების შემდგომ („წესებში“ მართალია, მოგვიანებით განხორციელდა ცვლილება, თუმცა სემეკის დადგენილებათა სწორი განმარტების შესაბამისად ეს

ცვლილება ხელს არ უშლის სადავო პერიოდში არალიცენზიატის კუთვნილ ქსელში ბ/გაზის გატარების საკომპენსაციო თანხის გამონაგარიშებას), „წესების“ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით კომისიამ გაათანაბრა „ბ/აირის გატარებისა“ და „თმენის“ გადასახადი და მისი ანაზღაურების მანამდე არსებული წესისაგან განსხვავებით (კომპენსაცია გაიცემა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად), დაადგინა შემდეგი ქცევის წესი: თუ მხარეები არ შეთანხმდნენ სხვა პირობებზე, ბ/აირის გატარების გამო ქსელით სარგებლობისა და თმენისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა განისაზღვრება კომისიის მიერ დამტკიცებული „მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესების“ შესაბამისად.

23. სემეკის №15 დადგენილებით განსაზღვრული ტარიფის გამონაგარიშების მეთოდოლოგია (მსგავსად ლიცენზიატებს შორის მანამდე არსებული რეგულაციისა) მიუთითებს ერთგვარ პრეზუმფციაზე, რომ არალიცენზიატის კუთვნილ ქსელში ბ/აირის გატარებაზე განეულია იმ ოდენობის მომსახურება, რაც ტარიფის სახით ამ მომსახურებისათვის არის დადგენილი. თავის მხრივ, ბ/გაზ-მომარაგების ხაზის დანიშნულებიდან გამომდინარე, თმენის ვალდებულება უნდა განიმარტოს სწორედ ამ ურთიერთობის მახასიათებელი სპეციფიკიდან. იმ ფაქტობრივი სიტუაციიდან გამომდინარე, რომ გაზმომარაგების ქსელის გამოყენება, გარდა ბ/გაზის გატარებისა, სხვა თვალსაზრისით შეუძლებელია, არალიცენზიატი მესაკუთრის თმენის ვალდებულებაზე სწორედ ახალი რეგულაციის ფარგლებში უნდა შეფასდეს. თავად სემეკის №15 დადგენილების 2.1. მუხლის „გ“ ქვეპუნქტით კომისიამ განსაზღვრა, რომ გატარების საფასური არის ამ წესების საფუძველზე გაანგარიშებული გატარების მომსახურების ღირებულება საანგარიშო პერიოდზე, ხოლო მე-4 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით დაწესებულია ქსელის მფლობელი არალიცენზიატის ვალდებულება, ერთი მხრივ, (მოთხოვნის შემთხვევაში) ქსელში გაატაროს სხვისი კუთვნილი ბ/გაზი, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოს მის მფლობელობაში არსებული ქსელის გამართული მუშაობა. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ახალი რეგულაციის შემოღებითა (30.12.2013წ. №15 დადგენილება) და სპეციალურ ნორმაში ცვლილების განხორციელებით (18.09.2008წ. №20 დადგენილების 15.2 მუხლი) თმენის კომპენსაციის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად განსაზღვრის შესაძლებლობა გაუქმდა და იგი მთლიანად მოაწესრიგა სემეკის №15 დადგენილებამ, ანუ გატარების მომსახურება და თმენის კომპენსაცია, კანონისმიერი ბოჭვის ფარგლებში

გაიგივდა და, თუ არ არსებობს მხარეთა განსხვავებული შეთანხმება, იგი სემეკის ზემოხსენებული დადგენილებით დამტკიცებული ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად გამოითვლება (სუსგ №ას-1174-1104-2015).

24. „მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2013 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილებით 2014 წლის 01 იანვრიდან დადგინდა ქსელის მფლობელის მიერ გაწეული გატარების მომსახურების საფასურის გაანგარიშების სპეციალური ფორმულა (წესი). მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მოპასუხისგან ითხოვს მისი ქსელით სარგებლობისთვის თმენის კომპენსაციას 2014 წლის 1 იანვრის შემდგომი პერიოდისთვის – 2017 წლის 1 თებერვლიდან იმავე წლის 26 მაისამდე, შესაბამისად ასანაზღაურებელი თანხა, უნდა გამოანგარიშდეს ხსენებული დადგენილების მიხედვით.

25. სემეკის №15 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბ/გაზის გატარების საფასურის გაანგარიშება ხდება შემდეგი ფორმულით:

$$P = (A * K) / (S)$$

სადაც,

P – გატარების ფასი (ლარი/მ³);

A – გატარების მომსახურებაში მონაწილე აქტივების ბაზის ღირებულება (ლარი);

K – მისაღები შემოსავლის ნორმა გატარებაში მონაწილე აქტივების ბაზის ღირებულებასთან მიმართებაში, რომელიც ტოლია 0.2-ის;

S – ქსელის მფლობელის ბ/გაზის მილსადენის წლიური მაქსიმალური გამტარუნარიანობა (მ³);

ხსენებული ფორმულის შესაბამისად:

A = 4000 ათას ლარს (გატარების მომსახურებაში მონაწილე აქტივების ბაზის ღირებულება, რომლის განსხვავებული ღირებულების დამდგინი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის);

$$K = 0.2;$$

$$S = 77478 \text{ (გატარებული ბ/აირის თვიური მოცულობა)} * 12 \text{ (თვე)} = 929736 \text{ მ}^3;$$

$$P = (4000 * 0.2) / 929736 = 0.00086 \text{ (ლარი);}$$

სემეკის № 15 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ქსელის მფლობელის მიერ გაწეული გატარების მომსახურების საფასური იანგარიშება შემდეგი ფორმულით

– $R=P*W$;

სადაც,

R – ქსელის მფლობელისათვის საანგარიშო პერიოდში გატარების მომსახურებისათვის გადახდილი გატარების საფასური (ლარი, დღგს გარეშე);

P – გაანგარიშებული გატარების ფასი (ლარი/მ³);

W – ქსელის მფლობელის მიერ საანგარიშო პერიოდში გატარებული ბ/გაზის რაოდენობა (მ³);

$P=0.00086$ (ლარი)

26. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სემეკის №15 დადგენილების საფუძველზე, სათანადო ფორმულის ($R=P*W$) საფუძველზე ნაწარმოები არითმეტიკული გაანგარიშების შედეგად ($0,00086 \times 929736:12=66,63$), ბუნებრივი გაზის გატარების ერთი თვის საფასური შეადგენს 66,63 ლარს, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს ბუნებრივი გაზის გატარების საფასურს – 2017 წლის 1 თებერვლიდან იმავე წლის 26 მაისამდე ანუ 3 თვის ($66,63 \times 3=199,89$ ლარი) და 26 დღის ($66,63:31=2,15$; $2,15 \times 26=55,88$ ლარი) პერიოდისთვის, შესაბამისად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს – 255,77 ($199,89 + 55,88$) ლარის გადახდა.

27. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს

ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამდენად, მოპასუხის სასარგებლოდ მოსარჩელეს უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში და საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი სულ – 536 (236+300) ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408.3 და 411-ე მუხ-ლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „ყ-თ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-დეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-ქო საქმეთა პალატის 2018 წლის 5 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ს-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. შპს „ყ-თ-ის“ შპს „ს-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს 255,77 ლა-რის გადახდა;
5. შპს „ს-ს“ შპს შპს „ყ. თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკა-ნასკნელის მიერ სჰაპელიერ და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 536 (236+300) ლარის ანაზღაურება;
6. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. საკუთრების შეძენა და დაკარგვა

გავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვა

გადანყვითლება საქართველოს სახელით

№ას-1378-2021

5 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ა. ნულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
გ. მიქაუტაძე**

დავის საგანი: არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვაზე აღსრულების მონიტორინგის დავალეგა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ლ. ხ-ვამ 2020 წლის 27 ოქტომბერს განცხადებით მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს, არასრულწლოვანი შვილის – ლ. მ-ვას უძრავი ქონების გასხვისების მიზნით თანხმობის მისაღებად.

2. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ შვილებთან ერთად ცხოვრობს ზუგდიდში; ამავე ქალაქში დედამ აჩუქა მიწის ნაკვეთი, სადაც აშენებს საცხოვრებელ სახლს, რომლის გასარემონტებლადაც სჭირდება თანხა და სურს შვილის სახელზე აღრიცხული, წაღენჯიხაში მდებარე უძრავი ქონების გასხვისება. განმცხადებელმა მიუთითა, რომ საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულების შემდეგ ნივთს ლ. მ-ვას თანასაკუთრებად დაარეგისტრირებს.

3. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 6 ნოემბრის განჩინებით საქმეში ჩაბმულ იქნა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრი, რომლის წარმომადგენელმაც აღნიშნა, რომ ლ. ხ-ვას მოთხოვნის დაკმაყოფილება ხელს შეუწყობს არასრულწლოვნისა და მისი ოჯახის კეთილდღეობას.

4. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 6 ნოემბრის განჩინებით საქმეში, ასევე, ჩაბმულ იქნა არასრულწლოვანი – ლ. მ-ვა, რომელსაც დაენიშნა ადვოკატი იურიდიული დახმარების სამ-

სახურიდან. არასრულწლოვნის ადვოკატი დაეთანხმა ლ. ხ-ვას მოთხოვნას. მისი განმარტებით, უძრავი ქონების გასხვისება შეესაბამებოდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

5. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით განმცხადებელს მიეცა თანხმობა არასრულწლოვნის ქონების განკარგვაზე ნასყიდობის დადების გზით; განმცხადებელს დაევალა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრისთვის ინფორმაციის წარდგენა არასრულწლოვნის ქონების გასხვისების შემდეგ მიღებული თანხის მიზნობრიობის შესახებ, ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად გამოყენების თაობაზე; განმცხადებელს ინფორმაციის მიწოდების ვადად განესაზღვრა 2 წელი; დადგინდა, რომ ინფორმაცია ყოველ 6 თვეში ერთხელ უნდა წარდგენილიყო.

6. სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6.1. ლ. მ-ვა დაიბადა 2008 წლის 11 ნოემბერს;

6.2. მისი მშობლები არიან მ. მ-ვა (გარდაიცვალა 2011 წლის 16 თებერვალს) და ლ. ხ-ვა;

6.3. წაღენჯიხაში, ... მდებარე უძრავი ქონება (ს/კ ...) თანასაკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ლ. ხ-ვას, მ. მ-ვასა და ლ. მ-ვას სახელზე;

6.4. ზუგდიდში, ... მდებარე უძრავი ქონება (ს/კ ...) რეგისტრირებულია ლ. ხ-ვას სახელზე, რომელსაც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 2 მარტის ბრძანებით მიეცა მშენებლობის ნებართვა;

6.5. ლ. მ-ვა სწავლობს ზუგდიდის №4 საჯარო სკოლაში.

7. სასამართლომ, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას, სოციალური მუშაკის დასკვნის, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრის წარმომადგენლისა და ლ. მ-ვას ადვოკატის განმარტებების გათვალისწინებით, აღნიშნა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილებით არ წარმოიშობა ბავშვის საცხოვრებლის გარეშე დარჩენის რისკი, მიღებული სარგებელი მოხმარდება მის სამომავლო კეთილდღეობას და განვითარებას, რათა გაიზარდოს უსაფრთხო, დაცულ, ბედნიერ და მზრუნველ გარემოში. ამასთან, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველსაყოფად, სასამართლომ დაადგინა ლ. ხ-ვას ვალდებულება სააგენტოსთვის ქონების გასხვისების შემდეგად მიღებული თანხის გამოყენების შესახებ ინფორმაციის წარდგენის თაობაზე.

8. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება, ინფორმაციის წარდგენის დავალების ნაწილში, სააგენტომ სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა. შესაბამისად, არასრულწლოვნის ქონების გასხვისების შესახებ თანხმობის გაცემის ნაწილში გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 3 ნოემბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება.

10. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია და ბავშვის უფლებათა შესახებ კოდექსი განამტკიცებენ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მოქმედების ვალდებულებას, რის გამოც სახელმწიფომ უნდა განახორციელოს აქტიური მოქმედებები და შეიმუშაოს არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დასაცავად საკანონმდებლო რეგულაციები. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესის სრულფასოვნად დასაცავად, საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა ლ.ბ-ვას მიერ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება, რათა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულმა ცენტრმა განახორციელოს არასრულწლოვნის უძრავი ქონების გასხვისების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი (მონიტორინგი).

11. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 3 ნოემბრის განჩინება სააგენტომ საკასაციო წესით გაასაჩივრა.

12. კასატორი აღნიშნავს, რომ სააგენტოსთვის კონტროლის დავალების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რადგან კანონმდებლობით არ რეგულირდება სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ არასრულწლოვნის კუთვნილი უძრავი ქონების რეალიზაციის გზით მიღებული სარგებლის მიზნობრივ განკარგვაზე მონიტორინგის/კონტროლის წესი, პირობები და რეაგირების მექანიზმები. ამასთან, სააგენტოს არც შესაბამისი რესურსი გააჩნია. ამდენად, სასამართლოს დავალების აღსრულება ობიექტურად შეუძლებელი იქნება.

13. კასატორი დამატებით მიუთითებს, რომ არასრულწლოვნის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემამდე სასამართლო იკ-

ვლევს ქონების გასხვისების მიზანს, არსებულ ვითარებას, ბავშვის მდგომარეობაზე ქონების გასხვისებით გამოწვეულ შედეგებს, მოისმენს სააგენტოს პოზიციასაც. ამრიგად, ქონების გასხვისებაზე თანხმობის მიღების პროცედურა უზრუნველყოფს ბავშვის დაცვას.

14. კასატორმა, ასევე, იშუამდგომლა საქმის მხარეთა დასწრებით განხილვის თაობაზე.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 28 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო 2022 წლის 24 თებერვლის განჩინებით – საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და დადგინდა მისი მხარეთა დასწრების გარეშე განხილვა.

16. კასატორმა 2022 წლის 18 მარტს საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა და საქმის მხარეთა დასწრებით განხილვის თაობაზე იშუამდგომლა.

სამოტივაციო ნაწილი:

17. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

18. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს არასრულწლოვნის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სათანადოდ აღსრულებაზე სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთვის მონიტორინგის დავალეზის კანონიერება.

19. საკასაციო პალატა, სადავო საკითხის მართებულად შეფასებისთვის, მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს ბავშვის უფლებების მარეგულირებელ კანონმდებლობაზე.

20. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციაზე, რომლის მონაწილე სახელმწიფოებიც აღიარებენ, რომ ბავშვებს აქვთ განსაკუთრებული ზრუნვისა და დახმარების უფლება. კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზ-

რუნველყოფას. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორიც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის, ამასთან, ითვალისწინებენ მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს და ამ მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას.

21. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციით აღიარებული ბავშვის უფლებების სრულფასოვნად რეალიზაციისათვის, 2020 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში ამოქმედდა ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელიც, კანონის განმარტებითი ბარათის თანახმად, მიზნად ისახავდა ბავშვის კეთილდღეობის მისაღწევად საქართველოში ერთიანი სახელმწიფოებრივი ხედვისა და სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებას. კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს, რომლებიც ბავშვისთვის ინდივიდუალურად, ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად განისაზღვრება. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ბავშვს აქვს საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება, ხოლო მე-4 ნაწილის თანახმად, ბავშვის ქონების განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

22. ნიშანდობლივია, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედებამ არაერთ საკანონმდებლო აქტში გამოიწვია ცვლილების შეტანა, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესული ცვლილებით დაწესდა სავალდებულო სასამართლო კონტროლი არასრულწლოვნის უძრავი ქონების გასხვისების პროცედურებზე. კერძოდ, 183-ე მუხლს დაემატა მე-2 ნაწილი, რომლის შესაბამისადაც, ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე. საგულისხმოა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსსაც დაემატა ახალი ნორმა – 251¹ მუხლი, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ არასრულწლოვნის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას და დასაბუთებისას სასამართლო უპირატესობას ანიჭებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

23. ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო სა-

სამართლო მიუთითებს, რომ ბავშვის ქონების გასხვისებისას სამართლოს თანხმობის მოპოვების აუცილებლობის შემოღება ბავშვის უფლებების სათანადო დაცვის, მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების, საკუთრების გარეშე დარჩენის რისკების გამორიცხვისა და მისი კეთილდღეობის მიღწევის მიზნებით არის განპირობებული. მსგავსი სახის დავა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, რაც საჭიროებს ქონების გასხვისების მიზეზის, მიზნებისა და სავარაუდო შედეგების შესწავლასა და ბავშვის მდგომარეობაზე გავლენის შეფასებას. ამასთან, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დადგენას ემსახურება კანონმდებლობით მსგავსი ტიპის დავებში არასრულწლოვნის, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და ადვოკატის ჩაბმა. დასახელებულ პირთა პოზიციების გათვალისწინება საკითხის სწორად გადაწყვეტისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

24. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან სადავო შემთხვევაში არასრულწლოვნის ქონების განკარგვაზე სასამართლოს მიერ თანხმობის გაცემა არ გასაჩივრებულა, საკასაციო სასამართლო ვერ შეაფასებს თანხმობის გაცემის წინაპირობების არსებობას, თუმცა ხაზგასასმელია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საკითხი გადაწყვიტა როგორც განცხადების დეტალურად შესწავლისა და განმცხადებლის პოზიციის მოსმენის, ისე სოციალური მუშაკის დასკვნის, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრის წარმომადგენლისა და ლ.მ-ვას ადვოკატის განმარტებების გათვალისწინებით. ამრიგად, განსახილველ საქმეზე ქონების განკარგვით არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის ფაქტი დადგენილია და სასამართლო კონტროლი ბავშვის უფლებების დარღვევის გამოსარიცხად განხორციელებულია.

25. რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილების სათანადოდ აღსრულების კონტროლსა და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთვის მონიტორინგის დავალებას, საკასაციო პალატა, საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველ პუნქტზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტსა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლზე მითითებით, აღნიშნავს, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული აქტები (გადაწყვეტილებები, განჩინებები, დადგენილებები) შესასრულებლად სავალდებულო ძალას ატარებს. სწორედ ამიტომ, ნებისმიერი პირი, ვის მიმართაც

არის გამოტანილი გადაწყვეტილება, ვალდებულია, შეასრულოს ის. ამასთან, გადაწყვეტილების შესრულება გამოიხატება გადაწყვეტილებაში მითითებული ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლების ზუსტად, ჯეროვნად, სათანადოდ გათვალისწინებასა და შესრულებაში. საყურადღებოა, რომ გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობისას, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების მექანიზმებს, რადგან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს და მისმა აღუსრულებლობამ შეიძლება სასამართლოსადმი მიმართვის უფლება დეკლარაციულ უფლებად აქციოს.

26. განსახილველი საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან საკითხი არ შეეხება მოდავე მხარეებს შორის წარმოშობილი კონფლიქტის მოწესრიგებას, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მიხედვით გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების საკითხი არ წამოიჭრება – მიუხედავად სასამართლოს მიერ თანხმობის გაცემისა, ქონების განკარგვაზე განმცხადებლის იძულება ვერ მოხდება. ამასთანავე, სწორედ დავის თავისებურების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ განმცხადებელმა გადაწყვეტილება სათანადოდ შეასრულოს, რაც გამოიხატება უძრავი ქონების გასხვისების შემთხვევაში მიღებული სარგებლის მიზნობრივად – სასამართლოს მიერ გამოკვლეული და ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფი დაინშნულებით გამოყენებაში. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილების შესრულების – სარგებლის სათანადოდ გამოყენების კონტროლის სპეციალური მექანიზმი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. მიუხედავად ამისა, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასრულწლოვნის დედას დაუწესეს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება, რათა სააგენტომ განახორციელოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე მონიტორინგი.

27. საკასაციო სასამართლო, მართალია, იაზრებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ საკითხის ამგვარი მოწესრიგებით ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნის მიღწევის სურვილის არსებობას, თუმცა მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, იზიარებს კასატორის არგუმენტებს გასაჩივრებულ ნაწილში სასამართლოს განჩინების გაუქმების წინაპირობების არსებობის თაობაზე.

28. საკასაციო პალატა, სააგენტოსთვის მსგავსი ვალდებულების დაკისრების კანონიერების შესწავლისას, ყურადღებას გაამახ-

ვილებს ბავშვის უფლებათა კოდექსის განმარტებით ბარათზე, რომლის მიხედვითაც, აუცილებელია აღსრულების კონკრეტული მექანიზმებით კოდექსის აღჭურვა, რაც მის სრულფასოვან იმპლემენტაციას უზრუნველყოფს. ასეთ მექანიზმებად დასახელებულია: კონკრეტული, კრიტერიუმებზე დაფუძნებული პროგრამების, მათი დამტკიცებისა და ამოქმედების ვალდებულების განერა კანონში კონკრეტულ ვადებში; საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერება ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით, მათ შორის, სპეციალური საბჭოს შექმნა, რომელიც ბავშვის კეთილდღეობაზე იქნება ორიენტირებული; კოდექსის საიმპლემენტაციო გეგმის შექმნა და დამტკიცება, რაც ასევე კოდექსითაა გათვალისწინებული; სახალხო დამცველის როლის გაძლიერება; იურიდიული დახმარების სამსახურის უფლებამოსილებების გაფართოება; სასამართლოს გაძლიერება, რომელიც იქნება თითოეული ბავშვის უფლების დაცვის ეფექტიანი კონკრეტული მექანიზმი. ამრიგად, კოდექსის შემოღებისას კანონმდებელმა ბავშვის უფლებების დაცვის გასაძლიერებლად აღსრულების მექანიზმების საჭიროებასა და მნიშვნელობაზე იმსჯელა და სწორედ ხსენებული სპეციალური მექანიზმის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს სასამართლოს კონტროლის შემოღება ბავშვის ქონების გასხვისებისას, თუმცა უკვე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე მონიტორინგის საკითხი კანონმდებელს არ განუსაზღვრავს (რაც შესაძლებელია, კანონმდებლის კვალიფიციურ დუმილსაც კი წარმოადგენდეს). შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, მშობლისთვის ინფორმაციის წარდგენისა და სააგენტოსთვის მონიტორინგის დავალების საკანონმდებლო საფუძველი არ არსებობს, რის გამოც ასეთი დავალების პირობებშიც კი – სააგენტო მოკლებული იქნება საკითხზე რეალური და შედეგიანი რეაგირების როგორც სამართლებრივ, ისე ფაქტობრივ შესაძლებლობას.

29. საკასაციო პალატა დამატებით ითვალისწინებს, რომ რადგან ქონების გასხვისებაზე სასამართლოს მიერ თანხმობის გაცემა ჯერ კიდევ ახალი სამართალურთიერთობაა, მისი პრაქტიკაში დანერგვისა და აღსრულების პროცესში შესაძლებელია, წამოიჭრას ახალი გამოწვევები და ახალი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საჭიროების – გადაწყვეტილების შესრულების მონიტორინგის შემოღების აუცილებლობის საკითხიც კი დადგეს. თუმცა, საკითხის სენსიტიურობიდან და სირთულიდან გამომდინარე, ის გადაწყვეტილ უნდა იქნეს დარგით დაინტერესებული ინსტიტუციებისა და პირების ჩართულობით, პრობლემის სიღრმისეული და მასშტაბური შესწავლის შედეგად, რათა შემოღებული მოწესრიგებით ბავშვის უფლებების ეფექტიანი, სწრა-

ფი და დროული დაცვა იყოს შესაძლებელი. სწორედ ამიტომ, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვებამ, კანონმდებლობის არარსებობისა და სააგენტოს მიერ შესაბამისი რესურსის არქონის პირობებში, შესაძლებელია, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის ნაცვლად, ურთიერთობის მონესრიგების ხელოვნურად გაჭიანურება და გართულება გამოიწვიოს. ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს და აღნიშნავს, რომ სააგენტოსთვის მონიტორინგის დავალების გაუქმება არ ნიშნავს და არ გულისხმობს სასამართლოს გადაწყვეტილების განმცხადებლის მიერ ბავშვის ინტერესების დარღვევით შესრულებას. თუკი ქონების განკარგვის შემდგომ ადგილი ექნება ბავშვის უფლებების დარღვევას და მიღებული სარგებლის არამიზნობრივ გამოყენებას, ასეთ ფაქტზე რეაგირება კანონმდებლობით გათვალისწინებული საერთო საფუძვლებით შეიძლება მოხდეს.

30. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, 409-ე, 411-ე მუხლების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ შეესაბამება კანონმდებლობას და უნდა გაუქმდეს. რაც შეეხება საპროცესო ხარჯების განაწილებას, მხარეები სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლებულნი არიან.

31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის მხარეთა დასწრებით განხილვის თაობაზე კასატორის შუამდგომლობასთან დაკავშირებით კი, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეებს. განსახილველ შემთხვევაში კი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 24 თებერვლის განჩინებით უკვე დადგინდა საკასაციო საჩივრის მხარეთა დასწრების გარეშე გადაწყვეტა, რის თაობაზეც ეცნობათ მხარეებს. ამდენად, საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 409-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. კასატორის შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 3 ნოემბრის განჩინება განმცხადებლისთვის სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრისთვის ინფორმაციის წარდგენისა და სააგენტოსთვის მონიტორინგის დავალების ნაწილში;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გ ა ვ ვ ვ ი ს სა კ უ თ რ ე ბ ა შ ი ა რ ს ე ბ უ ლ ი უ ძ რ ა ვ ი ქ ო ნ ე ბ ი ს გ ა ნ კ ა რ გ ვ ა

გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სა ხ ე ლ ი თ

№ას-1198-2021

20 ივნისი 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ლ. ქოჩიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. ზამბახიძე,
რ. ნადარაია**

დავის საგანი: არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვაზე (გაყიდვაზე) თანხმობის გაცემა/აღსრულების მონიტორინგი

აღწერილობითი ნაწილი: განმცხადებლის მოთხოვნა:

1. ზ. კ-მა (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „განმცხადებელი“, „მონინალმდებელ მხარე“) განცხადებით მიმართა ქუთაისის სა-

ქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, არასრულწლოვანი შვილის - ლ. კ-ის უძრავი ქონების გასხვისებაზე თანხმობის მისაღებად.

განცხადების საფუძვლები:

2. განმცხადებელი შვილებთან, მეუღლესთან და რძალთან ერთად ცხოვრობს ქუთაისში, 64 კვ.მ. ფართობის საცხოვრებელ ბინაში, რომელიც აღრიცხულია არასრულწლოვან ლ. კ-ის საკუთრებად; ფართის სიმცირის გამო თანაცხოვრება აღნიშნულ ბინაში თითქმის შეუძლებელია. განმცხადებელს სურს, გაყიდოს ქუთაისში მდებარე საცხოვრებელი ბინა, მიღებული თანხით შეიძინოს და ლ. კ-ის საკუთრებად აღრიცხოს წყალტუბოს რაიონის სოფელ ... 187.6 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი, რის შედეგადაც გაუმჯობესდება არასრულწლოვნის საყოფაცხოვრებო პირობები.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს პოზიცია:

3. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 09 მარტის განჩინებით, საქმეში ჩაბმულ იქნა ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის ცენტრი, რომლის წარმომადგენელმაც აღნიშნა, რომ ზ. კ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილება ხელს შეუწყობს არასრულწლოვნისა და მისი ოჯახის კეთილდღეობას.

ბავშვის ადვოკატის პოზიცია:

4. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 09 მარტის განჩინებით, საქმეში ჩაბმულ იქნა არასრულწლოვანი - ლ. კ-ი, რომელსაც დაენიშნა ადვოკატი იურიდიული დახმარების სამსახურიდან. არასრულწლოვნის ადვოკატი დაეთანხმა ზ. კ-ის მოთხოვნას. მისი განმარტებით, უძრავი ქონების გასხვისება შეესაბამებოდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

5. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილებით:

5.1. განმცხადებელს მიეცა თანხმობა არასრულწლოვნის ქონების (ქ. ქუთაისში, ... მდებარე უძრავი ქონება, ბინა №64, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: ...) განკარგვაზე, მათ შორის, გაყიდვაზე;

5.2. განმცხადებელს დაევალა უძრავი ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხით შეეძინა უძრავი ქონება, რომელიც აღირიცხებოდა ლ. კ-ის საკუთრებაში, ქონების რეალიზაციიდან დარჩენილი თანხა 6000 აშშ დოლარი, რაც აღნიშნულია მეურვეო-

ბისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მომზადებულ დასკვნაში, მიმართულიყო შეძენილი უძრავი ქონების სარემონტო სამუშაოებისათვის და აღნიშნულის შესახებ ეცნობებინა ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებლთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრისათვის;

5.3. ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებლთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონულ ცენტრს დაევალა კონტროლის განევა მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე.

6. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6.1. ლ. კ-ი დაიბადა 2004 წლის 06 ნოემბერს;

6.2. მისი მშობლები არიან ზ. კ-ი და ე. ფ-ძე;

6.3. ქ. ქუთაისში, ... მდებარე უძრავი ქონება, ბინა №64, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: ... საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ლ. კ-ის საკუთრებად;

6.4. წყალტუბოს რაიონ სოფელ ... მდებარე უძრავი ქონება, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: ..., საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მ. თ-ძის საკუთრებად;

6.5. შ.პ.ს. „ა-ფ“-ს მიერ 2021 წლის 09 მარტს გაცემული ქონების შეფასების საექსპერტო დასკვნის თანახმად, წყალტუბოს რაიონის სოფელ ... მდებარე უძრავი ქონების (ს/კ ...) ღირებულებაა 48777 ლარი.

6.6. შ.პ.ს. „ა-ფ“-ს მიერ გაცემული ქონების შეფასების საექსპერტო დასკვნის თანახმად, ლ. კ-ის საკუთრებაში არსებული, ქ. ქუთაისში, ... მდებარე უძრავი ქონების (ს/კ ...) ღირებულებაა 49536 ლარი.

7. სასამართლომ, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას, სოციალური მუშაკის დასკვნის, ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრის წარმომადგენლისა და ლ. კ-ის ადვოკატის განმარტებების გათვალისწინებით, აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის ქონებაზე გარიგების დადებისას გამოკვეთილია ბავშვის უპირატესი ინტერესი, დაცულია საქართველოს კანონმდებლობით თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით აღიარებული ბავშვის საყოველთაო უფლებები და საუკეთესო ინტერესები. შესაბამისად, მშობლის მიერ ბავშვის სახელით გარიგების დადება ემსახურება ბავშვის უფლებებისა და ინტერესების უკეთ დაცვას. მსგავსი საკითხის განხილვისას სასამართლოსათვის უპირველესად სახელმძღვანელოა ბავშვის კეთილდღეობა და მისი უპირატესი ინტერესი, შე-

საბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური სამსახურის როლი. სასამართლომ მოცემული საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე დაადგინა ზ. კ-ის ვალდებულება, აცნობოს ქონების განკარგვის თაობაზე ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონულ ცენტრს, ხოლო ამ უკანასკნელს დაევალა კონტროლი გაუნიოს მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას.

8. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების აღსრულებაზე კონტროლის განევის დავალების ნაწილში, სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა სააგენტომ. შესაბამისად, არასრულწლოვნის ქონების გასხვისების შესახებ თანხმობის გაცემის ნაწილში გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 15 სექტემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

9. ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილება.

10. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები (წინამდებარე გადაწყვეტილების 6.1.-6.6. პუნქტები) და აღნიშნა, რომ „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია და ბავშვის უფლებათა შესახებ კოდექსი განამტკიცებენ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მოქმედების ვალდებულებას, რის გამოც სახელმწიფომ უნდა განახორციელოს აქტიური მოქმედებები და შეიმუშაოს არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დასაცავად საკანონმდებლო რეგულაციები. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესის სრულფასოვნად დასაცავად, საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრისთვის არასრულწლოვნის უძრავი ქონების გასხვისების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი (მონიტორინგი).

11. ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონულმა ცენტრმა, რომელმაც მოითხოვა ახალი გადაწყვე-

ტილების მიღების გზით ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრისათვის გადაწყვეტილების აღსრულებაზე მონიტორინგის დავალების შესახებ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება, შემდეგი დასაბუთებით:

12.1. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, ვინაიდან სააგენტოსთვის კონტროლის დავალების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. კანონმდებლობით არ რეგულირდება სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ არასრულწლოვნის კუთვნილი უძრავი ქონების რეალიზაციის გზით მიღებული სარგებლის მიზნობრივ განკარგვაზე მონიტორინგის/კონტროლის წესი, პირობები და რეაგირების მექანიზმები. ამასთან, სააგენტოს არც საამისო რესურსი გააჩნია. ამდენად, სასამართლოს დავალების აღსრულება ობიექტურად შეუძლებელი იქნება.

12.2. კასატორი დამატებით მიუთითებს, რომ არასრულწლოვნის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემამდე სასამართლო იკვლევს ქონების გასხვისების მიზანს, არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას, ბავშვის მდგომარეობაზე ქონების გასხვისებით გამოწვეულ შედეგებს, მოისმენს სააგენტოს პოზიციასაც. ამრიგად, ქონების გასხვისებაზე თანხმობის გაცემამდე სასამართლო თავად უნდა დარწმუნდეს ქონების გასხვისების ბავშვის ინტერესთან შესაბამისობაზე და არ გასცეს ამგვარი თანხმობა, თუკი ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთილი არ არის ბავშვის საუკეთესო ინტერესი გასხვისების შედეგებთან მიმართებით. აღნიშნული წესით წარმართული სასამართლო პროცედურა უზრუნველყოფს ბავშვის დაცვას და არ საჭიროებს დამატებით კონტროლს, სწორედ ამიტომ არ არის კანონმდებლობით რეგულირებული გადაწყვეტილების აღსრულებაზე ზედამხედველობის მექანიზმი.

12.3. მონიტორინგის გახორციელება სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია იმის გამოც, რომ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მშობლის უფლება არასრულწლოვანი შვილის წარმომადგენლობის შესახებ შეჩერებული არ არის და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო აღარ წარმომადგენს ბავშვის არც წარმომადგენელს და არც მეურვეს.

12.4. ნორმის, რომლის საფუძველზეც სასამართლომ მართებულად მიიჩნია გადაწყვეტილების აღსრულებაზე სააგენტოსთვის მონიტორინგის ვალდებულების დასაწესება, კერძოდ, ბავშვის უფლებათა კოდექსის 82-ე მუხლის ადრესატი მეურვეობისა და

მზრუნველობის ორგანო არ არის და იგი მიემართება საკანონმდებლო ორგანოს, რათა შექმნას ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება და კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს არამხოლოდ ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის უფლებებზე ზეგავლენის რისკების პრევენციას, არამედ უკვე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. ამრიგად, სასამართლოს მიერ მითითებული ნორმა განმარტებულია არასწორად.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 31 დეკემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო 2022 წლის 23 თებერვლის განჩინებით, საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და დადგინდა მისი მხარეთა დასწრების გარეშე განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

14. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

15.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

15.2. საგულისხმოა, რომ წინამდებარე საქმეში სადავოა არა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები, არამედ მხოლოდ სამართლებრივი შეფასება, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანია არასრულწლოვნის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების სათანადოდ აღსრულებაზე ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთვის კონტროლის გაწევის დავალების კანონიერება. სადავო საკითხისათვის სწორი სამართლებრივი შეფასების მისაცემად ამოსავალია ბავშვის უფლებების მომწესრიგებელი ნორმების ანალიზი.

16.1. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეორე პუნ-

ქტის თანახმად, დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით. შესაბამისად, ბავშვის უფლებები დაცული და აღიარებული კონსტიტუციური ღირებულებებია.

16.2. ამავდროულად, საქართველო მონაწილეა „ბავშვის უფლებების შესახებ“ 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენციისა, რომლის მონაწილე სახელმწიფოებიც აღიარებენ, რომ ბავშვებს აქვთ განსაკუთრებული ზრუნვისა და დაცვების უფლება. კონვენცია აწესებს ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის.

16.3. „ბავშვის უფლებების კონვენციის“ 3.1. მუხლის თანახმად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. ამავ კონვენციის 3.2. მუხლი განსაზღვრავს მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებას, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორიც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის, ამასთან ითვალისწინებენ მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, და ამ მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომებს.

16.4. საგულისხმოა, რომ ბავშვის უფლებებების მარტოოდენ კონვენციურ რანგში რეგულირება საკმარისი არ არის მათი პრაქტიკული და ეფექტური აღსრულებისათვის, სწორედ ამიტომ, 2020 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში ამოქმედდა „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, რომელიც, კანონის განმარტებითი ბარათის თანახმად, მიზნად ისახავდა ბავშვის კეთილდღეობის მისაღწევად საქართველოში ერთიანი სახელმწიფოებრივი ხედვისა და სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებას და უფლების აღსრულების ქმედითი ინსტრუმენტების დანერგვას.

16.5. აღნიშნული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს, რომლებიც ბავშვისთვის ინდივიდუალურად, ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა

საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად განისაზღვრება.

16.6. თავად „ბავშვის საუკეთესო ინტერესებს“, კოდექსი შემდეგ განმარტებას აძლევს: – ბავშვის კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, საზოგადოებრივი, ზნეობრივი და სხვა ინტერესები, რომლებსაც პრიორიტეტულად განსაზღვრავს მშობელი ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისი მონაწილეობით და მისი მოსაზრების გათვალისწინებით.

16.7. ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ბავშვს აქვს საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება, ხოლო მე-4 ნაწილის თანახმად, ბავშვის ქონების განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამრიგად, ბავშვის ქონებრივი ინტერესები, მათ შორის საკუთრების უფლება, დაცვის ღირსი მაღალი ღირებულებაა და მათ ეფექტურ, ბავშვის ინტერესებზე მორგებულ, გამოყენებაზე პასუხისმგებელია ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი.

16.8. ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედების თანადროულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლში შესული ცვლილება, მისთვის მეორე ნაწილის დამატების სახით, რაც გულისხმობს შემდეგი ქცევის წესის დამკვიდრებას: ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე. ამრიგად, ბავშვის უძრავი ქონების გასხვისების პროცედურებზე დანესდა სავალდებულო სასამართლო კონტროლი.

16.9. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 251¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვნის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას და დასაბუთებისას სასამართლო უპირატესობას ანიჭებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

17.1. ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ბავშვის ქონების გასხვისებისას სასამართლოს თანხმობის მოპოვების აუცილებლობის შემოღება ბავშვის უფლებების სათანადო დაცვის, მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების, საკუთრების გარეშე დარჩენის რისკების გამორიცხვისა და მისი კეთილდღეობის მიღწევის მიზნებით არის განპირობებული. მსგავსი სახის დავა სასამართლომ უნდა გადაწყვი-

ტოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, რაც საჭიროებს ქონების გასხვისების მიზეზის, მიზნებისა და სავარაუდო შედეგების შესწავლასა და ბავშვის მდგომარეობაზე გავლენის შეფასებას. ამასთან, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დადგენას ემსახურება კანონმდებლობით მსგავსი ტიპის დავებში არასრულწლოვნის, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და ადვოკატის ჩაბმა. დასახელებულ პირთა პოზიციების გათვალისწინება საკითხის სწორად გადაწყვეტისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (იხ. სუსგ. №ას-1378-2021 05.04.20226).

17.2. პალატა მიუთითებს, რომ არასრულწლოვნის ქონების განკარგვაზე სასამართლოს მიერ თანხმობის გაცემა გასაჩივრებული არ არის და გადაწყვეტილება ამ ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არსებითად ვერ აფასებს თანხმობის გაცემის წინაპირობებს, თუმცა ყურადღებას მიაპყრობს იმ პროცედურულ ნაწილს, რომელიც საქალაქო სასამართლომ გაიარა თანხმობის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, კერძოდ: საქმეში მონაწილეობის მისაღებად ჩართო მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რომელსაც დაევალა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების სასამართლოსთვის წარდგენა, ბავშვს დაენიშნა საზოგადოებრივი ადვოკატი, მომზადდა სოციალური მუშაკის დადებითი დასკვნა ქონების გასხვისების საკითხზე თანხმობის მიცემასთან მიმართებით, ჩატარდა საქმის ზეპირი მოსმენა, რომელზედაც ზემოაღნიშნულმა პირებმა ერთმნიშვნელოვნად დადებითი მოსაზრება გამოხატეს მშობლისათვის ბავშვის უძრავი ნივთის გასხვისებაზე თანხმობის სასამართლო წესით გაცემაზე. ამრიგად, სასამართლომ განცხადების დადებითად გადაწყვეტამდე განახორციელა ჯეროვანი კონტროლი ქონების განკარგვით არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის საკითხზე.

17.3. რაც შეეხება უშუალოდ მიღებული გადაწყვეტილების იმგვარ აღსრულებაზე კონტროლს, როგორც ეს სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით განისაზღვრა, პალატა მიუთითებს, რომ არავითარი საკანონმდებლო დათქმა, რომელიც აღსრულების პროცესში სახელმწიფო ორგანოთა მონაწილეობის უფლებამოსილებას დაადგენდა, მოცემული მდგომარეობით, არ არსებობს. კანონმდებელს, გადაწყვეტილების ამგვარი კონტროლის დაწესების ნების არსებობისას, შეეძლო, არასრულწლოვნის ქონების გასხვისებისას გაეთვალისწინებინა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სავალდებულო მონაწილეობა ამავე გარიგებაში ან/და ამონაგები თანხის მიზნობრივად განკარგვის უზრუნველსაყოფად, დაედგინა გახარჯვის პროცედურებში მისი უფლებამო-

სილებანი. უდავოა, რომ ამგვარი დათქმები კანონმდებელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მეორე ნაწილის ამოკმედების პარალელურად, არ დაუნესებია, შესაბამისად, მშობლისთვის ინფორმაციის წარდგენისა და სააგენტოსთვის მონიტორინგის დავალების საკანონმდებლო საფუძველი არ არსებობს. ამავდროულად, კონტროლის ვალდებულების იმ ფორმით დანსება, როგორც აღნიშნული განხორციელდა პირველი ინსტანციის სამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში (რაც გაზიარებულ იქნა სააპელაციო ინსტანციის მიერ), არ ადგენს ქცევის განსაზღვრულ წესს, რომელიც განმცხადებელმა ან/და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უნდა განახორციელოს ბავშვის ქონების არამიზნობრივი გასხვისების რისკის თავიდან ასარიდებლად.

17.4. მართლმსაჯულების კანონიერ ძალაში შესული აქტი, საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველ პუნქტის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის გათვალისწინებით, შესასრულებლად სავალდებულო ძალას ატარებს – ნებისმიერი პირი, ვის მიმართაც არის გამოტანილი გადაწყვეტილება, ვალდებულია, შეასრულოს ის. სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან და მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

17.5. ერთ-ერთ მსგავს საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვებამ, კანონმდებლობის არარსებობისა და სააგენტოს მიერ შესაბამისი რესურსის არქონის პირობებში, შესაძლებელია, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის ნაცვლად, ურთიერთობის მოწესრიგების ხელოვნურად გაჭიანურება და გართულება გამოიწვიოს. ამასთან, ...სააგენტოსთვის მონიტორინგის დავალების გაუქმება არ ნიშნავს და არ გულისხმობს განმცხადებლის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების ბავშვის ინტერესების დარღვევით შესრულებას. თუკი ქონების განკარგვის შემდგომ ადგილი ექნება ბავშვის უფლებების დარღვევას და მიღებული სარგებლის არამიზნობრივ გამოყენებას, ასეთ ფაქტზე რეაგირება კანონმდებლობით გათვალისწინებული საერთო საფუძველებით შეიძლება მოხდეს“ (იხ. სუსგ. №ას-1378-2021 05.04.2022წ).

18. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმა-

ყოფილდეს და უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 15 სექტემბრის განჩინება ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრისათვის გადაწყვეტილების აღსრულებაზე მონიტორინგის დავალების შესახებ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 03 ივნისის №2/490-21 გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 409-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 15 სექტემბრის განჩინება ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრისათვის გადაწყვეტილების აღსრულებაზე მონიტორინგის დავალების შესახებ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 03 ივნისის №2/490-21 გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 15 სექტემბრის განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პალის გადაკისრება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმთ

№ას-107-107-2018

8 იანვარი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე**

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ა.ნ-სა“ (შემდგომში – „მოსარჩელე“ ან „მეიჯარე“) და შპს „ბ-ას“ (შემდგომში – „თავდაპირველი მოიჯარე“) შორის 2015 წლის 21 იანვარს დაიდო იჯარის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ამ უკანასკნელს დროებით სარგებლობაში გადაეცა არასაცხოვრებელი ფართი, მდებარე: ქ. თბილისი, ... იჯარის ვადა განისაზღვრა სამი წლით, ხოლო საიჯარო ქირა – ყოველთვიურად 7 000 აშშ დოლარის ოდენობით;

2. მოსარჩელესა და თავდაპირველ მოიჯარეს შორის 2015 წლის 02 აპრილს დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმად, თავდაპირველმა მოიჯარემ იკისრა ვალდებულება მეიჯარისათვის 2015 წლის 15 მაისამდე გადაეხადა ვადამოსული საიჯარო დავალიანება – 9 000 ლარის ოდენობით. მხარეები, ასევე, შეთანხმდნენ, რომ მოიჯარე მიმდინარე საიჯარო თანხას – 16 520 ლარს გადაიხდიდა 01 აპრილიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო 2016 წლის 05 იანვრამდე აანაზღაურებდა ყოველთვიურად ანგარიშფაქტურებით გადასახდელ თანხებსა და ფაქტობრივად გადახდილ თანხებს შორის სხვაობას. განისაზღვრა, რომ შეთანხმება წარმოადგენდა 2015 წლის 21 იანვარს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების დანართს, მის განუყოფელ ნაწილს, რომელიც განიმარტებოდა და აღსრულდებოდა მასთან ერთად;

3. მოსარჩელესა და შპს „ბ.თ-სს“ (შემდგომში – „მოპასუხე“, „მოიჯარე“ ან „კასატორი“) შორის 2015 წლის 21 სექტემბერს გაფორმდა „დამატებითი შეთანხმება“, რომლის თანახმად, მხარეებმა შეამცირეს იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა და მისი ოდენობა განსაზღვრეს – 7 000 ლარს დამატებული დამატებითი ღირებულების გადასახადი; მხარეებმა, ასევე, შეც-

ვალეს იჯარის ხელშეკრულების ვადა და განსაზღვრეს 27 თვის ვადით (2017 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით); ამასთან, მხარეებმა აღიარეს, რომ მოიჯარის ფულადი დავალიანება იმ დროისათვის შეადგენდა 38 000 ლარს, რომლის გადახდაც უნდა განხორციელებულიყო შემდეგი წესით: ხელშეკრულების ხელმოწერის დღისათვის 20 000 ლარი, 25 სექტემბერს 5 000 ლარი, 13 000 ლარი კი, 2016 წლის იანვრის ბოლომდე;

4. მოსარჩელეს, მოპასუხესა და თავდაპირველ მოიჯარეს შორის 2016 წლის 17 თებერვალს გაფორმდა შეთანხმება საიჯარო ხელშეკრულების მოშლის შესახებ. აღნიშნული შეთანხმებით მხარეებმა დაადასტურეს, რომ 2015 წლის 21 სექტემბერს დადებული შეთანხმებით თავდაპირველი მოიჯარე ჩაანაცვლა მოპასუხემ და ამ უკანასკნელზე გადავიდა იჯარის ხელშეკრულებითა და დამატებითი შეთანხმებებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა;

5. 2016 წლის 17 თებერვლის შეთანხმებით იჯარის ხელშეკრულებითა და დამატებითი შეთანხმებებით გათვალისწინებული საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის ვადად განისაზღვრა 2016 წლის 29 თებერვალი (ჩათვლით).

6. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მისთვის 2015 წლის 21 სექტემბრის დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის დავალიანების – 10 193 ლარისა და 2015 წლის 02 აპრილის შეთანხმების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხის, კურსის სხვაობიდან გამომდინარე დავალიანების – 11 707 ლარის დაკისრება.

7. მოპასუხემ სარჩელი ცნო საიჯარო ქირის – 10 193 ლარის დავალიანების ნაწილში, მეორე მოთხოვნასთან დაკავშირებით კი წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 17 258,18 ლარის გადახდა. აღნიშნული თანხიდან 10 193 ლარი წარმოადგენდა 2015 წლის 21 სექტემბრის დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებულ საიჯარო ქირის დავალიანებას, ხოლო 7 065,18 ლარი 2015 წლის 02 აპრილის შეთანხმების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ თანხას.

9. მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი. მან მოითხოვა გადანაცვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება.

11. სააპელაციო პალატამ დაადგინა წინამდებარე გადაწყვეტილების 1-5 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

12. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოპასუხეს შესაგებლად სადავოდ არ გაუხდია, რომ მას გადასახდელი აქვს საიჯარო ქირა – 10 193 ლარის ოდენობით. ამასთან, მან სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სრულად გაუქმება, თუმცა, თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2017 წლის 02 ნოემბერს გამართულ სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენელმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება სადავოდ გახადა მხოლოდ 7065,18 ლარის დაკისრების ნაწილში. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლზე დაყრდნობით, იმსჯელა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის მხოლოდ 7065,18 ლარის (17 258,18-10 193=7065,18) გადახდის დაკისრების მართლზომიერებაზე.

13. სააპელაციო პალატის განმარტებით, მოსარჩელის ბუღალტრის მიერ 2015 წელს შედგენილი „კურსის სხვაობით დავალიანების წარმოშობის შესახებ“ აქტის თანახმად, გამოწერილი ანგარიშფაქტურებით, აშშ დოლარის კურსის შესაბამისად, გადასახდელი იყო 94 307 ლარი, ხოლო გადახდილი 82 600 ლარი. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, მოსარჩელის მიერ თავდაპირველი მოიჯარისათვის გადაგზავნილი და ამ უკანასკნელის მიერ დადასტურებული ანგარიშფაქტურებით (№ეა-04 3609846, №ეა-04 4188237, №ეა-04 4704657, №ეა-04 5465638, №ეა-04 5856443) დგინდებოდა, რომ სადავო პერიოდში თავდაპირველი მოიჯარის მიერ გადასახდელი იყო 89 665,18 ლარი; ამასთან, მოსარჩელის ანგარიშის ბარათის მიხედვით, ბრუნვამ/კრედიტმა შეადგინა სწორედ 89 665,18 ლარი. შესაბამისად, 2015 წლის აპრილი-აგვისტოს ანგარიშფაქტურებში და ანგარიშის ბარათში მითითებულ თანხას – 89 665,18 ლარს გამოკლებული თავდაპირველი მოიჯარის მიერ 2015 წლის აპრილ-აგვისტოში გადახდილი 82 600 ლარი შეადგენდა 7065,18 ლარს.

14. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოპასუხეს მართებულად დაეკისრა 17 258,18 ლარი (10 193+7065,18=17 258,18), რის გამოც არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

15. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ. მან მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქ-

მება მისთვის 7065,18 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღება.

16. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების ნაწილობრივ გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

16.1. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები. აღნიშნული კოდექსის 203-ე მუხლის შესაბამისად, ვალის გადაკისრების ხელშეკრულება, სხვა ხელშეკრულებათა მსგავსად, უნდა აკმაყოფილებდეს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მოთხოვნებს;

16.2. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელესთან დადებულია ორი ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს თავდაპირველი მოიჯარის ვალდებულებით ურთიერთობას. კერძოდ, 2015 წლის 21 სექტემბრის დამატებითი შეთანხმება და 2016 წლის 17 თებერვლის შეთანხმება. შესაბამისად, გასარკვევია, რომელი ხელშეკრულებით მოხდა თავდაპირველი მოიჯარის ვალდებულების მოპასუხეზე გადაკისრება;

16.3. 2015 წლის 21 სექტემბრის დამატებითი შეთანხმების მე-4 პუნქტით მხარეებმა მოპასუხის დავალიანება განსაზღვრეს 38 000 ლარით და შეთანხმდნენ მისი გადახდის ვადაზე. ამდენად, ისინი შეთანხმდნენ, როგორც ვალდებულების მოცულობაზე, ისე მისი შესრულების ვადაზე. მხარეთა შორის სხვა ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, ის აისახებოდა აღნიშნულ შეთანხმებაში, რასაც ადგილი არ ჰქონია;

16.4. რაც შეეხება 2016 წლის 17 თებერვლის შეთანხმებას, პრეამბულაში მითითებულია, რომ თავდაპირველი მოიჯარე ჩანაცვლდებოდა მოიჯარით და ამ უკანასკნელზე გადავიდოდა იჯარის ხელშეკრულებითა და დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა. შეთანხმებით გათვალისწინებული არ ყოფილა არც ვალდებულების მოცულობა და არც ვადა;

16.5. სამოქალაქო კოდექსი ხელშეკრულების დადებულად მიჩნევისთვის აუცილებლად მიიჩნევს ყველა არსებით პირობაზე შეთანხმებას. ვალდებულების მოცულობა და მისი შესრულების ვადა წარმოადგენს ისეთ პირობებს, რომელზე შეთანხმების არარსებობაც ხელშეკრულებას არანამდვილად აქცევს. ვალის გადაკისრების შესახებ შეთანხმებიდან ნათლად და არაორაზროვნად უნდა გამომდინარეობდეს მოვალის მზაობა, რომ შეასრულოს ასეთი ვალდებულება. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, მოცემულ შემთხვევაში, 2016 წლის 17 თებერვლის შეთანხმების ტექსტში არსად არ იკითხება, რომ მოპასუხემ განაცხადა მზაობა შეესრულებინა თავ-

დაპირველი მოიჯარის კონკრეტული ვალდებულებები. რაც შეეხება პრემიუმის ტექსტს, ის არ წარმოადგენს კონკრეტული ვალდებულების განმსაზღვრელ პირობას და არის ზედმეტად ზოგადი, რის გამოც არ შეიძლება ჩაითვალოს არსებით პირობად.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 18 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

18. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

19. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

20. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა შორის დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ამა თუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და

გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს (იხ. სუსგ საქმე №ას-1529-1443-2012, 09 დეკემბერი, 2013 წელი; №ას-501-475-2015, 31 მარტი, 2016 წელი; დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017 წელი).

21. განსახილველ შემთხვევაში, კასატორის პრეტენზია ეფუძნება იმას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა მხარეთა შორის არსებული შეთანხმებების ნორმები და არასწორად დაადგინა მოპასუხის მიერ გადაკისრებული თავდაპირველი მოიჯარის ვალდებულების მოცულობა.

22. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვალდებულების თავდაპირველი მხარეები შეიძლება შეიცვალოს სხვა პირებით. ვალდებულებაში შეიძლება შეიცვალოს როგორც კრედიტორი, ასევე მოვალეც. კრედიტორის შეცვლის დროს ხდება მოთხოვნის დათმობა, ანუ ცესია, ხოლო ვალდებული პირის შეცვლის დროს – ვალის გადაკისრება.

23. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მონესრიგებულია ვალის გადაკისრების ორი საკანონმდებლო შემადგენლობა: 1) მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულება და 2) მოვალესა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულება.

24. ამასთან, იმის მიხედვით, თავისუფლდება თუ არა თავდაპირველი მოვალე ვალის გადაკისრების ხელშეკრულების შედეგად კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებისაგან, განასხვავებენ ვალის გადაკისრების ორ სახეს: 1) პრივატული ვალის გადაკისრება და 2) კუმულატიური ვალის გადაკისრება. პრივატული ვალის გადაკისრების დროს, თავდაპირველი მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებისაგან და მის ადგილს იკავებს ახალი მოვალე (სსკ-ის 203-ე მუხლი). რაც შეეხება კუმულატიური ვალის გადაკისრებას, ასეთ დროს თავდაპირველი მოვალე არ თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებისაგან, ხოლო მესამე პირი კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებულ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში შემოდის მოვალის სახით (ე.წ. „ვალის დელეგირება“) (იხ. ზ. ჭეჭელაშვილი, მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, გვ. 115; სუსგ საქმე №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019 წელი).

25. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოთხოვნის მფლობელთან დადებული ხელშეკრულებით ვალი შეიძლება თავის თავზე აიღოს მესამე პირმაც (ვალის გადაკისრება). ასეთ შემთხვევაში, მესამე პირი და-

იკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს. აღნიშნული სამართლებრივი ნორმა აწესრიგებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ვალის გადაკისრებას ადგილი აქვს კრედიტორსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულების (და არა ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა) საფუძველზე, სადაც ცალსახაა კრედიტორის ნება მესამე პირის მიერ ვალდებულების საკუთარ თავზე აღების თაობაზე და იგი, როგორც წესი, არ საჭიროებს მოვალის თანხმობას (იხ. თ. შოთაძე, სანიეთო სამართალი, თბილისი 2014, გვ. 198-199). აღნიშნული ხელშეკრულების სამართლებრივი შედეგი არის ის, რომ მესამე პირი იკავებს მოვალის ადგილს, რაც იმას ნიშნავს, რომ თავდაპირველი მოვალის მიმართ ვალდებულება წყდება და შესაბამისად, კრედიტორს თავდაპირველი მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლება აღარ გააჩნია. შესაბამისად, მესამე პირსა და კრედიტორს შორის ურთიერთობის ვალის გადაკისრებად კვალიფიკაციის მიზნებისათვის, აუცილებელია ცალსახად და არაორაზროვნად დადგინდეს კრედიტორის ნება მასზედ, რომ მესამე პირმა მოვალის ადგილი დაიკავოს (იხ. სუსგ საქმე №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019 წელი).

26. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს მხოლოდ პრივატული ვალის გადაკისრებას, შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლი გამორიცხავს ე.წ. „ექსპრომისიის“ შესაძლებლობას (როდესაც მესამე პირი, მართალია, კრედიტორის წინაშე მოვალის ვალდებულებას კისრულობს, თუმცა, იგი თავდაპირველი მოვალის ადგილს კი არ იკავებს, არამედ თავდაპირველ მოვალესთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს), კერძოდ, თუ დადგინდა ვალის გადაკისრების წინაპირობების არსებობა დასახელებული სამართლებრივი ნორმის კონტექსტში, ასეთ შემთხვევაში, მესამე პირი დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს. თავდაპირველი მოვალის მიმართ ვალდებულების შეწყვეტაზე მეტყველებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 205-ე მუხლის ბოლო წინადადება, რომლის მიხედვითაც, ახალ მოვალეს უფლება არა აქვს გაქვითოს ის მოთხოვნები, რომლებიც თავდაპირველ მოვალეს ეკუთვნოდა. ასევე, იმავე კოდექსის 206-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლის გამოყენების მიზნებისათვის, სახეზე უნდა იყოს კრედიტორსა და მესამე პირს შორის ხელშეკრულება. ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ ვალის გადაკისრება დასაშვებია კრედიტორსა და მესამე პირს

შორის ორმხრივი ნების გამოვლენის შედეგად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე (იხ. სუსგ საქმე №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019 წელი).

27. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2015 წლის 21 იანვარს მოსარჩელესა და თავდაპირველ მოიჯარეს შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება; დადგენილია, ასევე, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2015 წლის 21 სექტემბერს დაიდო „დამატებითი შეთანხმება“ იჯარის ხელშეკრულებაზე. აღნიშნული შეთანხმებით მოხდა თავდაპირველი მოიჯარის ჩანაცვლება მოიჯარით და ეს უკანასკნელი გახდა იჯარის ხელშეკრულების მხარე. გარდა ამისა, შეიცვალა იჯარის ხელშეკრულების ცალკეული პირობები – საიჯარო ფართის მოცულობა, საიჯარო ქირის ოდენობა და იჯარის ხელშეკრულების ვადა (შეთანხმების პირველი, მე-2, მე-3 პუნქტები), დანარჩენი პირობები დარჩა უცვლელი (შეთანხმების მე-5 პუნქტი). დამატებითი შეთანხმებით მხარეებმა, ასევე, დაადასტურეს, რომ თავდაპირველი მოიჯარის ფულადი დავალიანება შეთანხმების გაფორმების დროისათვის შეადგენდა 38 000 ლარს, რომელსაც მოიჯარე გადაიხდიდა დადგენილი წესით (შეთანხმების მე-4 პუნქტი). ამდენად, დამატებითი შეთანხმების მე-4 პუნქტით ცალსახად და აპარაზროვნად განისაზღვრა მოპასუხის ნება თავდაპირველი მოიჯარის დავალიანების გადაკისრების თაობაზე. შესაბამისად, მხარეთა შორის 2015 წლის 21 სექტემბერს დადებული დამატებითი შეთანხმება (კერძოდ, შეთანხმების მე-4 პუნქტი) ექცევა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 203-ე მუხლის მოწესრიგების ფარგლებში.

28. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ვალის გადაკისრების თაობაზე შეთანხმება მოხდა კონკრეტულ თანხაზე, კერძოდ, დამატებითი შეთანხმების მე-4 პუნქტით ნათლად და გარკვევით განისაზღვრა შეთანხმების გაფორმების დროისათვის იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების ოდენობა (38 000 ლარი, რომელიც მოიჯარეს უნდა გადაეხადა დადგენილი წესით), რასაც მოსარჩელე, როგორც მეიჯარე, დამატებით შეთანხმებაზე ხელმოწერით დაეთანხმა. მხარეებს დამატებითი შეთანხმებით არ განუსაზღვრავთ, რომ მოიჯარემ, გარდა ზემოაღნიშნული დავალიანებისა, იკისრა სხვა დავალიანების გადახდაც. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას, რომ მოპასუხემ სწორედ ამ ოდენობის დავალიანების გადახდა იკისრა. საკასაციო პალატა კვლავ განმარტავს, რომ ქართული კანონმდებლობა გამორიცხავს ე.წ. „ექსპრომისის“ შესაძლებლობას, შესაბამისად, ვალის გადაკისრების თაობაზე შეთანხმების საფუძველზე მესამე პირი იკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს, ხოლო ამ უკანას-

კნელის მიმართ არსებული ვალდებულება წყდება. ამდენად, ახალი მოვალე მხოლოდ ვალის გადაკისრების შესახებ შეთანხმებაში მითითებულ დავალიანებაზეა პასუხისმგებელი, სხვა ვალდებულებები კი, წყვეტს არსებობას.

29. რაც შეეხება 2016 წლის 17 თებერვლის შეთანხმებას, აღნიშნული შეთანხმებით განისაზღვრა მხარეთა შორის არსებული საიჯარო ურთიერთობის მოშლის ვადა. ამასთან, მომავალში გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მხარეებმა დაადასტურეს იჯარის ხელშეკრულებაში თავდაპირველი მოიჯარის ჩანაცვლების ფაქტი. რაც შეეხება შეთანხმებაში არსებულ მითითებას, რომ 2015 წლის 21 სექტემბრის დამატებითი შეთანხმებით თავდაპირველი მოიჯარის უფლებამონაცვლეზე, მოპასუხეზე გადავიდა იჯარის ხელშეკრულებითა და დამატებითი შეთანხმებებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა, აღნიშნული წარმოადგენს ზოგად განმარტებას უფლებამონაცვლის უფლება-მოვალეობების შესახებ, რომელიც ისედაც გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის ნორმებიდან. ამრიგად, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებული შეთანხმებებიდან ნათელია, რომ მოპასუხემ იკისრა მხოლოდ 38 000 ლარის გადახდის ვალდებულება. ისინი არ მიუთითებენ რაიმე დამატებით ვალდებულებაზე, რომელიც მოიჯარემ თავდაპირველი მოიჯარისაგან გადაიკისრა.

30. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს მოპასუხისათვის 2015 წლის 02 აპრილის შეთანხმების მე-2 პუნქტით განსაზღვრული თანხის დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, შესაბამისად, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს.

31. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს ამგვარი საფუძვლები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

32. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის პირ-

ველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

33. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს მოპასუხისათვის 7065,18 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადანყვეტილებით სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

34. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადანყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადანყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

35. განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 12 აპრილის განჩინებით, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღა დაედო მოპასუხის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს 21 900 ლარის ფარგლებში, საქართველოში მოქმედ ყველა საბანკო დანესებულებაში.

36. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის მიზანს სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების აღსრულება წარმოადგენს. შესაბამისად, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში სარჩელი 11 707 ლარის მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ამ ნაწილში აღარ არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობა, რის გამოც საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 12 აპრილის განჩინება და ყადაღა უნდა მოეხსნას მოპასუხის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს 11 707 ლარის ფარგლებში, საქართველოში მოქმედ ყველა საბანკო დანესებულებაში იმგვარად, რომ ყადაღა შენარჩუნდეს მოპასუხის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე 10193 ლარის ფარგლებში, საქართველოში მოქმედ ყველა საბანკო დანესებულებაში.

37. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარ-

ჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამასთან, იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

38. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა შეადგენდა ჯამში – 21 900 ლარს. სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, 10 193 ლარის მოთხოვნის ნაწილში, ანუ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნის 46,543%, შესაბამისად ვინაიდან მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილი იყო – 657 ლარი, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 305,79 ლარის (657 ლარის 46,543%) გადახდა, ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

39. მოპასუხემ სააპელაციო საჩივარზე გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 690,32 ლარი. სააპელაციო სასამართლოში დავის საგანი იყო 17 258,18 ლარი, საიდანაც სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა 7065,18 ლარის ნაწილში (17 258,18 ლარს – 10 193 ლარი), ანუ დავის საგნის 40,938%, შესაბამისად, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 282,60 ლარის (690,32 ლარის 40,938%) გადახდა, ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

40. მოპასუხემ საკასაციო საჩივარზე გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 354 ლარი. საკასაციო სასამართლოში დავის საგანი იყო 7065,18 ლარი, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა სრულად, ანუ დავის საგნის 100%, შესაბამისად, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 354 ლარის გადახდა, ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

41. ამდენად, საბოლოო ჯამში, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 305,79 ლარის გადახდა, ხოლო მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 636,6 ლარის (282,62 ლარი+354 ლარი) გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქოალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ბ. თ-ს“-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინება შპს „ბ. თ-ს“-თვის 7065,18 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნას ახალი გადანყვეტილება;
3. შპს „ა. წ-ი“-ს სარჩელი შპს „ბ. თ-ს“-თვის 2015 წლის 2 აპრილის შეთანხმების მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანხის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. შპს „ბ. თ-ს“-ს (ს/კ: ...) შპს „ა. წ-ი“-ს (ს/კ: ...) სასარგებლოდ დაეკისროს 305 (სამას ხუთი) ლარისა და 79 თეთრის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
5. შპს „ა. წ-ს“ (ს/კ: ...) შპს „ბ. თ-ს“-ის (ს/კ:) სასარგებლოდ დაეკისროს 636 (ექვსას ოცდათექვსმეტი) ლარისა და 60 თეთრის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
6. ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 12 აპრილის განჩინებით (საქმე №2/8596-16) გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნას შპს „ბ. თ-ს“-ის (ს/კ:) საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს 11707 ლარის ფარგლებში საქართველოში მოქმედ ყველა საბანკო დანესებულებაში იმგვარად, რომ ყადაღა შენარჩუნდეს შპს „ბ. თ-ს“-ის (ს/კ:) საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე 10193 ლარის ფარგლებში, საქართველოში მოქმედ ყველა საბანკო დანესებულებაში;
7. საკასაციო პალატის გადანყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. იპოთეკა

მისაკუთრის უფლება კრედიტორის დაკავაშვებისას

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-730-2019

26 იანვარი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, ხელშეკრულების ბათილად
ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ი. ჯ-ასა“ (შემდეგში: კომპანია) და ნ.ც-ძეს (შემდეგში: პირველი მოპასუხე, პირველი აპელანტი, მსესხებელი ან პირველი კასატორი) შორის 2011 წლის 21 სექტემბერს გაფორმდა საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება №482 (შემდეგში: ხელშეკრულება). ხელშეკრულების 1.1 პუნქტის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად, კრედიტორი თანახმაა პერიოდულად განიხილოს მსესხებლისათვის ტრანშების სახით კრედიტების გამოყოფის საკითხი. კრედიტების საერთო ჯამი არ უნდა აღემატებოდეს საკრედიტო ხაზის ოდენობას. ხელშეკრულების 2.1 პუნქტის მიხედვით, საკრედიტო ხაზის მაქსიმალური თანხა განისაზღვრა 50 000 ლარით ან მისი ეკვივალენტით სხვა ვალუტაში, საკრედიტო ხაზის მაქსიმალური ვადა – 60 თვე, სარგებლის მაქსიმალური ოდენობა – 60%, ყოველდღიური პირგასამტეხლოს მაქსიმალური ოდენობა – 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

2. კომპანიასა და გ.კ-ს (შემდეგში: მოსარჩელე, მესამე კასატორი) შორის გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება №590, რომლის თანახმად, 15 იპოთეკარსა და პირველ მოპასუხეს შორის 2011 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული №482 საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, მესაკუთრემ დატვირთა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ..., ბინა 6. იპოთეკის საგანი მხარეთა მიერ პირობითად შეფასებულია 30 000 აშშ დოლარად. აღ-

ნიშნული ხელშეკრულება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში.

3. კომპანიასა და პირველ მოპასუხეს შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება №1445. ხელშეკრულების 1.1 პუნქტის თანახმად, კრედიტორის მიერ მსესხებელზე გაიცა კრედიტი 15 464 აშშ დოლარის ოდენობით, მიზნობრიობა – სამომხმარებლო, ვადა – 36 თვე, საპროცენტო განაკვეთი – წლიური 36%.

4. კომპანიასა და მოპასუხეს შორის, გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება №1452. ხელშეკრულების 1.1 პუნქტის შესაბამისად, კრედიტორის მიერ მსესხებელზე გაიცა კრედიტი 10 310 აშშ დოლარი, მიზნობრიობა – სამომხმარებლო, ვადა – 36 თვე, საპროცენტო განაკვეთი – წლიური 36%.

5. კომპანიასა და პირველ მოპასუხეს შორის 2011 წლის 28 სექტემბერს კვლავ გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება №1454. ხელშეკრულების 1.1. პუნქტის მიხედვით, კრედიტორის მიერ მსესხებელზე გაიცა კრედიტი 4 303 აშშ დოლარი, მიზნობრიობა – სამომხმარებლო, ვადა – 36 თვე, საპროცენტო განაკვეთი – წლიური 36%.

6. კომპანიასა და მსესხებელს შორის 2012 წლის 9 თებერვალს გაფორმდა საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება №1845. ხელშეკრულების 1.1 პუნქტის თანახმად, კრედიტორის მიერ მსესხებელზე გაიცა კრედიტი 3 449 აშშ დოლარის ოდენობით, მიზნობრიობა – სამომხმარებლო, ვადა – 24 თვე, საპროცენტო განაკვეთი – წლიური 36%.

7. მხარეთა შორის გაფორმებული, მითითებული საკრედიტო ხელშეკრულებების საფუძველზე, პირველმა მოპასუხემ კომპანიისგან 2011 წლის 24 სექტემბერს მიიღო – 15 000 აშშ დოლარი, 2011 წლის 27 სექტემბერს – 10 000 აშშ დოლარი, 2011 წლის 28 სექტემბერს – 4 173 აშშ დოლარი, 2012 წლის 09 თებერვალს – 3 345 აშშ დოლარი.

8. კომპანიასა და ლ. კ-ვას (შემდეგში: მეორე მოპასუხე, მეორე აპელანტი, მეორე კასატორი) შორის 2011 წლის 23 სექტემბერს გაფორმდა საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება №486. ხელშეკრულების 1.1 პუნქტის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად კრედიტორი თანახმაა პერიოდულად განიხილოს მსესხებლისათვის ტრანშების სახით კრედიტების გამოყოფის საკითხი. კრედიტების საერთო ჯამი არ უნდა აღემატებოდეს საკრედიტო ხაზის ოდენობას. ხელშეკრულების 2.1 პუნქტის მიხედვით, საკრედიტო ხაზის მაქსიმალური თანხა განისაზღვრა 12 000 აშშ დოლარით ან მისი ეკვივალენტით სხვა ვალუტაში, საკრედიტო ხაზის მაქსიმალური ვადა – 60 თვე, სარგებლის მაქსიმალური ოდენობა – 60%, ყოველდღიური პირგა-

სამტეხლოს მაქსიმალური ოდენობა – 0.5% ყოველ ვადაგადაცე-
ლებულ დღეზე.

9. კომპანიასა და მეორე მოპასუხეს შორის 2011 წლის 30 სექ-
ტემბერს გაფორმდა საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკ-
რულება №1459. ხელშეკრულების 1.1 პუნქტის თანახმად, კრედი-
ტორის მიერ მსესხებელზე გაიცა კრედიტი 12 000 აშშ დოლარი,
მიზნობრიობა – სამომხმარებლო, ვადა – 36 თვე, საპროცენტო გა-
ნაკვეთი – წლიური 36%. აღნიშნული კრედიტის უზრუნველსაყო-
ფად გ. კ-ის საკუთრებაში არსებული უძრავ ქონებაზე გაფორმდა
იპოთეკის ხელშეკრულება №594.

10. კომპანიასა და მოსარჩელეს შორის 2011 წლის 23 სექტემ-
ბერს გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება №594, რომლის თანახ-
მად, იპოთეკარსა და მეორე მოპასუხეს შორის 2011 წლის 23 სექ-
ტემბერს შორის გაფორმებული №486 საკრედიტო ხაზით მომსა-
ხურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების
მიზნით, მესაკუთრემ დატვირთა მის საკუთრებაში არსებული უძ-
რავ ქონება, მდებარე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ..., ბინა 6.
იპოთეკის საგანი მხარეთა მიერ პირობითად შეფასდა 12 000 აშშ
დოლარად.

11. მხარეთა შორის გაფორმებული ზემოთ მითითებული საკრე-
დიტო ხელშეკრულების საფუძველზე, 2011 წლის 30 სექტემბერს,
მეორე მოპასუხემ კომპანიისგან მიიღო 11 640 აშშ დოლარი.

12. ნოტარიუსმა, 2012 წლის 16 ოქტომბერს გასცა სააღსრულე-
ბო ფურცელი №121122650, რომლის თანახმად, პირველ მოპასუ-
ხეს გააჩნია კომპანიის მიმართ შეუსრულებელი ვალდებულება, გა-
მომდინარე 21.09.2011 წლის №482 საკრედიტო ხაზით მომსახურე-
ბის და მისგან გამომდინარე 27.09.2011 წლის №1452 საკრედიტო
ხელშეკრულების საფუძველზე. აღსასრულებელი ვალდებულება,
2012 წლის 15 ოქტომბრის მდგომარეობით, განისაზღვრა 7 534.87
აშშ დოლარით, საიდანაც, 5 931.22 აშშ დოლარი ძირითადი თანხაა,
567.45 აშშ დოლარი – დარიცხული პროცენტი, 1 036.2 აშშ დოლარი
– ჯარიმა; ამასთან, 2012 წლის 15 ოქტომბრიდან, ძირითად თანხა-
ზე დარიცხული საურავი 0.3%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცი-
ლებულ დღეზე აღსრულების დაწყებამდე, ასევე, ძირითად თან-
ხაზე დასარიცხი კრედიტით სარგებლობის პროცენტი, ძირითადი
თანხის ლიური 36%-ის ოდენობით აღსრულების დაწყებამდე და
ადვოკატის მომსახურების ღირებულება საერთო დავალიანების –
7 534.87 აშშ დოლარის 5%. სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე
დადგინდა იპოთეკის საგნის, უძრავი ქონების, მდებარე ქ. თბილი-
სი,, ბინა 6, ს/კ: ..., რეალიზაცია.

13. აღმასრულებელმა, №121122650 სააღსრულებო ფურცლის

საფუძველზე, პირველ მოპასუხეს, 2012 წლის 23 ოქტომბერს გაუგზავნა წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ, რომელიც პირადად ადრესატმა 31.10.2012 წელს ჩაიბარა. მანამდე, 2012 წლის 24 აგვისტოს წერილით, მოსარჩელემ პირველ მოპასუხეს აცნობა, რომ რამდენადაც მას ერიცხებოდა კომპანიის მიმართ დავალიანება და ირღვეოდა კრედიტის დაფარვის ყოველთვიური გრაფიკი, წერილის მიღებიდან 7 დღის ვადაში უზრუნველყო დავალიანების დაფარვა და მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იპოთეკისაგან გათავისუფლება ან იპოთეკის საგნის შეცვლა. აღნიშნული წერილიც პირადად ადრესატს ჩაბარდა.

14. ნოტარიუსმა 2012 წლის 10 სექტემბერს გასცა სააღსრულებო ფურცელი №120957686, სადაც, მოვალედ მითითებულია – მეორე მოპასუხე, კრედიტორად – კომპანია, ხოლო, სავარაუდო მოვალე მესამე პირად – მოსარჩელე. შეუსრულებელი ფულადი ვალდებულება გამომდინარეობდა 23.09.2011 წელს გაფორმებული საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების №486 და მისგან გამომდინარე 30.09.2011 წელს გაფორმებული №1459 საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე. სააღსრულებო ფურცლის თანახმად, მოვალეს კრედიტორის სასარგებლოდ, 2012 წლის 7 სექტემბრის მდგომარეობით, დაეკისრა 15 656.2 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც 11 008.14 აშშ დოლარი არის ძირითადი თანხა, 2 062.47 აშშ დოლარი – დარიცხული პროცენტი, 2 585.50 აშშ დოლარი – ჯარიმა. ამასთან, 2012 წლის 7 სექტემბრიდან ძირითად თანხაზე საუარავი 0.3%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე აღსრულების დაწყებამდე, ასევე, ძირითად თანხაზე დასარიცხი კრედიტით სარგებლობის პროცენტი – ძირითადი თანხის წლიური 36%-ის ოდენობით აღსრულების დაწყებამდე და ადვოკატის მომსახურების ღირებულება საერთო დავალიანების – 15 656.2 აშშ დოლარის 4%-ის ოდენობით. სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დადგინდა იპოთეკის საგნის, უძრავი ქონების, მდებარე, ქ. თბილისი, ..., ბინა 6, ს/კ: ..., რეალიზაცია.

15. აღმასრულებელმა, №120957686 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, მეორე მოპასუხეს 2012 წლის 12 სექტემბერს გაუგზავნა წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ, რომელიც მისთვის გადასაცემად ჩაიბარა შვილმა 2012 წლის 17 სექტემბერს. მანამდე, 2012 წლის 24 აგვისტოს, მოსარჩელემ, მეორე მოპასუხეს წერილით აცნობა, რომ რამდენადაც მას ერიცხებოდა კომპანიის მიმართ დავალიანება და ირღვეოდა კრედიტის დაფარვის ყოველთვიური გრაფიკი, წერილის მიღებიდან 7 დღის ვადაში უზრუნველყო დავალიანების დაფარვა და მის სა-

კუთრებაში არსებული უძრავი ქონების იპოთეკისაგან გათავისუფლება ან იპოთეკის საგნის შეცვლა. აღნიშნული წერილი ასევე ჩაბარდა მეორე მოპასუხეს.

16. კომპანიასა და მოსარჩელეს შორის 2012 წლის 29 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება 2012 წლის 10 სექტემბერს ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში პირადი მოვალის ფულადი დავალიანების არაპირადი მოვალის მიერ შესრულებისა და გადახდის პირობების დადგენის შესახებ. ამ ხელშეკრულების თანახმად, შესაბამისი სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებულია სააღსრულებო წარმოება, სადაც მოსარჩელე/არაპირადი მოვალე, მეორე მოპასუხესთან ერთად მითითებულია მოვალედ, საიდან გამომდინარე მოსალოდნელი იძულებითი საჯარო აუქციონის შედეგების თავიდან აცილების მიზნით მოხდა შეთანხმება.

17. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება კრედიტორისათვის გადაეხადა ჯამში 16 501.8 აშშ დოლარი, რომელიც შედგებოდა შესაბამის სააღსრულებო ფურცელში მითითებული ფულადი დავალიანებისგან – 15 656.2 აშშ დოლარისგან და 2012 წლის 8 სექტემბრიდან – 2012 წლის 12 სექტემბრამდე, სესხის ძირითად თანხაზე – 11 008.14 აშშ დოლარზე დარიცხული 5 დღის სარგებლის – 54.25 აშშ დოლარის და ამავე 5 დღის განმავლობაში დარიცხული 5 დღის საურავისაგან – 165.1 აშშ დოლარისაგან, აგრეთვე იურისტის მომსახურების სახით გაწეული ხარჯის – 626.25 აშშ დოლარისგან, კერძო აღმასრულებლის მიერ გაწეული სააღსრულებო მომსახურების დაწყებისათვის კრედიტორის მიერ გადახდილი 407.8 ლარისაგან, რაც შეეხება კრედიტორისა და კერძო აღმასრულებელს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე კრედიტორზე დაკისრებული საზღაურის შევსებას 407.8 ლარით, მას მოვალე გადაიხდიდა აღმასრულებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანის გზით ამ ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ან კიდევ, მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, თუ ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს დასრულებული იქნება სამუშაო საათები. ხელშეკრულებითვე განისაზღვრა შეთანხმებული თანხის გადახდის გრაფიკი.

18. კომპანიასა და მოსარჩელეს შორის 2012 წლის 29 ოქტომბერს, გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩელემ გადაიხადა 1 900 აშშ დოლარი.

19. კერძო აღმასრულებლის წარმოებაში არსებული 10.09.2012 წ. და 16.10.2012 წ. გაცემული №120957686 და №121122650 სააღსრულებო ფურცლების საფუძველზე (კრედიტორი: კომპანია, მოვალეები: მოსარჩელე და მოპასუხეები): 1. აღსასრულებელი მოთ-

ხოვნის ოდენობამ შეადგინა: 8 667.81 აშშ დოლარი და 15 710.02 აშშ დოლარი; 2. აღსრულებული მოთხოვნა – კერძო აღმასრულებლის მოთხოვნის ოდენობა: 8 100.76 19 აშშ დოლარი და 14 682.26 აშშ დოლარი; 3. გადახდილი სააუქციონო მომსახურების საფასურის ოდენობა: 378.18 ლარი და 65.53 ლარი; 4. საფასური, რომელიც ექვემდებარებოდა ბიუროს ანგარიშზე გადარიცხვას – 443.71 ლარი; 5. თანხა, რომელიც ექვემდებარებოდა კრედიტორისათვის გადა-რიცხვას – 38 555.92 ლარი; 6. თანხა, რომელიც ექვემდებარებოდა კერძო აღმასრულებლისათვის გადარიცხვას – 2 089.24 ლარი, 7. თანხა, რომელიც ექვემდებარებოდა მოვალისათვის დაბრუნებას – 163 354.84 ლარი.

20. პირველი აუქციონი დაიწყო 16.01.2013 წელს და დასრულდა 24.01.2013 წელს. აღნიშნულ აუქციონზე მოსარჩელის საკუთრება-ში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება გაიყიდა 204 000 ლარად. შემძენი გახდა დ. გ-ძე (შემდეგში: მყიდველი), რომელ-მაც სრულად გადაიხადა მითითებული თანხა.

21. იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების მყიდველსა და მოსარჩელეს შორის 2013 წლის 18 მარტს გაფორმდა უძრავი ქონე-ბის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელემ გამოისყიდა უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისი, ..., ბინა 6. ნასყი-დობის ფასი განისაზღვრა 145 000 აშშ დოლარით. ამ ხელშეკრუ-ლებით შეძენილი უფლება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

22. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.03.2013 წლის გადაწყვეტილებით, მოსარჩელის მოთ-ხოვნები მეორე მოპასუხის მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მეორე მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად და-ეკისრა 14 682.26 აშშ დოლარის, 1 900 აშშ დოლარის და 1 631.21 ლარის გადახდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩი-ვარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მეორე მოპასუხეს მის სა-სარგებლოდ დაეკისრა წარმომადგენლის მომსახურებაზე განეუ-ლი ხარჯის ანაზღაურება 1 100 ლარის ოდენობით. აღნიშნული გა-დაწყვეტილებები შესულია კანონიერ ძალაში და მათზე გაცემუ-ლია სააღსრულებო ფურცლები.

23. სარჩელის მოთხოვნა

23.1 თბილისის საქალაქო სასამართლოში პირველი და მეორე მოპასუხეების წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელით, მოსარჩელემ მოითხოვა:

23.1.1 პირველი მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ 8 100 აშშ დოლარის დაკისრება;

23.1.2 პირველი მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ ზი-

ანის ანაზღაურების მიზნით 27 152.06 ლარის დაკისრება;

23.1.3 პირველი მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი აღსრულების საფასურის და აუქციონის ხარჯის ანაზღაურება 901 ლარის დაკისრება;

23.1.4 მეორე მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს ზიანის ანაზღაურება 46 546.25 ლარი;

23.1.5 პირველ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს წარმომადგენლის მომსახურებაზე განეული ხარჯის ანაზღაურება 1 750 ლარის ოდენობით.

24. მოპასუხეთა შესაგებელი

24.1 მოპასუხეებმა წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ სადავო სესხის ხელშეკრულებებით სესხის მიმღებად კი იყვნენ მითითებული, თუმცა რეალურად მათ თანხა არ მიუღიათ.

25. მეორე მოპასუხის შეგებებული სარჩელის მოთხოვნა

25.1 შეგებებული სარჩელით, მეორე მოპასუხემ, კომპანიასა და მას შორის 2011 წლის 23 სექტემბერს №486 სესხის/საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებისა და მის უზრუნველსაყოფად მოსარჩელესა და კომპანიას შორის დადებული №594 ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვა.

26. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

26.1 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, პირველ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 8 100 აშშ დოლარი, 27 152 ლარი და 901 ლარი, ხოლო მეორე მოპასუხეს 46 546.3 ლარი დაეკისრა. მეორე მოპასუხის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

27. მოპასუხეების სააპელაციო მოთხოვნა

27.1 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

28. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

28.1 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების 1.2, 1.4 ქვეპუნქტები და მე-3, მე-4 პუნქტები და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი დაკ-

მაყოფილდა ნაწილობრივ:

28.1.1 პირველ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5 381.7 ლარის გადახდა;

28.1.2 მეორე მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 7 084.8 ლარის გადახდა;

28.2 სააპელაციო სასამართლომ პირველ რიგში ყურადღება გაამახვილა მხარეთა შორის წინა დავაში მოსარჩელის სარჩელის საფუძვლებსა (2011 წლის 23 სექტემბერს, კომპანიასა და მეორე მოპასუხეს შორის გაფორმდა №486 საკრედიტო ხაზის მომსახურების შესახებ ხელშეკრულება. ხელშეკრულების საფუძველზე მეორე მოპასუხეს სესხის სახით გადაეცა 12 000 აშშ დოლარი, 60 თვის ვადით, წლიური 36%-ს დარიცხვით. მხარეთა შორის ასევე შეთანხმდა პირგასამტეხლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,5%-ს ოდენობით; – 2011 წლის 23 სექტემბრის საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე კრედიტორის მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, 2011 წლის 23 სექტემბერს, კომპანიასა და მოსარჩელეს შორის გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც იპოთეკით დაიტვირთა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე – თბილისი, ..., ბინა №6. აღნიშნული ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოვალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში იპოთეკარი უფლებამოსილი იქნებოდა მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მიემართა ნოტარიუსისთვის სააღსრულებო ფურცლის მისაღებად. – მეორე მოპასუხემ დაადგინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, გადააცილა სესხის დაფარვის ვადები. – ნოტარიუს ნ. ჯ-ის მიერ 2012 წლის 10 სექტემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც კრედიტორმა წარადგინა კერძო აღმასრულებელთან. სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, მეორე მოპასუხეს კომპანიის სასარგებლოდ დაეკისრა: სესხის ძირითადი თანხის დავალიანების – 11 008,14 აშშ დოლარის, საპროცენტო სარგებლის – 2 062,47 აშშ დოლარის, 2012 წლის 7 სექტემბრის მდგომარეობით დარიცხული პირგასამტეხლოს – 2 585,59 აშშ დოლარის გადახდა. მეორე მოპასუხეს ასევე დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა სესხის ძირითადი თანხის დავალიანების 0,3%-ს ოდენობით 2012 წლის 7 სექტემბრიდან აღსრულების დაწყებამდე, საპროცენტო სარგებლის სესხის ძირითადი თანხის დავალიანების წლიური 36%-ს გადახდა 2012 წლის 07 სექტემბრიდან აღსრულების დაწყებამდე და წარმომადგენლის დახმარებისთვის განეული ხარჯის გადახდა 15 656,20 აშშ

დოლარის 4%-ს ოდენობით. მეორე მოპასუხისთვის დაკისრებული თანხის გადახდევინების მიზნით იძულებით აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცა იპოთეკით დატვირთული, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონება. 2012 წლის 12 სექტემბერს, კერძო აღმასრულებელმა ნ. ბ-მა მოსარჩელეს გაუგზავნა წინადადება 2012 წლის 10 სექტემბრის სააღსრულებო ფურცლით დადგენილი ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების თაობაზე. 2012 წლის 29 ოქტომბერს, კომპანიასა და მოსარჩელეს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება 2012 წლის 10 სექტემბრის სააღსრულებო ფურცლით განსაზღვრული თანხა 15 656,20 აშშ დოლარი, ასევე, 2012 წლის 8 სექტემბრიდან 2012 წლის 12 სექტემბრამდე დარიცხული საპროცენტო სარგებელი – 54,25 აშშ დოლარი, ამავე პერიოდში დარიცხული პირგასამტეხლო – 165,1 აშშ დოლარი და წარმომადგენლის დახმარებისთვის განეული ხარჯი 626,25 აშშ დოლარი, სულ 16 501,8 აშშ დოლარი კომპანიისთვის გადაეხადა შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, არაუგვიანეს 2012 წლის 19 დეკემბრისა. – აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, 2012 წლის 30 ოქტომბერს მოსარჩელემ კომპანიას გადაუხადა 1 900 აშშ დოლარი. მოსარჩელემ ვერ შეძლო 2012 წლის 29 ოქტომბრის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. 2012 წლის 3 დეკემბერს, კომპანიის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა კერძო აღმასრულებელ ნ.ბ-ს და მოითხოვა სააღსრულებო წარმოების განახლება. – 2013 წლის 24 იანვარს, იძულებით აუქციონზე განხორციელდა იპოთეკით დატვირთული, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების რეალიზაცია. რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხის ნაწილით – 14 682,26 აშშ დოლარით დაიფარა კომპანიის მიმართ არსებული მეორე მოპასუხის დავალიანება. ამონაგები თანხიდან ასევე დაიფარა აუქციონის ხარჯი, საიდანაც მეორე მოპასუხეს დავალიანების პროპორციული თანხა შეადგენდა 1 633 ლარს. – ვინაიდან იპოთეკის საგნის რეალიზაციის შედეგად დაიფარა კრედიტორის მოთხოვნა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 1 900 აშშ დოლარის, 14 482,26 აშშ დოლარის და 1 633 ლარის გადახდა) და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილად მიჩნეულ ფაქტობრივ გარემოებებზე (ამ გადაწყვეტილებით დადგენილადაა მიჩნეული, რომ 2012 წლის 10 სექტემბრის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იძულებით საჯარო აუქციონზე განხორციელდა იპოთეკით დატვირთული, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების რეალიზაცია. უძრავი ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხიდან 14 682,26 აშშ დოლარით დაიფარა მეორე მოპასუხის დავალიანება კომპანიის მიმართ, ხოლო 2

532,95 ლარით დაიფარა სააღსრულებო წარმოების ხარჯი. ამასთან, დადგენილია, რომ იპოთეკის საგნის რეალიზაციით აღსრულდა სხვა პირის მიმართ არსებული მოთხოვნაც, მეორე მოპასუხის მიმართ არსებული მოთხოვნა შეადგენდა საერთო მოთხოვნის 64,4%. შესაბამისად, სააღსრულებო წარმოებისთვის გაწეულ ხარჯში მეორე მოპასუხის მიმართ არსებული მოთხოვნის პროპორციული წილი შეადგენდა 1 631,21 ლარს (2 532,95 ლარის 64,4%). ამდენად, დადგენილი იყო, რომ მოსარჩელემ, იპოთეკის საგნის მესაკუთრემ, მეორე მოპასუხის ნაცვლად დააკმაყოფილა კრედიტორი კომპანია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 292-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე (თუ მესაკუთრე არ არის პირადი მოვალე, მოთხოვნა გადადის მასზე მაშინ, როცა მესაკუთრე კრედიტორს დააკმაყოფილებს), მოსარჩელეს, როგორც იპოთეკის საგნის მესაკუთრეზე, გადავიდა კომპანიის მოთხოვნა მეორე მოპასუხის მიმართ. შესაბამისად, მეორე მოპასუხეს წარმოეშვა მოსარჩელისთვის 14 682,26 აშშ დოლარის და 1 900 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება), რის შედეგად, პალატა მიიჩნევს რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.03.2013 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს პრეიუდიციული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს განსახილველ დავაში მეორე მოპასუხის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელსა და მეორე მოპასუხის მიერ წარმოდგენილ შეგუებულ სარჩელთან მიმართებაში (სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია: ბ) ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ); კერძოდ, იმ ფაქტებთან მიმართებაში, სადაც მეორე მოპასუხე მიუთითებს 2012 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებისა და იპოთეკის ხელშეკრულების მოწვევნებით (თვალთმაქცურ) ხასიათსა და იმ გარემოებაზე, რომ ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული თანხა მას არ მიუღია და ამდენად, მას არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა იპოთეკის საგნის რეალიზაციით გამოწვეულ ზიანზე (ამ კუთხით გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიხედვით, დადგენილია, რომ 2012 წლის 17 სექტემბერს, მეორე მოპასუხესა და მოსარჩელეს ჩაბარდათ კერძო აღმასრულებლის მიერ გაგზავნილი წინადადება 2012 წლის 10 სექტემბრის სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული ვალდებულების ნე-

ბაყოფლობით შესრულების შესახებ. შესაბამისად, მითითებული პერიოდებიდან მოსარჩელეს, როგორც იპოთეკის საგნის მესაკუთრეს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 292-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, წარმოეშვა უფლება ნებაყოფლობით დაეკმაყოფილებინა კრედიტორი კომპანია. 2012 წლის 29 ოქტომბერს, კომპანიასა და მოსარჩელეს შორის გაფორმდა შეთანხმება 2012 წლის 10 სექტემბრის სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული ვალდებულების იპოთეკის საგნის მესაკუთრის, მოსარჩელის, მიერ შესრულების თაობაზე. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება პირადი მოვალის – მეორე მოპასუხის ნაცვლად დაეკმაყოფილებინა კრედიტორი კომპანია. 2012 წლის 30 ოქტომბერს, მეორე მოპასუხის შესასრულებელი ვალდებულების ანგარიშში, მოსარჩელის მიერ კომპანიის სასარგებლოდ გადახდილია 1 900 აშშ დოლარი. ამასთან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოსარჩელეს არ ჰქონდა ვალდებულება აღნიშნული შეთანხმების და მის მიერ კომპანიის თანხის გადახდის შესახებ ეცნობებინა მეორე მოპასუხისთვის. თუმცა თავის მხრივ, მეორე მოპასუხისთვის 2012 წლის 17 სექტემბერს ცნობილი გახდა კომპანიის მიერ სააღსრულებო წარმოების დანყების შესახებ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიხედვით, დადგენილია, რომ 2011 წლის 23 სექტემბერს კომპანიასა და მეორე მოპასუხეს შორის გაფორმდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება. შესაბამისად, მხარეთა შორის წარმოიშვა ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობები. ვალდებულებითი ურთიერთობა კრედიტორსა და მოვალეს შორის წარმოშობილი ურთიერთობაა, ამიტომ მას ფარდობითი ურთიერთობა ეწოდება. ვალდებულებით ურთიერთობებში პირის მოთხოვნა შეზღუდულია მოვალის მიერ. კრედიტორს შეუძლია, მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება მხოლოდ მოვალეს, რომელსაც ხელშეკრულებით აქვს ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო მოვალე ვალდებულია, შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები კრედიტორის სასარგებლოდ. განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება იკისრა მეორე მოპასუხემ, რაც დადასტურდა ხელშეკრულებაზე ხელმოწერით. შესაბამისად, ვალდებულებითი, ფარდობითი (რელატიური) ურთიერთობიდან გამომდინარე, კრედიტორი კომპანია უფლებამოსილია მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება მხოლოდ მოვალეს ანუ მეორე მოპასუხეს. ამ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არ აქვს სხვა პირის მიერ იყო თუ არა აღებული და გახარჯული სესხის თანხა, ვინაიდან იმ შემთხვევაშიც კი, თუ მივიჩნივთ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა აიღეს და მოიხმარეს მესამე პირებმა, აღნიშნული ფაქტი არ გამორიცხ-

ხავს მოპასუხე მხარის ვალდებულებას) მეორე მოპასუხის მიმართ აღძრულ სარჩელთან მიმართებაში, პალატამ დადგენილად მიიჩნია რომ ზემოთ მითითებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მეორე მოპასუხისთვის დაკისრებული 14 682,26 აშშ დოლარი წარმოადგენს იმ თანხას, რომელიც იპოთეკის საგნის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხიდან მეორე მოპასუხის დავალიანების ანგარიშში გადაეცა კომპანიას. დადგენილია ის ფაქტიც, რომ განსახილველ საქმეში, სამოქალაქო კოდექსის 292.2 მუხლის საფუძველზე, მოსარჩელეს მოთხოვნა დაყენებული აქვს მხოლოდ პირველი მოპასუხის მიმართ (8 100 აშშ დოლარი).

28.3 სააპელაციო სასამართლომ დამატებით გაამახვილა ყურადღება სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძვლებზე და განმარტა, რომ 2013 წლის 18 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების დღეს 145 000 აშშ დოლარი სებ-ის კურსით შეადგენდა 240 932 ლარს, რომელსაც უნდა გამოაკლდეს მისთვის აუქციონიდან ნამეტი თანხის სახით გადარიცხული 163 354.84 ლარი, შესაბამისად, ზიანის თანხა შეადგენს 77 577.16 ლარს. ამ თანხიდან, მოსარჩელე მხარე პირველი მოპასუხისგან ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას 27 152.06 ლარს, რაც წარმოადგენდა 77 567.16 ლარის 35%-ს; მეორე მოპასუხისგან – ზიანის ანაზღაურებას 46 546.25 ლარს, რაც წარმოადგენდა 77 567.16 ლარის 60%-ს. მოსარჩელე მოპასუხეებისაგან ზიანის ანაზღაურების სახით, ჯამში, 73 698.31 ლარს მოითხოვდა, რადგან ზიანის ანაზღაურების თანხას – 77 577.16 ლარს, მოსარჩელის მითითებით, უნდა გამოკლებოდა კომპანიისთვის მოსათხოვი თანხა – 3 878.85 ლარი. რაც შეეხებოდა სარჩელით მოთხოვნილი 8 100 აშშ დოლარს და სააღსრულებო წარმოების დროს განეულ 901 ლარს, მოსარჩელის მითითებით, მისი ანაზღაურების ვალდებულება მოპასუხე პირველ მოპასუხეს წარმოეშვა სამოქალაქო კოდექსის 292-ე მუხლის საფუძველზე.

28.4 სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ დავაში მოსარჩელეს მეორე მოპასუხისგან 14 682.26 აშშ დოლარი აღარ მოუთხოვია, ვინაიდან აღნიშნული თანხა სხვა დავის ფარგლებში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უკვე დაკისრებული იყო.

28.5 სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.1 და 1.3 პუნქტების (მოპასუხე ნ. ც-ძეს მოსარჩელე გ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 8 100 აშშ დოლარის გადახდა) (მოპასუხე ნ.ც-ძეს მოსარჩელე გ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 901 ლარის გადახდა) გაუქმების საფუძველი.

28.6 სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელეს

პირველი მოპასუხის მიმართ 8 100 აშშ დოლარისა და 901 ლარის მოთხოვნის უფლება წარმოეშვა, ვინაიდან, კრედიტორი კომპანია, მოსარჩელემ, როგორც იპოთეკის საგნის მესაკუთრემ, ამავე საგნის რეალიზაციის შედეგად დააკმაყოფილა.

28.7 სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი მოპასუხის განმარტება, რომ მას ვალდებულება არ წარმოეშვა, ვინაიდან სესხის თანხა არ გამოუყენებია, აღნიშნულის საპირისპიროდ კი განმარტა, რომ მიუხედავად სესხის მიზნობრიობისა, აგრეთვე იმ გარემოებისა თუ ვინ გამოიყენა აღნიშნული თანხა, სწორედ პირველ მოპასუხესთან იყო ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება გაფორმებული, რის გამოც თავადვე იყო პასუხისმგებელი კრედიტორის წინაშე. სააპელაციო სასამართლომ აგრეთვე არ გაიზიარა პრეტენზია, რომ პირველი მოპასუხისთვის ცნობილი არ იყო სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობის შესახებ, ვინაიდან საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ მას გაეგზავნა და ჩაბარდა სააღსრულებო წარმოების დაწყების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია.

28.8 სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადანეყვებილების სარეზოლუციო ნაწილის 1.2 (მოპასუხე ნ. ც-ძეს გ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 27 152 ლარის გადახდა) და 1.4 (მოპასუხე ლ. კ-ვას მოსარჩელე გ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 46 546.3 ლარის გადახდა) პუნქტების ნაწილში უნდა გაუქმებულიყო და ამ ნაწილებში მიღებულიყო ახალი გადანეყვებილება.

28.9 სასარჩელო განცხადებით, როგორც აღინიშნა, მოსარჩელის ერთ-ერთი სასარჩელო მოთხოვნა პირველი მოპასუხისთვის – 27 152 ლარის, ხოლო მეორე მოპასუხისთვის – 46 546.3 ლარის დაკისრება იყო. სარჩელის მიხედვით, ეს იყო ის ზიანი, რაც მოსარჩელეს (იპოთეკის საგნის მესაკუთრეს, რომელიც არ არის კრედიტორის პირადი მოვალე) მიადგა მოპასუხეების მიერ კრედიტორი კომპანიის მიმართ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შეუსრულებლობით. კერძოდ, დადგენილი იყო, რომ პირველი მოპასუხის შემთხვევაში ეს ვალდებულება 8 100.76 აშშ დოლარი, ხოლო მეორე მოპასუხის შემთხვევაში 14 682.26 აშშ დოლარი იყო.

28.10 სააპელაციო სასამართლომ, ზიანის დაკისრების შესახებ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, თუმცა, ამავე ზიანის ოდენობის შესახებ განმარტა, რომ ზიანის ოდენობად ის თანხა უნდა განსაზღვრულიყო, რაც მოსარჩელემ დახარჯა პირვანდელი მდგომარეობის აღსადგენად (ანუ აუქციონზე რეალიზებულ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დასაბრუნებლად), რასაც უნდა გამოაკლდეს იპოთეკის საგნის რეალიზაციის

შემდეგ მოსარჩელისთვის გადაცემული „ნამეტი თანხა“ (163 354.84 ლარი).

28.11 ზიანის ოდენობის გამოთვლისთვის სააპელაციო სასამართლომ შემდეგ გარემოებებზე გაამახვილა ყურადღება:

28.11.1 კომპანიასთან გაფორმებული სესხის ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი მოპასუხეების ფულადი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება;

28.11.2 მოპასუხეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, მოხდა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების რეალიზაცია აუქციონზე 204 000 ლარად, საიდანაც ამ უკანასკნელს (მესაკუთრეს) დაუბრუნდა 163 354.84 ლარი;

28.11.3 აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა იყო 8 100.76 აშშ დოლარი (პირველი მოპასუხის ნაწილში) და 14 682.26 აშშ დოლარი (მეორე მოპასუხის ნაწილში);

28.11.4 მოგვიანებით მოსარჩელემ მოახდინა ქონების გამოსყიდვა შემძენისაგან 145 000 აშშ დოლარად, რაც იმდროინდელი კურსით შეადგენდა 240 932 ლარს;

28.11.5 შესაბამისად, მოსარჩელის პირვანდელი მდგომარეობის აღსადგენად ანუ აუქციონზე რეალიზებულ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დასაბრუნებლად დასჭირდა დამატებით 77 577.16 ლარი (240 932 ლარს – 163 354.84 ლარი), სწორედ 77 577.16 ლარია მოსარჩელისთვის მიყენებული ზიანის საერთო ოდენობა.

28.11.6 შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მართებულად გაიზიარა მოსარჩელე მხარის განმარტება, რომ აღნიშნული შეადგენს მის ზიანს, რასაც უნდა გამოკლებოდა მის მიერ მომავალში კომპანიისთვის მოსათხოვი თანხა – 3 878.85 ლარი.

28.11.7 ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელის ქონების რეალიზაციის შემდეგ კრედიტორს გადაერიცხა 38 555.92 ლარი, საიდანაც დაფარულია პირველი მოპასუხის ფულადი დავალიანება 13 706.62 ლარი (8 100 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში), მთლიანი დავალიანების 35.55% და 24 849.3 ლარით, 14 682.26 აშშ დოლარის ექვივალენტით, მთლიანი ვალის 64.45%, მეორე მოპასუხის დავალიანება.

28.11.8 კომპანიის მიერ მისთვის მიყენებული ზიანის ოდენობაა – 3 878.85 ლარი, ანუ მთლიანი ზიანის 5% (77 577.16 ლარის 5%).

28.11.9 შესაბამისად, მოსარჩელის განმარტებით, პირველი მოპასუხის მიერ მისთვის მიყენებული ზიანის ოდენობაა 27 152.06 ლარი (77 577.16 ლარის 35%), ხოლო მეორე მოპასუხის მიერ მისთვის მიყენებული ზიანის ოდენობაა 46 546.25 ლარი (77 577.16 ლარის 60%).

28.12 ზემოაღნიშნულთან ერთად სააპელაციო სასამართლომ განმარტა, საქალაქო სასამართლომ, ზიანის გამოთვლისას არ გაითვალისწინა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას წინამდებარე დავაზე, მეორე მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ სხვა დავის ფარგლებში უკვე ჰქონდა დაკისრებული 14 682.26 აშშ დოლარი, ხოლო, პირველ მოპასუხეს 8 100 აშშ დოლარი, აღნიშნული თანხები კი უნდა გამოკლებოდა ზიანის საერთო ოდენობას, რომელიც დაეკისრებოდათ მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ.

28.13 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რომ არ მომხდარიყო, მოსარჩელის უსაფუძვლოდ გამდიდრება მოპასუხეების ხარჯზე 8 100 და 14 682.26 აშშ დოლარით, პირველ მოპასუხეს 5 381.7 ლარი, ხოლო მეორე მოპასუხეს 7 084.8 ლარი უნდა დაკისრებოდათ მოსარჩელის სასარგებლოდ.

28.14 სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მეორე მოპასუხის შეგებებული სარჩელის მოთხოვნა, მოსარჩელესა და კრედიტორ კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულებების ბათილად ცნობის თაობაზე დაუსაბუთებელი იყო.

29. მოსარჩელის საკასაციო საჩივარი

29.1 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების, მოპასუხეების სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ ნაწილის გაუქმებისა და ამ ნაწილში მოპასუხეებისთვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

29.2 კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, ამასთან ზიანის გამოთვლისას იხელმძღვანელა არა აღსრულების ეტაპზე არსებული კურსით ლარის მიმართ, არამედ გადაწყვეტილების მიღების დროს არსებული კურსით, რის გამოც მოპასუხეებს იმაზე ნაკლები თანხა დაეკისრათ ვიდრე უნდა გადახდილიყო მოსარჩელისთვის.

30. მოპასუხეთა საკასაციო საჩივარი

30.1 სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმაც, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, როგორც უკანონო და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს, აგრეთვე, წარდგენილი დამატებითი მტკიცებულებების მიღებასა და საქმეზე დართვაზე შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გაუქმება მოითხოვეს.

30.2 კასატორების განმარტებით, ისინი ხელშეკრულებაში მი-

თითებული არიან სესხის მიმღებებად, თუმცა, რეალურად მათ თან-
ხა არ მიუღიათ.

30.3 კასატორების მტკიცებით საექვო გარემოებაში მოხდა აუქ-
ციონზე გაყიდული უძრავი ქონების მოსარჩელის მიერ გამოსყიდ-
ვა, ამასთან საგულისხმოა, რომ უძრავი ქონების აუქციონზე შემ-
ძენის განმარტებით, გამოსყიდვა მისი ნების სანინააღმდეგოდ
მოხდა, ნასყიდობის ფასი კი მოსარჩელეს სრულად არ გადაუხდია,
რაც კიდევ უფრო აბსურდულს ხდის მოსარჩელის მოთხოვნას ზიან-
ის შესახებ.

30.4 კასატორების განმარტებით, დაუსაბუთებელი იყო მოსარ-
ჩელის მითითება ზიანის შესახებ, ამასთან, არ იყო წარდგენილი
ისეთი მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მო-
პასუხეების მოქმედების უშუალო შედეგს წარმოადგენდა დამდგა-
რი ზიანი.

31. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

31.1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა პალატის 2019 წლის 20 მაისის განჩინებით მოპასუხეთა და
მოსარჩელის საკასაციო საჩივრები, წარმოებაშია მიღებული, ხო-
ლო 2020 წლის 30 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივრები
დასაშვებადაა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა
გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრების სამართლებრივი დასა-
ბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემოწმების შედეგად
მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმა-
ყოფილდეს, ხოლო მოპასუხეთა საკასაციო საჩივარი უნდა დაკმა-
ყოფილდეს ნაწილობრივ.

32. სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელა-
ციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი
გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ
წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია
(შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას
იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო საა-
პელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც
განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-
დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამო-
ყენება ან/და განმარტება.

33. უპირველესყოვლისა საკასაციო სასამართლო ყურადღებას
გამახვილებს მესამე კასატორის სასარჩელო მოთხოვნებზე, რომ-
ლის მიხედვითაც, მოსარჩელე პირველი მოპასუხისთვის 8 100 აშშ

დოლარის, ზიანის ანაზღაურების მიზნით 27 152.06 ლარისა და აუქციონის ხარჯის 901 ლარის, ხოლო, მეორე მოპასუხისთვის ზიანის ანაზღაურების მიზნით 46 546.25 ლარის დაკისრებას მოითხოვდა.

34. იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრის დაცვის მიზანს ემსახურება სსკ-ის 292-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილიც ადგენს ქცევის შემდეგ წესს: უძრავი ნივთის მესაკუთრე უფლებამოსილია დააკმაყოფილოს კრედიტორი, როცა მოთხოვნის შესრულების ვადა უკვე დადგა, ან როცა პირადი მოვალე უფლებამოსილია შეასრულოს შესაბამისი მოქმედება. მითითებული დანაწესი იმპერატიულია. მხარეებს არ შეუძლიათ, ვალდებულებითსამართლებრივი გარიგებით შეცვალონ ნორმის სანივთოსამართლებრივი შედეგები (გ.რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი II, თბილისი 2018, მუხლი 292, ველი 2). ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, თუ მესაკუთრე არ არის პირადი მოვალე, მოთხოვნა გადადის მასზე მაშინ, როცა მესაკუთრე კრედიტორს დააკმაყოფილებს. აღნიშნული დებულება კანონისმიერი ცესიის (*cessio legis*) შემთხვევაა, რომელიც კრედიტორის დაკმაყოფილების სამართლებრივი შედეგია. მესაკუთრე უნდა მოქმედებდეს საკუთარი ნივთის იპოთეკისაგან გამოსხნის განზრახვით (შდრ. ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 91-92; გ.რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი II, თბილისი 2018, მუხლი 292, ველი 13, 14; *Lieder, in Muko BGB, 7 Aufl., 2017, §1143, Rn.8.*). უძრავი ქონების მესაკუთრეს სწორედ მოვალემ უნდა აუნაზღაუროს ის ფინანსური ხარჯი, რასაც იგი პირადი მოვალის ვალდებულების შესასრულებლად გაიღებს. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ გამსესხებლის სასარგებლოდ მსესხებლის ვალდებულების შესრულება მოსარჩელეს სსკ-ის 292-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სწორედ მოპასუხეების მიმართ წარმოუშობს თანხის დაკისრების მოთხოვნის უფლებას (შდრ. სუსგ №ას-363-339-2017, 16.06.2017წ.).

35. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა, პირველი მოპასუხის მიმართ 8 100 აშშ დოლარის თაობაზე სსკ-ის 292.2 მუხლს ეფუძნებოდა, რომლის მიხედვითაც თუ მესაკუთრე არ არის პირადი მოვალე, მოთხოვნა გადადის მასზე მაშინ, როდესაც მესაკუთრე კრედიტორს დააკმაყოფილებს.

36. განსახილველ შემთხვევაში ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილია და საკასაციო სასამართლო კვლავ გაამახვილებს ყურადღებას, რომ კრედიტორ კომპანიასა და პირველ მოპასუხეს შორის დაიდო საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება, აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში კრედიტორი კომპანია თანახმა იყო გარკვეული პირობებისა და მოთხოვნების

ნების შესაბამისად მსესხებელზე გაეცა ტრანშეები. ამავე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, მოსარჩელესა და კრედიტორ კომპანიას შორის დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, პირველი მოპასუხის ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენებულია მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება – მდებარე ქ. თბილისში, ..., ბინა 6. იპოთეკის საგანი მხარეთა მიერ პირობითად შეფასდა 30 000 აშშ დოლარად. დასახელებული საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ფარგლებში, კრედიტორ კომპანიასა და პირველ მოპასუხეს შორის დაიდო რამდენიმე საკრედიტო ხელშეკრულება (ვრცლად იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 1-7 პუნქტები).

37. პირველ მოპასუხესა და კრედიტორ კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულებებით (იხ. 35-ე პუნქტი) გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, 2012 წლის 16 ოქტომბერს, ნოტარიუსმა გასცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის მიხედვითაც პირველი მოპასუხის ვალდებულება 7 534.87 აშშ დოლარი იყო, ამავე სააღსრულებო ფურცლით განისაზღვრა იპოთეკის საგნის რეალიზაცია. დასახელებული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღმასრულებელმა ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების მიზნით წინადადებით მიმართა პირველ მოპასუხეს, ამავე საკითხზე, პირველ მოპასუხეს მოსარჩელემ აცნობა 2012 წლის 24 აგვისტოს წერილით. აღსანიშნავია, რომ ორივე შეტყობინება მიიღო ადრესატმა.

38. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირველ მოპასუხესთან გაფორმებული საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებისა და საკრედიტო ხელშეკრულებების მსგავსად, მეორე მოპასუხესთანაც გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც ასევე რამდენჯერმე გაიცა სესხი მეორე მოპასუხეზე, ამასთან, აღნიშნული ვალდებულებების უზრუნველსაყოფადაც, კრედიტორ კომპანიასა და მოსარჩელეს შორის გაფორმდა უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის თაობაზე შეთანხმება (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 8-11 პუნქტები).

39. პირველი მოპასუხის მსგავსად, მეორე მოპასუხის მიმართაც, ნოტარიუსმა გასცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის მიხედვითაც აღსასრულებელი ვალდებულება 15 656.2 აშშ დოლარი იყო, ამასთან დადგინდა მოსარჩელის უძრავი ქონების რეალიზაცია, ვალდებულების დაფარვის მიზნით. ამავე სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღმასრულებელმა მეორე მოპასუხეს გაუგზავნა წინადადება ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების თაობაზე, მანამდე, თავად მოსარჩელემ შეატყობინა დავალიანების შესახებ და მოსთხოვა მის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატ-

ვირთული ქონების გათავისუფლება ვალდებულებისგან (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 14-15 პუნქტები).

40. მეორე მოპასუხის ვალდებულების შესრულების მიზნით მოსარჩელესა და კრედიტორ კომპანიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება არაპირადი მოვალის მიერ (მოსარჩელის) პირადი მოვალის (მეორე მოპასუხის) ვალდებულების შესრულების შესახებ, რომლის ფარგლებშიც მოსარჩელემ მხოლოდ 1 900 აშშ დოლარი გადაიხადა, ხოლო, დანარჩენ ნაწილზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მეორე მოპასუხესთან ერთადაა მითითებული.

41. ამდენად, დავალიანებისა და ვალდებულების დარღვევების დარიცხული პროცენტის საბოლოო ჯამში, აღსასრულებელი მოთხოვნა წარმოადგენდა 8 100 აშშ დოლარსა და 14 682.26 აშშ დოლარს. აუქციონის შედეგად კრედიტორს 38 555.92 ლარი გადაერიცხა, კერძო აღმასრულებელს 2 089.24 ლარი, ხოლო, ზედმეტად ამოღებული თანხა 163 354.84 ლარი დაუბრუნდა მოსარჩელეს.

42. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აუქციონში გამარჯვებული პირისგან, რომელმაც უძრავი ქონება 204 000 ლარად შეიძინა, აღნიშნული ქონება თავდაპირველმა მესაკუთრემ (მოსარჩელემ) გამოისყიდა 145 000 აშშ დოლარად რაც იმდროინდელი ლარის დოლართან მიმართების კურსით 240 932 ლარი იყო. შესაბამისად მესამე კასატორის მოთხოვნა ძირითანხის ნაწილში (8 100 აშშ დოლარისა და 14 682.26 აშშ დოლარის), სწორედ მოპასუხეების მიერ სესხად მიღებული და სააღსრულებო ფურცლით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისი იყო, ხოლო, ზიანის ანაზღაურების მიზნით მოთხოვნილი თანხა – 77 577.16 ლარი, ის ნამეტი თანხა იყო, რომელიც მოსარჩელემ საკუთარი უძრავი ქონების გამოსასყიდად გადაიხადა, ამასთან, დასახელებული თანხა მოსარჩელემ 73 698.31 ლარამდე შეამცირა, ხოლო, სხვაობა კრედიტორი კომპანიის ვალდებულებად განსაზღვრა რასაც სხვა დავაში მოითხოვდა.

43. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს, მოპასუხეების მიერ სესხად აღებული თანხებისა და უძრავი ქონების გამოსყიდვისას ნამეტი თანხის მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრების საკითხი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მოპასუხეს, სხვა დავის ფარგლებში, მოსარჩელის სასარგებლოდ უკვე დაეკისრა 14 682.26 აშშ დოლარი, რაც წინამდებარე განხილვის საგანი ვერ იქნება, ხოლო, პირველი მოპასუხისთვის დასაკისრებელი თანხა 8 100 აშშ დოლარი, ზუსტად იმავე საფუძვლებიდან გამომდინარეობს რაც, წინა დავაში, პირველი მოპასუხის აღსასრულებელი ვალდებულების საფუძველი იყო.

44. პირველი მოპასუხის ვალდებულების შესახებ ძირი თანხის მოსარჩელისთვის გადახდის თაობაზე, იმ საფუძველზე, რომ მოსარჩელემ, როგორც არაპირადმა მოვალემ, პირადი მოვალის ნაცვლად შეასრულა კრედიტორის წინაშე ვალდებულება (მოსარჩელის საკუთრებაში არსებული, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზებით მოხდა ვალდებულების შესრულება), საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელესა და მეორე მოპასუხეს შორის სხვა დავაში ამავე საფუძველზე დაეკისრა მეორე მოპასუხეს ძირი თანხის გადახდა, ამდენად, წინამდებარე დავაში, იმავე პირობით, სწორედ პირველი მოპასუხე იყო პირადი მოვალე, რომელსაც სესხად ჰქონდა თანხა აღებული, შესაბამისად თავადვე პასუხისმგებელი ვალდებულების შესრულებაზე კრედიტორის წინაშე ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის გათვალისწინებით, ხოლო, ვინაიდან, კრედიტორის წინაშე არაპირადი მოვალის, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზებით მოხდა ვალდებულების შესრულება, კრედიტორს სწორედ მოსარჩელე ჩაენაცვლა ურთიერთობაში და ამ უკანასკნელს წარმოეშვა ძირი თანხის მოთხოვნის უფლება პირველი მოპასუხის, როგორც მოვალის მიმართ.

45. საკასაციო სასამართლო ორივე მოპასუხის მიმართ, ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის პასუხად სსკ-ის 412-ე მუხლზე მიუთითებს „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს“ და განმარტავს, სსკ-ის 412-ე მუხლი „უშუალო მიზეზობრიობის“ გარდა, განამტკიცებს ზიანის განჭვრეტადობის კრიტერიუმსაც. ზიანის სავარაუდოობა გულისხმობს, რომ მხოლოდ ზიანის შესაძლებლობის დაშვება მიზეზობრივი კავშირის დადგენისათვის საკმარისი არ არის. მითითებული ნორმა მოითხოვს, რომ ზიანი მაღალი ალბათობით იყოს განჭვრეტადი, თუმცა კონკრეტული შედეგის განჭვრეტა აუცილებელი არ არის. მოვალეს დაუშვებელია დაეკისროს იმის ანაზღაურება, რისი გათვალისწინებაც მას არ შეეძლო. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ, ვერ დაამტკიცა, მოპასუხეების ქმედების უშუალო შედეგად დამდგარი ზიანის არსებობის ფაქტი რაც გამორიცხავს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. საგულისხმოა, რომ მოსარჩელის მტკიცებით ნამეტი თანხის გადახდით, უძრავი ქონების აუქციონში გამარჯვებული ახალი მესაკუთრისგან გამოსყიდვამ, ზიანი მიაყენა, თუმცა, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია საჯარო აუქციონის მეშვეობით ტარდება, ამასთან, მესაკუთრისთვის ცნობილი იყო აუქციონის ჩატარების შესახებ და არ იყო შეზღუდული თავადაც

მიეღო აუქციონში მონაწილეობა.

46. საკასაციო სასამართლო მოპასუხეთა საკასაციო პრეტენზიების პასუხად, კვლავ მათ მიერ სესხად აღებული თანხის დაბრუნების შესახებ დასაბუთებას მიუბრუნდება და განმარტავს, რომ ის გარემოება მათ უშუალოდ გამოიყენეს სესხის თანხა თუ სხვა პირს გადასცეს, ვერ გახდება ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში უშუალო მოვალისთვის თანხის დაკისრების გამომრიცხავი გარემოება. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სესხი უშუალოდ აქვთ მიღებული, სააღსრულებო ფურცლებიც მოპასუხეების სახელზეა გაცემული, ხოლო, ვალდებულების სრულად შესრულების შესახებ მტკიცებულებები არ წარუდგენიათ სასამართლოსთვის.

47. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

48. საკასაციო სასამართლო მოპასუხეების პრეტენზიის შესახებ წარდგენილი მტკიცებულებების საქმეზე დართვაზე უარის თქმის საოქმო განჩინებებზე უთითებენ, თუმცა, დამატებით არ უთითებენ, თუ რა მტკიცებულებებზეა საუბარი, რა გავლენას ახდენენ საქმის სწორად გადაწყვეტაზე, რატომ ვერ მოხდა საქმის შესაბამის ეტაპზე მათი წარდგენა და ა.შ. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით სამართალწარმოების კონკრეტულ ეტაპებზე მხარე ვალდებულია შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების გათვალისწინებით თავად და დროულად წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები მის მიერ დაყენებული მოთხოვნების დასადასტურებლად, თუ მოწინააღმდეგის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნების გასაქარწყლებლად. ამდენად, მოცემულ ეტაპზე შესაბამისი დასაბუთების არ არსებობის პირობებში, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მხარის მიერ ზოგადად მითითებული მტკიცებულებების საქმეზე დართვასა თუ მათ შეფასებაზე.

49. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა გან-

სახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

50. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტიში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიცხადებოდა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელის მიერ დაყენებული სასარჩელო მოთხოვნები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ამასთან, მოსარჩელე განთავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, შესაბამისად, იმ მოთხოვნების პროპორციულად, რომელიც მოსარჩელის სასარგებლოდ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებმა სახელმწიფო ბიუჯეტს უნდა გადაუხადონ სახელმწიფო ბაჟი, კერძოდ, პირველმა მოპასუხემ უნდა გადაიხადოს 511.04 ლარი და 729 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, ხოლო მეორე მოპასუხემ – 570 ლარი. ამასთანავე, ვინაიდან, პირველ ინსტანციაში, მოსარჩელის მოთხოვნების მხოლოდ პირველი მოპასუხის მიმართ და ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ამ უკანასკნელმა მოსარჩელეს უნდა გადაუხადოს იურიდიული მომსახურებისთვის გაწეული ხარჯის ნაწილი – 358 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 53-ე, 408-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე შ ი ტ ა:

1. გ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ნ. ც-ისა და ლ. კ-ვას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტები და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება:

3.1. გ. კ-ის სარჩელი მოპასუხე ნ.ც-ძისთვის 27 152 ლარის დაკისრებისა და ლ. კ-ვასთვის 46 546.3 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

4. ნ. ც-ძისა და ლ. კ-ვას საკასაციო მოთხოვნა დამატებითი მტკიცებულებების დართვაზე აპელანტების შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

5. ნ. ც-ძეს, გ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისროს წარმომადგენლის მომსახურებაზე გაწეული ხარჯის ნაწილი – 358 ლარი;

6. ნ. ც-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150) სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟი – 511.04 ლარისა და 729 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა;

7. ლ. კ-ვას სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150) სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟი – 570 ლარის გადახდა;

8. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობები

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-256-2019

4 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების და-
დებულად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ა. და ფ. ა-მა ქ. თბილისში, ... ქუჩაზე მდებარე კუთვნილი 243 კვ.მ უძრავი ნივთის, ს/კ-ით ... (შემდეგში ტექსტში ასევე მოხსენიებული, როგორც უძრავი ქონება ან უძრავი ნივთი) ერთი ოთახი თავისი შუშაბანდითა და აბაზანა-სამზარეულოთი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სადავო საცხოვრებელი სადგომი), ხელწერილის საფუძველზე, 1954 წელს სარგებლობასა და მფლობელობაში ე.წ. „ატესტუპნიოს“ პირობით, 5 000 მანეთის გადახდის სანაცვლოდ, რ. და ნ. ე-ებს (შემდეგში ტექსტში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც სადავო საცხოვრებელი სადგომის უწინდელი/ყოფილი მოსარგებლეები) გადასცეს. ამ უკანასკნელებმა ხელწერილის გაფორმებისას, 5 000 მანეთიდან მესაკუთრეებს 3 000 მანეთი გადასცეს, ხოლო დარჩენილი 2 000 მანეთის გადახდის ვალდებულება არაუგვიანეს 1954 წლის დეკემბრამდე იკისრეს. ხსენებული ხელშეკრულების საფუძველზე, მათ 1954 წლის სექტემბრიდან სადავო ფართში მუდმივად ცხოვრების უფლება ყოველთვიური შესაბამისი ქირის გადახდის სანაცვლოდ მიეცათ.

2. 109.65 კვ.მ სადავო საცხოვრებელ სადგომს ამჟამად ნ. ვ-ი და ა. მ-ი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელეები, აპელანტები, კასატორები ან მოსარგებლეები) ფლობენ.

3. უძრავი ქონება, ს/კ-ით, 2012 წლის 16 ნოემბრიდან ნ. გ-ძისა და ი. დ-ძის საკუთრებად აღირიცხა.

4. ნ. გ-ძემ და ი. დ-ძემ 2013 წლის 15 თებერვალს მოსარგებლეების (მოსარჩელეების) წინააღმდეგ აღძრული სარჩელით (შემდეგში ტექსტში ასევე მოხსენიებული, როგორც უწინდელი სარჩელი),

შესაბამისი კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ, მოსარგებლეთა მხრიდან სადავო ქონების მფლობელობის შეწყვეტა მოითხოვეს, თუმცა მათ მიერ სარჩელის გამოსმობის გამო, სარჩელი განუხილველად დარჩა.

5. 2015 წლის 25 დეკემბრიდან უძრავი ქონების, მათ შორის, სადავო საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრეს ს.ა. ე.ა-ჯ. (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, მონინააღმდეგე მხარე ან სადავო უძრავი ქონების მესაკუთრე) წარმოადგენს.

6. 2017 წლის 26 იანვარს, მოსარჩელებმა სარჩელი აღძრეს მოპასუხის წინააღმდეგ, სადავო უძრავ ნივთზე ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის მოთხოვნით. მოსარჩელები წინამდებარე განჩინების 1-5 პუნქტებში აღწერილ გარემოებებზე მითითებით, ამტკიცებდნენ, რომ 1954 წლის პირველი სექტემბრიდან სანოტარო წესის დაუცველად დადებული ნასყიდობის ე.წ. „ატსტუპნოის“ ხელშეკრულების საფუძველზე, უწყვეტად, უვადოდ სარგებლობენ სადავო საცხოვრებელი სადგომით. მოსარჩელეთა მოსარგებლეობა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, დაადასტურეს თავად სადავო უძრავი ნივთის თავდაპირველმა მესაკუთრეებმაც, რომლებმაც მოსარგებლების წინააღმდეგ სარჩელი აღძრეს სასამართლოში, და კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ, უძრავ ნივთზე მათი მფლობელობის შეწყვეტა მოითხოვეს. გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელები სადავო საცხოვრებელ სადგომს 30 წელზე მეტია უწყვეტად ფლობენ, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მუხლის საფუძველზე, არსებობდა ხსენებულ უძრავ ნივთზე ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

7. მოპასუხემ სარჩელზე წარადგინა შესაგებელი, სადაც გრაფაში – „ცნობს თუ არა სარჩელს“ მონიშნა, რომ ცნობდა სარჩელს, თუმცა გრაფაში „მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნაზე“ მიუთითა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იყო უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ ეთანხმებოდა. ამასთან, აღნიშნული შესაგებელი (24.11.2017წ.) არ პასუხობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 201-ე მუხლის მოთხოვნებს და, აქედან გამომდინარე, არაკვალიფიციური (დაუსაბუთებელი) იყო.

8. 2018 წლის 16 მაისს, სასამართლო მოსამზადებელ სხდომაზე ერთი დღით ადრე, მოპასუხემ სასამართლოში წარადგინა მოსაზრება სარჩელზე, რომლითაც დააზუსტა შესაგებელი და სარჩე-

ლის უარყოფის ფაქტობრივ საფუძვლად მიუთითა, რომ მოსარჩე-
ლეები არ არიან 1954 წლის 1 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრუ-
ლების მხარეები და სადავოდ გახადა ნასყიდობის ხელშეკრულე-
ბაში არსებული პირების კავშირი მოსარჩელებთან.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის გა-
დანწყვეტილებით, სარჩელი უარყოფილ იქნა. სასამართლომ დავის
მოსაწესრიგებლად, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას
წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის
პირველი, მე-2 და მე-3 მუხლები გამოიყენა.

10. აღნიშნული გადანწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივ-
რეს მოსარჩელებმა, გასაჩივრებული გადანწყვეტილების გაუქმე-
ბის, ახალი გადანწყვეტილების მიღებისა და სარჩელის დაკმაყოფი-
ლების მოთხოვნით.

**11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 24 დე-
კემბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილ-
და; უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადანწყვეტილება.**

11.1. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ წინამდებარე
განჩინებით მსჯელობის საგანს წარმოადგენდა, კლინდებოდა თუ
არა სადავო საცხოვრებელ სადგომზე მოსარჩელეთა მესაკუთ-
რეებად ცნობის საფუძველი. პალატის მოსაზრებით, პირველი ინ-
სტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გა-
რემოვნების გათვალისწინებით, სამართლებრივად სწორად შეა-
ფასა და მართებულად დაადგინა, რომ მხარეთა შორის არსებული
ურთიერთობა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარ-
მოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით უნ-
და მოწესრიგებულიყო. ხსენებული კანონი აწესრიგებს საცხოვ-
რებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921
წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 იანვრამდე წარმოშობილ იმ
ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ მოწესრიგებას მოით-
ხოვს (კანონის პირველი მუხლი). სპეციალური მოწესრიგება უკავ-
შირდება უშუალოდ ამ ურთიერთობების სპეციფიკას, კერძოდ,
ურთიერთობებს, რომლებიც არსებობდა ზემოაღნიშნულ პერი-
ოდში ფაქტის სახით, განსახილველმა კანონმა მიანიჭა იურიდიუ-
ლი მნიშვნელობა და დაუკავშირა მას კონკრეტული სამართლებ-
რივი შედეგები;

11.2. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, უდავო იყო, რომ
სადავო ხელწერილი ა. და ფ. ა-სა და რ. და ნ. ე-ებს შორის გაფორ-
მდა. ამ ხელწერილიდან გამომდინარე, ნივთით სარგებლობისა და
მფლობელობის უფლება მიენიჭა რ. და ნ. ე-ებს, რომლებთანაც მო-
სარჩელეთა კავშირი არ დგინდებოდა. პალატამ გაიზიარა პირველი
ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელებს არ მი-

უთითებიათ რაიმე ფაქტობრივი გარემოება, რომლითაც დადასტურდებოდა, თუ ვისგან მიიღეს მათ ან მათმა წინაპრებმა მფლობელობის უფლება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით, ან დადეს თუ არა ასეთი გარიგება;

11.3. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, თუ ვინ უნდა ჩაითვალოს მოსარგებლე პირად და ფიზიკური პირის, თუნდაც მესაკუთრის აღიარებით, სასამართლო პირს ვერ მიიჩნევს ასეთად. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეთა მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა, პირველ რიგში, საკუთარი მოსარგებლეობის დამტკიცება, ხოლო შემდეგ მათი უფლებამონაცვლეობა იმ ხელშეკრულების მყიდველ ან გამყიდველ მხარესთან, რომლის დადებულად ცნობასაც მოითხოვენ ან ვინმესთან გარიგების დადების ფაქტის დადასტურება, რაც მათ ვერ განახორციელებს/დაამტკიცეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, მოსარჩელები არც ხელშეკრულების მონაწილე სუბიექტები და არც მემკვიდრეები არ არიან, არ არსებობდა სადავო ქონებაზე მათი საკუთრების წარმოშობის წინაპირობა.

ამდენად, რადგანაც მოსარჩელები არ წარმოადგენენ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შესაბამის უფლებამოსილ პირებს, მოითხოვონ სადავო უძრავ ნივთზე ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობა, არ არსებობდა მათი სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები.

12. აღნიშნული განჩინება, საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების, ახალი გადანყვეტილების მიღებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

12.1. მოპასუხის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში 2017 წლის 24 ნოემბერს წარდგენილი შესაგებელი დაუსაბუთებელია, მოპასუხე სრულად ცნობს სარჩელს და შესაგებელი არ შეიცავს რაიმე მითითებასა და შედავებას სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე, შესაბამისად, ის არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 201-ე მუხლის მოთხოვნებს;

12.2. საქმის არსებითად განხილვის დროს, ახსნა-განმარტებების ეტაპზე გაირკვა, რომ მოპასუხემ სრულად შეცვალა თავისი პოზიცია, აღარ ცნო სარჩელი და წარადგინა ახალი არგუმენტები მის მიერ სარჩელის აუღიარებლობასთან დაკავშირებით. მთავარ სხდომაზე გაირკვა, რომ იმ დღეს მტკიცებულებებთან

ერთად მოპასუხეს წარმოდგენილი ჰქონდა დოკუმენტი სახელწოდებით – „მოსაზრება სარჩელზე“, რომელიც თავისი შინაარსით დაზუსტებული შესაგებელია, მაშინ, როდესაც, მოსამზადებელი სხდომის მთავარ სხდომად გარდაქმნამდე, მათ არ დაუყენებიათ შუამდგომლობა დაზუსტებული შესაგებლის წარმოდგენის თაობაზე;

ამასთან, აღნიშნული დოკუმენტი, გარდა იმისა, რომ მთავარ სხდომაზე იქნა წარმოდგენილი, არ პასუხობდა სსსკ-ის 177-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების მოთხოვნებს.

12.3. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ მოპასუხე ვალდებულია, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარადგინოს შესაგებელი. საქმის მასალებით ირკვევა, რომ სასამართლომ მიიღო განჩინება მოპასუხისათვის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტაციის საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარების თაობაზე. საჯარო შეტყობინება გამოქვეყნდა 2017 წლის 17 ივლისს და ვებგვერდიდან მოიხსნა იმავე წლის 24 ივლისს. მიუხედავად ამისა, მოპასუხემ სასამართლოში შესაგებელი წარადგინა 2017 წლის 24 ნოემბერს და აღნიშნულ თარიღამდე სასამართლომ არ შეასრულა საპროცესო კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება, შესაგებლის წარუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ. ამ საპროცესო წესის დაურღვევლობის შემთხვევაშიც, საქმის საბოლოო შედეგი სხვაგვარი იქნებოდა.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, რადგანაც საქმეზე არ არის დადგენილი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება, რასაც შედეგად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა, პალატა მიიჩნევს, რომ გამოიკვეთა სსსკ-ის 412-ე მუხლის წინაპირობები, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე, ხელახალი განხილვის მიზნით, იმავე სასამართლოს დაუბრუნდეს.

14. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებზე და

სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩევეებმა ნაწილობრივ დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია წარმოადგინეს.

15. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩევეები ისე არ მიიჩნია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3.1 მუხლით გათვალისწინებულ მოსარგებლეებად, რომ ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები (სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რასაც შედეგად არასწორი ფაქტების დადგენა და სამართლებრივი დასკვნების მიღება მოჰყვა.

16. მოცემულ შემთხვევაში, უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის შესახებ მოსარჩელეთა მოთხოვნის საფუძვლიანობას „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის 3.1 (მოსარგებლე, რომელმაც მესაკუთრესთან სანოტარო წესის დაუცველად დადო წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება და რომელიც არანაკლებ 30 წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობს საცხოვრებელ სადგომს, უფლებამოსილია სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობა) და 2.2. (ამ კანონით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები თანაბრად ვრცელდება მესაკუთრესა და მოსარგებლეზე, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებზე) მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი წინაპირობების შესრულება და ამ მოთხოვნის გამომრიცხველი ან მისი განხორციელების ხელისშემშლელი გარემოებების არარსებობა განაპირობებს.

17. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული სამართლებრივი საფუძვლით მოთხოვნის განსახორციელებლად აუცილებელია შემდეგი ფაქტობრივი შემადგენლობის განხორციელება:

ა) მოსარჩელე არანაკლებ 30 წლის განმავლობაში უწყვეტად უნდა ფლობდეს საცხოვრებელ სადგომს; ბ) სადგომის ფლო-

ბას მოსარჩელე უნდა ახორციელებდეს მასსა, (ან მის უფლებრივ წინამორბედსა) და მესაკუთრეს (ან მის უფლებრივ წინამორბედს) შორის სანოტარო წესის დაუცველად დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე.

17.1. მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით წესრიგდება არა ყველა ის ურთიერთობა, რაც უძრავი ნივთის თაობაზე დადებულ ფორმდაუცველ გარიგებასთანაა დაკავშირებული, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც მოითხოვს სპეციალურ მოწესრიგებას. მითითებული კანონის მოქმედების ფარგლებში სამოქალაქო ბრუნვის მონაწილენი ვალდებული იყვნენ, დაეცვათ უძრავ ქონებაზე საკუთრების წარმოშობის იმ დროს მოქმედი წესები, მაგრამ, ზოგიერთ შემთხვევებში, ამ წესების დარღვევა უკავშირდებოდა გარკვეულ ობიექტურ გარემოებებს, რაც დამახასიათებელი იყო იმ დროს მოქმედი სამართლებრივი სივრცისათვის, კერძოდ, სამოქალაქო უფლებათა განხორციელება იმ დროს ბევრად იყო დამოკიდებული ადმინისტრაციულსამართლებრივ დანაწესებზე, რაც ხელს უშლიდა თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვის დამკვიდრებას. ასეთ ვითარებაში ხშირად მხარეთა ურთიერთობა არ სცილდებოდა მათი ფაქტობრივი ქონებრივი ურთიერთობის ფარგლებს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სპეციალური მოწესრიგება უკავშირდება უშუალოდ ამ ურთიერთობების სპეციფიკას, კერძოდ, ურთიერთობებს, რომლებიც არსებობდა ზემოაღნიშნულ პერიოდში ფაქტის სახით, განსახილველმა კანონმა მიანიჭა იურიდიული მნიშვნელობა და დაუკავშირა მას კონკრეტული სამართლებრივი შედეგები. ეს კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 იანვრამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ მოწესრიგებას მოითხოვს (მდრ. სუსგ №ას-1193-1138-2013, 31.03.2015).

18. განსახილველ შემთხვევაში უდავოა, რომ საცხოვრებელ სადგომს 1954 წლიდან ფლობდნენ ადრინდელი მოსარგებლეები მესაკუთრესთან სანოტარო წესის დაუცველად დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე.

ასევე, უდავოა, რომ უძრავი ქონების ამჟამინდელ მესაკუთრეს მოპასუხე წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სარჩელში მითითებული პირველი ფაქტობრივი გარემოება დაზუსტებული შესაგებლით („მოსაზრებით სარჩელზე“) მოპასუხემ სადავოდ გახადა მხოლოდ მოსარჩელეთა მიერ სადგომით

სარგებლობის სამართლებრივი საფუძვლის ნაწილში, სახელდობრ, მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელები არ წარმოადგენდნენ ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს, მაგრამ არ შესაძლებელია იმ ფაქტის, რომ მოსარჩელები დღემდე უწყვეტად და უფადოდ სარგებლობენ საცხოვრებელი სადგომით (იხ. სარჩელი და „მოსაზრება სარჩელზე“).

სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია, მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან მოპასუხე შესაგებლით არ ედავება სარჩელის ფაქტობრივ გარემოებას მოსარჩელეთა მხრიდან სადავო საცხოვრებელი სადგომის უწყვეტად და უფადოდ სარგებლობის ნაწილში, საკასაციო სასამართლოს აღნიშნული გარემოება დადასტურებლად მიაჩნია.

ამასთან, პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ საქმეში წარმოდგენილი ადრინდელი და შემდგომში განუხილველად დატოვებული სარჩელით მოპასუხის უფლებრივი წინამორბედები ადასტურებდნენ იმ ფაქტს, რომ მოსარჩელები სადავო საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლებს წარმოადგენდნენ. პალატის მოსაზრებით, აღნიშნული საპროცესო დოკუმენტი განსახილველი დავის ფარგლებში სავსებით აკმაყოფილებდა სსსკ-ის 102.2 მუხლით გათვალისწინებულ წერილობითი მტკიცებულების სტანდარტს, თუმცა სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა აღნიშნული დოკუმენტი სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად. აქედან გამომდინარე, მან საქმარისი დასაბუთების გარეშე გამოიტანა დასკვნა სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე.

19. საკასაციო პალატის შეფასებით, მხარეთა შორის ძირითად სადავო საკითხს წარმოადგენს ის, არიან თუ არა მოსარჩელები სადგომის ადრინდელი მოსარგებლების უფლებამონაცვლები.

საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს კასატორთა პრეტენზიას სასამართლოს მხრიდან მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტის დარღვევის თაობაზე და განმარტავს, რომ ზემოთ მითითებული უდავო ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლოს აძლევდა საშუალებას, დაეშვა პრეზუმფცია, რომ

მოსარჩელები უწინდელი მოსარგებლების უფლებამონაცვლები არიან. პრეზუმირებული ფაქტის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე კი, მისი უარყოფა ეკისრება მხარეს, რომლის წინააღმდეგაც ეს ვარაუდი მოქმედებს.

სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ამავდროულად მეორე ნაწილით განსაზღვრულია მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი, რომლის თანახმადაც სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ამდენად, საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები (მხარეთა განმარტებები, სარჩელი და შესაგებელი, სადგომის უწინდელი მოსარგებლების სარჩელი), შეაფასოს უდავო ფაქტობრივი გარემოებები და არსებული პრეზუმფციის გათვალისწინებით, სწორად გაანალიზოს მხარეებს შორის მტკიცებების ტვირთი.

საკასაციო პალატის განმარტებით, სასამართლოს ვალდებულებაა, სწორი მიმართულება მისცეს მტკიცებით საქმიანობას, რაც გულისხმობს იმას, რომ მან საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების განსაზღვრის შემდეგ სადავო და უდავო ფაქტები უნდა გამოიჯნოს ერთმანეთისგან. სადავო ფაქტები მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს წარმოადგენს და მტკიცების ტვირთის განაწილების პროცესიც სწორედ აქ პოვებს გამოვლინებას. სასამართლომ, როგორც საპროცესო საქმიანობის სუბიექტმა, მტკიცების ტვირთი იმგვარად უნდა გაანალიზოს, რომ საფრთხე არ შეექმნას მხარეთა მატერიალურსამართლებრივი უფლების რეალიზაციას. მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი პროცესუალური წესი მოცემულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მითითებული ნორმა საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლთან კავშირით ქმნის იმ დასკვნის საფუძველს, რომ მხარეს, რომელიც სასამართლოს მიმართავს კონკრეტული მოთხოვნით, აწევს, როგორც ამ მოთხოვნის საფუძველად არსებული ფაქტების მითითების, ასევე – მათი დამტკიცების, ანუ მტკიცებულებების წარდგენის ტვირთი. როგორც წესი, ფაქტის მითითებისა და მისი დამტკიცების ტვირთი მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, თუმცა არც ისაა გამორიცხუ-

ლი, რომ მატერიალურსამართლებრივი ნორმით ერთ მხარეს მხოლოდ ფაქტის მითითების ტვირთი ეკისრებოდა, ხოლო მეორე მხარეს სანინალმდებოს დამტკიცების ტვირთი (შდრ. სუსგ №ას-1485-1401-2012).

20. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ თავდაპირველად მოპასუხემ სარჩელზე არაკვალიფიციური და ბუნდოვანი შესაგებელი წარადგინა. მოგვიანებით მან კი დააზუსტა შეპასუხება, თუმცა საყურადღებოა, რომ აღნიშნული, მოპასუხემ მოსამზადებელი სხდომის წინა დღეს გააკეთა, რაც მოსარჩევეებისთვის მხოლოდ მოსამზადებელი სხდომის მთავარ სხდომაში გადაზრდის შემდეგ გახდა ცნობილი. ხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორთა პრეტენზიას, რომ მათ არ მიეცათ გონივრული შესაძლებლობა და ვადა შესაბამისი პოზიცია და მტკიცებულებები წარედგინათ მოპასუხის ახალ პოზიციასთან დაკავშირებით.

21. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები და, შესაბამისად, არასრულყოფილად დაადგინა ამ ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის ფაქტობრივი წანამძღვრები, ამასთან, არ გამოიკვლია საქმის გადანწყვეტისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, სწორად არ განაწილა მხარეებს შორის მტკიცების ტვირთი, რამაც საბოლოო ჯამში არასწორი გადანწყვეტილების მიღება განაპირობა. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ, საქმის ხელახალი განხილვისას, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს და ობიექტურად შეაფასოს როგორც სარჩელსა და შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი საფუძვლები, ისე – მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები და მიიღოს გადანწყვეტილება.

22. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადანწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდე-

ბარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3-ე, 408-ე, 412-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ვ-ისა და ა. მ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 24 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას ნარკომოპილი ურთიერთობები

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-1545-2019

5 ივნისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: საცხოვრებელი სადგომის გამოსყიდვა

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების
სარეზოლუციო ნაწილი

1.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

კოლეგიის 2018 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით ს. მ-ის (შემდეგში: მოსარჩელე ან კასატორი) სარჩელი დაკმაყოფილდა; დადგინდა მოსარჩელის მიერ უძრავი ქონების, მდებარე ქ. თბილისში,, ს/კ, 1/2 ნილის გამოსყიდვა და მისთვის საკუთრებაში გადაცემა, რაც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია გ. ბ-ისა და მ. ბ-ის (შემდეგში: მოპასუხეები ან აპელანტები) სახელზე, ამ უკანასკნელთათვის სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის თანხის 3 579 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ.

2. მოპასუხეთა სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

2.1. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა (მოპასუხე გ. ბ-ის უფლებამონაცვლემ გ. ბ-მა), რომელთაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ დასაბუთებით, რომ სასამართლომ საქმეზე არასრულად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა.

2.2. აპელანტების განმარტებით გასაჩივრებული გადაწყვეტილებით უდავოდ დადგენილია, რომ 01.06.1957 წელს მოსარჩელის უფლებრივ წინამორბედს და ა. კ-ს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზედაც 12 000 მანეთის გადახდის სანაცვლოდ ა. კ-მა გაასხვისა კუთვნილი უძრავი ნივთის ნაწილი, მდებარე: ქ. თბილისი,, აპელანტები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ ა. კ-ს და მოსარჩელის უფლებრივ წინამორბედს შორის ხელშეკრულების გაფორმებიდან რამდენიმე დღეში, კერძოდ, 03.06.1957 წელს ა. კ-ს და მოპასუხეთა უფლებრივ წინამორბედს ი. ბ-ს შორის ასევე გაფორმდა უძრავი ნივთის მდებარე: ქ. თბილისი, ... 1/2 ნაწილზე ნასყიდობის ხელშეკრულება;

2.3. აპელანტების განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ მათ უფლებრივ წინამორბედს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეძენილი ჰქონდა უძრავი ნივთის, მდებარე ზემოხსენებულ მისამართზე, 1/2 ნაწილზე საკუთრების უფლება, აღნიშნული ქონება 03.06.1957 წლიდან 03.12.2015 წლამდე ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში რეგისტრირებული იყო სწორედ მოპასუხეთა წინამორბედის საკუთრებად, ხოლო 03.12.2015 წლიდან უძრავი ნივთი საჯარო რეესტრში მოპასუხეთა საკუთრებად დარეგისტრირდა, საკუთრების წარმოშობის საფუძველს კი მათ სასარგებლოდ გაცემული სამკვიდრო მონაწილეობა წარმოადგენს. აპელანტები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზეც, რომ სადავო საცხოვრებელი სახლის ნაწილზე 01.06.1957 წლიდან 09.03.2007 წლამდე რეგისტრირებული იყო მოსარჩელის მეუღლის საკუთრების უფლება, ხო-

ლო 09.03.2007 წლის სამკვიდრო მონუმობის საფუძველზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება მოსარჩელის სახელზე დარეგისტრირდა, რომელმაც 23.08.2010 წლის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება შეიღს – ლ. მ-ს (ა. დ-ს) გადასცა;

2.4. აპელანტების მტკიცებით, მოსარჩელემ 07.01.1972 წელს გარდაცვლილი მეუღლის სამკვიდრო ფაქტობრივი დაუფლების გზით მიიღო, კერძოდ, მის სახელზე მეუღლის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მონუმობა 01.03.2007 წელს გაიცა. მოსარჩელე სადავო საცხოვრებელი სახლის მისამართზე რეგისტრირებულია არა იმიტომ, რომ ის ამ მისამართზე მდებარე საცხოვრებელი სახლის მოსარგებლეა, არამედ იმიტომ, რომ მან და მისმა მეუღლემ ამ მისამართზე მესაკუთრესთან სანოტარო წესით დამონმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საცხოვრებელი სახლის □ ნაწილზე საკუთრების უფლება შეიძინეს. აპელანტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მოსარჩელის უფლებრივი წინამორბედის მიერ სადავო საცხოვრებელი სახლის $\frac{1}{2}$ ნაწილზე ნასყიდობის ხელშეკრულება მისი უფლებრივი წინამორბედის მიერ სახლის $\frac{1}{2}$ ნაწილზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას რამდენიმე დღით წინ უსწრებდა. ამის გათვალისწინებით აპელანტები არ იზიარებენ გასაჩივრებული გადაწყვეტილებას დასკვნას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის უფლებრივმა წინამორბედმა მოპასუხეთა უფლებრივ წინამორბედთან გაფორმებული დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე მოიპოვა უფლება სადავო უძრავ ქონებაზეც.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

3.2.1 უდავოა და საქმეში წარმოდგენილი 01.06.1957 წლის ნასყიდობის ხელშეკრულებით დგინდება, რომ 01.06.1957 წელს, ერთი მხრივ, მოსარჩელის უფლებრივ წინამორბედს ა. მ-ს და ა. კ-ს შორის უძრავ ნივთზე, მდებარე: ქ. თბილისი, $\frac{1}{2}$ ნაწილზე ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის საფუძველზეც 12 000 მანეთის გადახდის სანაცვლოდ ა. კ-მა ა. მ-ს ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლება გადასცა;

3.2.2 მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ 03.06.1957 წელს, ერთი მხრივ, მოპასუხე აპელანტების უფლებრივ წინამორბედს ი. ბ-სა და ა. კ-ს შორის უძრავ ნივთზე მდებარე: ქ. თბილისი, 1/2 ნაწილზე ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის საფუძველზეც ა. ბ-მა ნასყიდობის საგანზე მოიპოვა საკუთრების უფლება;

3.2.3 საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ უძრავი ნივთი, მდებარე: ქ. თბილისი, (ს/კ), რეგისტრირებულია ა. დ-ის (1/2 ნაწილი) და მოპასუხეების (1/2 ნაწილი) თანასაკუთრებაშია;

3.2.4 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსსგ თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 07.02.2017 წლის საინფორმაციო ბარათით დასტურდება, რომ მოსარჩელე (პირადი №), 1957 წლის 11 მარტიდან რეგისტრირებულია მისამართზე: თბილისი,

3.3. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს შეფასებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა იმაში გამოიხატება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასრულად გამოიკვლია მოთხოვნის საფუძვლიანობისათვის არსებითი მნიშვნელობის შესახებ ფაქტობრივი გარემოება. კერძოდ, მართალია, სასამართლომ დაადგინა, რომ 1957 წლიდან მოსარჩელე რეგისტრირებულია სადავო საცხოვრებელი სახლის მისამართზე და იხდის კომუნალურ გადასახადებს, თუმცა, სადავო საკითხის გადასაწყვეტად, კერძოდ, წარმოადგენს თუ არა მოსარჩელე „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდეგში: სპეციალური კანონი; 24 ივნისი 2016 წ.; №5601-III) გათვალისწინებულ მოსარგებლეს, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა ის უდავო გარემოება, რომ, მართალია, თვითონ მოსარჩელე 1957 წლიდან რეგისტრირებულია და ცხოვრობს სადავო მისამართზე, თუმცა, ის ა. მ-ის მეუღლეა, ამ უკანასკნელმა კი 01.06.1957 წელს ა. კ-თან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, რამდენიმე დღით წინ უსწრებდა მოპასუხეთა უფლებრივ წინამორბედთან (ი. ბ-თან) სადავო საცხოვრებელ სახლზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას, ქ. თბილისში, ... მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/2 ნაწილზე საკუთრების უფლება შეიძინა. საგულისხმოა აღინიშნოს ისიც, რომ მოსარჩელე 01.03.2007 წლის სამკვიდრო მონაშთის საფუძველზე, როგორც ა. მ-ის პირველი რიგის მემკვიდრემ, მამკვიდრებლის (ა. მ-ის) დანაშთი ქონება მიიღო სადავო საცხოვრებელი სახლის მისამართზე და უძრავი ნივთის 1/2 ნაწილის მესაკუთრედ დარეგისტრირდა.

3.4. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასა-

მართლმომ დაასკვნა, რომ ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რომ მოსარჩელე 1957 წლიდან რეგისტრირებულია სადავო საცხოვრებელი სახლის მისამართზე და თუნდაც ამავე მისამართზე იხდის კომუნალურ გადასახადებს, არ ქმნის პრეზუმფციას, რომ მოსარჩელე სადავო საცხოვრებელ სახლს მისი სარგებლობის დათმობის შესახებ გარიგების საფუძველზე ფლობს და არის მოსარჩელე. ამ მიმართებით სააპელაციო სასამართლომ კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება იმ უდავო გარემოებებზე, რომ მოსარჩელის უფლებრივმა წინამორბედმა სადავო საცხოვრებელი სახლის $\frac{1}{2}$ ნაწილზე საკუთრების უფლება მოიპოვა მოპასუხის უფლებრივი წინამორბედის მიერ სახლის მეორე ნახევარზე საკუთრების უფლების წარმოშობამდე რამდენიმე დღით ადრე და სწორედ ამ პერიოდიდან – 1957 წლიდან არის მოსარჩელე მხარე სადავო საცხოვრებელი სახლის მისამართზე რეგისტრირებული. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია დამაჯერებელი ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ თუ მოსარჩელის (მისი ოჯახის) ინტერესს მოპასუხეთა სახელზე რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლის მეორე ნაწილიც (1/2) წარმოადგენდა, 1957 წელს მოსარჩელის მეუღლემ რატომ ვერ შეძლო ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება საცხოვრებელი სახლის სადავოდ ქცეულ ნახევარ ნაწილზე. ამ მიმართებით მოსარჩელე მხარე მხოლოდ იმაზე მითითებით შემოიფარგლა, რომ იმხანად მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ერთ პირს მთლიანი ქონების შეძენის უფლება არ ჰქონდა. მოსარჩელის ეს არგუმენტი სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა, რადგან უდავო გარემოებაა, რომ მოსარჩელის მეუღლესთან და მოპასუხეთა უფლებრივ წინამორბედთან გარიგების დადებამდე საცხოვრებელი სახლს ერთი მესაკუთრე ჰყავდა, რომელმაც ჯერ მოსარჩელის უფლებრივ წინამორბედთან გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილზე, ხოლო რამდენიმე დღეში გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე უძრავი ნივთის მეორე ნახევარი მოპასუხეთა უფლებრივ წინამორბედს მიჰყიდა.

3.5. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სპეციალური კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1997 წლის 25 ნოემბრამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს. კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსარგებლე არის პირი, რომელიც ამ კანონის ამოქმედების მომენტისათვის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს

მესაკუთრესთან სანოტარო წესის დაუცველად დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ან პირი, რომელმაც მფლობელობის უფლება მიიღო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3.6. მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ არ დადასტურდა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელე სადავო საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლეს წარმოადგენს, რომელსაც მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების საფუძველზე, ამასთან, მხარეს სადავო საცხოვრებელ სადგომზე უფლების მოპოვების სხვა საფუძველზე არ მიუთითებია; აქედან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობს სპეციალური კანონის საფუძველზე მოსარჩელის მოსარგებლედ ცნობის წინაპირობა, რაც სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივ და სამართლებრივი საფუძველს გამორიცხავს, რის გამოც სარჩელი უარყოფილი იქნა.

4. მოსარჩელის საკასაციო საჩივარი

4.1. მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით (იხ. საკასაციო საჩივარი):

4.1.1. 2005 წლის მდგომარეობით სადავო ქონება ან გარდაცვლილი ა. მ-ის (მოსარჩელის მეუღლის) სახელზე ირიცხებოდა, რომელიც 1972 წლის 7 იანვარს გარდაიცვალა, სამკვიდრო მიიღო მეუღლემ (მოსარჩელემ), რაც მოიცავდა საცხოვრებელი სახლის $\frac{1}{2}$ ნაწილს მიწის ნაკვეთთან ერთად. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, უძრავი ნივთი მოიცავდა 158 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ 99.41 კვმ ფართის – შენობა-ნაგებობას; ამ ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილი 1967 წლამდე იყო მოპასუხეთა უფლებრივი წინამორბედის – ი. ბ-ის მფლობელობასა და სარგებლობაში, შემდეგ მისი ოჯახი სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად და 1967 წლიდან ი.ბ-ს ამ ფართში არ უცხოვრია. სწორედ ამ დროიდან მოყოლებული მოსარჩელის ოჯახი ქონებას სრულად ფლობს, მათ შორის – სახლის სადავო ნაწილსაც, რომელიც აპელნტთა მიერ უფლების ბოროტად გამოყენების შედეგად 2015 წლიდან რეგისტრირებულია მოპასუხეთა საკუთრებად;

4.1.2. მოსარჩელე კეთილსინდისიერი მფლობელია და მისი, როგორც მოსარგებლის, სტატუსი განსაზღვრულია სპეციალური კანონით, რაც იმას ნიშნავს, რომ უფლებამოსილია მოითხოვოს მესა-

კუთრედ ცნობა კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ;

4.1.3. მოსარჩელეს პრეტენზია აქვს კანონით განსაზღვრული უფლების აღდგენის თაობაზე, რაც მოიცავს უძრავი ქონების სა-
დავო $\frac{1}{2}$ ნაწილს, რომელშიც იგი უკვე 25 წელია ცხოვრობს. სააპე-
ლაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოპასუხის ოჯახს
1967 წლიდან არ უცხოვრია სადავო ფართში და იქ მოსარჩელის
ოჯახი ცხოვრობს; მოსარჩელის მიერ სადავო ქონების ფლობის
ფაქტს ადასტურებს სპეციალური კანონის მე-2 მუხლის პირველი
ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის მოთხოვნის შესაბამისად, მოსარ-
ჩელე რეგისტრირებულია სადავო ფართში და იხდის კომუნალურ
გადასახადებს, რაც შეესაბამება კანონს და უზენაესი სასამარ-
თლოს პრაქტიკას.

4.1.4. კასატორის მტკიცებით ეს დავა არასწორად შეაფასა სა-
სამართლომ, როგორც ორ მესაკუთრეს შორის დავა უძრავ ქონება-
ზე; მოსარჩელე 1957 წლიდან დღემდე სადავო უძრავი ქონების
მისმართზეა რეგისტრირებული; ამ უძრავ ქონებაზე კომუნალური
მომსახურების მიწოდება ხორციელდება ერთი სააბონენტო ნომ-
რის მეშვეობით და სს „თ-ის“ მიერ გაცემული ცნობით დასტურდე-
ბა, რომ 1996 წლიდან ამ მისამართზე აბონენტად სწორედ მოსარ-
ჩელე ირიცხება;

4.1.5. მოპასუხეს და მის ოჯახს 1967 წლის შემდეგ, რაც ბინა
მიიღეს ვარკეთილში, არასდროს უცხოვრია ... ქუჩაზე; საცხოვრე-
ბელი სადგომის მესაკუთრეს სპეციალური კანონით განსაზღვრულ
30-წლიან ვადაში არ შეუთავაზებია მოსარგებლისათვის კომპენ-
საცია სადგომზე მფლობელობის შეწყვეტის მოტივით, რაც კანო-
ნის თანახმად, წარმოშობს მოსარგებლის ინტერესისათვის უპირა-
ტესობის მინიჭების საფუძველს იმ პირობებში, როდესაც ურთი-
ერთდაპირისპირებულია მესაკუთრისა და მოსარგებლის უფლებე-
ბი ქონების მიკუთვნებასთან დაკავშირებით;

4.1.6. კასატორი ასევე უთითებს საექსპერტო დასკვნაზე, რი-
თაც შეფასდა სადავო ქონების ღირებულება და სიცრუეს უწოდებს
მოპასუხეთა პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ მათ არ მიეცათ შე-
საძლებლობა, ექსპერტიზა ჩაეტარებინათ, ისევე როგორც არავი-
თარი 17 კვმ-იანი ცდომილება არ არსებობს დასკვნაში;

4.1.7. კასატორს მიაჩნია, რომ მოპასუხეთა არავითარი ნივთი არ
ინახება მოსარჩელის (მ-ბის) სახლში და ეს სასამართლოს წინაშე
„ტანჯული ხალხის იმიჯის“ დამკვიდრებას და ამ გზით უკანონო
შედეგის მიღწევის მცდელობას ემსახურება.

5. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

5.1 საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020
წლის 13 მარტის განჩინებით მოსარჩლის საკასაციო საჩივარი და-

საშვებად იქნა ცნობილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომი: სსსკ) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მოსარჩელის საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემონშების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება შემდეგი არგუმენტაციით:

6. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ დაზუსტებული მოთხოვნა შემდეგი სახით ჩამოაყალიბა: მოპასუხეთა საკუთრებად რიცხული საცხოვრებელი სადგომის (ქონების რეკვიზიტები იხ. წინამდებარე განჩინების 1.1 ქვეპუნქტში) მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაცემა, შესაბამისი კომპენსაციის – საბაზრო ღირებულების 25%-ის (3 579 აშშ დოლარი) გადახდის სანაცვლოდ. სარჩელის პასუხად წარდგენილი მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი იმ გარემოებას ემყარება, რომ სადავო საცხოვრებელ ფართში მოსარჩელე თვითნებურად შეიჭრა 2007 წლის შემდეგ; რეალურად მოსარჩელე, თავის შვილთან – ა. დ-თან ერთად, ცხოვრობს მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით მიღებულ სახლში, რომელიც შემდეგ შვილს აჩუქა.

7. საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლებრივ მსჯელობას იმის თაობაზე, რომ სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძვლად დაედებოდა იმ გარემოების დადგენა, რომ მოსარჩელე არის სპეციალური კანონით განსაზღვრული მოსარგებლის სტატუსის მქონე, რაც კონკრეტული წინაპირობების განხორციელების შემთხვევაში მას მიანიჭებდა საცხოვრებელი სადგომის სადავო □ ნაწილზე საკუთრების უფლებას (გამოსყიდვის სანაცვლოდ), თუმცა, მოცემულ საქმეზე მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, რომ ის სპეციალური კანონით განსაზღვრული მოსარგებლის სტატუსის მქონეა, რის გამოც მართებულად იქნა უარყოფილი მის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული სარჩელი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

8. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც წინამდებარე განჩინების 3.2.1- 3.2.4 ქვეპუნქტებშია ასახული და განმარტავს, რომ სპეციალური კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი

სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1997 წლის 25 ნოემბრამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს; ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით მოსარგებლე სპეციალური კანონის მიზნებისათვის განიმარტება, როგორც „პირი, რომელიც ამ კანონის ამოქმედების მომენტიდან კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო წესის დაუცველად დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ან პირი, რომელმაც მფლობელობის უფლება მიიღო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით“; შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად იმსჯელა და დაადგინა, რომ სადავო საცხოვრებელ სადგომზე მოსარჩელის მიერ საკუთრების უფლების მოპოვების მიზნით, მთავარი გარემოება, რომელიც საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შემოწმდა, არის ის, თუ რა სტატუსი აქვს მოსარჩელეს, არის თუ არა იგი კანონით განსაზღვრული მოსარგებლე და განხორციელებულია თუ არა კონკრეტული წინაპირობები.

9. სპეციალური კანონით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები თანაბრად ვრცელდება მესაკუთრესა და მოსარგებლეზე, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლებზე (2.2 მუხლი), მე-3 მუხლის მიხედვით განსაზღვრულია ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენა, კერძოდ 3.1-ე მუხლის თანახმად, 1. მოსარგებლე, რომელმაც მესაკუთრესთან სანოტარო წესის დაუცველად დადო წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება და რომელიც არანაკლებ 30 წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობს საცხოვრებელ სადგომს, უფლებამოსილია სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობა (ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის შესახებ სარჩელი); 3.2-ე მუხლის მიხედვით კი ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის შესახებ სასამართლო გადანაცვეტილება საჯარო რეესტრში შესაბამისი რეგისტრაციის განხორციელების საფუძველია;

9.1. სპეციალური კანონის მე-4 მუხლი განსაზღვრავს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობას კომპენსაციის გადახდით, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსარგებლე, რომელმაც მესაკუთრესთან სანოტარო წესის დაუცველად დადო წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება, მაგრამ 30 წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში ფლობს საცხოვრებელ სადგომს, უფლებამოსილია სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს ნასყიდობის ხელშეკრულების

დადებულად ცნობა საცხოვრებელი სადგომის ღირებულების 10 პროცენტის ოდენობის კომპენსაციის გადახდის პირობით (4.1 მუხლი). ამ სახის სარჩელს, სსსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, უნდა დაერთოს ექსპერტიზის დასკვნა საცხოვრებელი სადგომის ღირებულების თაობაზე, აგრეთვე – საცხოვრებელი სადგომის ღირებულების 10 პროცენტის ოდენობის კომპენსაციის სასამართლოს ან ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანის დამადასტურებელი საბუთი (4.2 მუხლი). იმ შემთხვევაში თუ სასამართლო ნასყიდობის ხელშეკრულებას დადებულად ცნობს, აგრეთვე გადაწყვეტს მოპასუხისათვის კომპენსაციის მიკუთვნების საკითხს. თუ სასამართლოს მიერ განსაზღვრული კომპენსაცია აღემატება სპეციალური კანონის 4.2-ე მუხლის მუხლის შესაბამისად დეკლარირებულ თანხას, მათ შორის სხვაობის ფარგლებში სასამართლო ადგენს მოპასუხის იპოთეკას საცხოვრებელ სადგომზე. ეს იპოთეკა შეწყდება კომპენსაციის სრულად გადახდის მომენტიდან. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლო ამ მუხლის შესაბამისად წარდგენილი სარჩელის განხილვისას დაადგენს, რომ მოსარჩელე არის არა ამ მუხლით გათვალისწინებული მოსარგებლე, არამედ ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული მოსარგებლე (4.3 მუხლი). ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება საჯარო რეესტრში შესაბამისი რეგისტრაციის განხორციელების საფუძველია. თუ ამ გადაწყვეტილებით დადგენილია აგრეთვე მოპასუხის იპოთეკა, საკუთრების უფლება და იპოთეკის უფლება ერთდროულად რეგისტრირდება, მიუხედავად იმისა, რომელი მხარე განახორციელებს რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას (4.4 მუხლი). სპეციალური კანონის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი წესები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლო ამ მუხლის შესაბამისად წარდგენილი სარჩელის განხილვისას დაადგენს, რომ მოსარჩელე არის არა ამ მუხლით გათვალისწინებული მოსარგებლე, არამედ ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული მოსარგებლე;

9.2. სპეციალური კანონის მე-5 მუხლი განსაზღვრავს საცხოვრებელი სადგომის გამოსყიდვის სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას; ეს ისეთ შემთხვევას წარმოადგენს, როდესაც მოსარგებლე, რომელიც არანაკლებ 30 წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობს საცხოვრებელ სადგომს და რომელმაც მფლობელობის უფლება მიიღო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით, უფლებამოსილია მოითხოვოს საცხოვრებელი სადგომის გამოსყიდვა საცხოვრებელი სადგომის ღირებულების 25 პროცენტის ოდენობის კომპენსაციის გადახდის პი-

რობით (5.2 მუხლი). საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგება უნდა დასტურდებოდეს შემდეგი გარემოებით/გარემოებებით: სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია, კომუნალური გადასახადების გადახდა ან/და მესაკუთრისათვის გარკვეული საფასურის გადახდა (5.3 მუხლი); თუ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობისათვის მოსარგებლემ მესაკუთრეს გარკვეული საფასური გადაუხადა, სასამართლო უფლებამოსილია, ამ საფასურის ოდენობის გათვალისწინებით, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კომპენსაციის ოდენობა საცხოვრებელი სადგომის ღირებულების 15 პროცენტამდე შეამციროს (5.4 მუხლი).

10. კასატორის პრეტენზიათაგან საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, იმაზე გაამახვილებს ყურადღებას, რომ მოსარჩელე ამტკიცებს, რომ ის საცხოვრებელ სადგომის მისამართზეა რეგისტრირებული და იხდის კომუნალურ გადასახადებს, შესაბამისად, მოსარჩელეს მიაჩნია, რომ საქმეში საკმარისი მტკიცებულებებია წარდგენილი მისი, როგორც მოსარგებლის სტატუსის დასადგენად და საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად მოპასუხეთათვის კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ.

11. საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვის გზით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებში, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის (სსსკ-ის 407-ე მუხლი), შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობა და დაასკვნა, რომ კასატორის შედავება დაუსაბუთებელია. დადგენილია ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, თუ როგორ და რა უფლება მოიპოვეს, ერთი მხრივ, მოსარჩელის და, მეორე მხრივ, მოპასუხეების, უფლებრივმა წინამორბედებმა სადავო უძრავ ქონებაზე, დადგენილია და სადავო არაა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ უძრავი ნივთი, მდებარე: ქ. თბილისი, ... ქუჩა №57 (ს/კ) რეგისტრირებულია ა. დ-ის (1/2 ნაწილი) და მოპასუხეების (1/2 ნაწილი) თანასაკუთრებაში; უდავოა და საქმეში წარმოდგენილი 01.06.1957 წლის ნასყიდობის ხელშეკრულებით დგინდება, რომ 01.06.1957 წელს, ერთი მხრივ, მოსარჩელის უფლებრივ წინამორბედს ა. მ-ს და ა. კ-ს შორის უძრავ ნივთზე, მდებარე: ქ. თბილისი, ... ქ. №57 1/2 ნაწილზე ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის საფუძველზეც 12 000 მანეთის გადახდის სანაცვლოდ ა. კ-მა ა. მ-ს ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლება გადასცა; მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ 03.06.1957 წელს, ერთი მხრივ, მოპასუხე აპელანტების უფლებრივ წინამორბედს ი. ბ-სა და ა. კ-ს შო-

რის უძრავ ნივთზე მდებარე: ქ. თბილისი, ... ქ. №57 ½ ნაწილზე ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის საფუძველზეც ა. ბ. მა ნასყიდობის საგანზე მოიპოვა საკუთრების უფლება; ფაქტობრივად და სამართლებრივად სავსებით დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ მიუხედავდ იმისა, მოსარჩელე 1957 წლიდან რეგისტრირებულია სადავო საცხოვრებელი სახლის მისამართზე და ამავე მისამართზე იხდის კომუნალურ გადასახადებს, არ ქმნის სპეციალური კანონით განსაზღვრულ წინაპირობას იმ დასკვნის გამოსატანად, რომ სადავო საცხოვრებელ სახლს მისი სარგებლობის დათმობის შესახებ გარიგების საფუძველზე ფლობს და არის მოსარგებლე. მოსარჩელის უფლებრივმა წინამორბედმა სადავო საცხოვრებელი სახლის ½ ნაწილზე საკუთრების უფლება მოიპოვა მოპასუხის უფლებრივი წინამორბედის მიერ სახლის მეორე ნახევარზე საკუთრების უფლების წარმოშობამდე რამდენიმე დღით ადრე და სწორედ ამ პერიოდიდან – 1957 წლიდან არის მოსარჩელე მხარე სადავო საცხოვრებელი სახლის მისამართზე რეგისტრირებული. მოსარჩელის მეუღლესთან და მოპასუხეთა უფლებრივ წინამორბედთან გარიგების დადებამდე საცხოვრებელი სახლს ერთი მესაკუთრე ჰყავდა, რომელმაც ჯერ მოსარჩელის უფლებრივ წინამორბედთან გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება უძრავი ქონების ½ ნაწილზე, ხოლო რამდენიმე დღეში გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე უძრავი ნივთის მეორე ნახევარი მოპასუხეთა უფლებრივ წინამორბედს მიჰყიდა. აქედან გამომდინარე, არ ვლინდება მოსარგებლის სტატუსის მოპოვების ფაქტობრივი საფუძველი, რის გამოც კასატორის სხვა პრეტენზიები დაუსაბუთებელია და საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

12. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეესაბამება მსგავსი კატეგორიის საქმეებზე საკასაციო სასამართლოს განმარტებებს (სხვა მრავალთა შორის იხ. სუსგ-ები: №ას-1763-2019, 21.02.2020წ.; №ას-104-2019, 27.12.2019წ.; №ას-551-551-2018, 25.11.2019წ.; №ას-222-2019, 05.11.2019წ.).

13. სსკ-ის 55.2-ე მუხლის პირველი წინადადების თანახმად ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქოალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

1. ს. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge